საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 აპრილი ხუთშაბათი 2011
№086 (13383) ფასი 60 თეთრი


# სასწაული არ მოხდა

## ახალ ჩემპიონს ვნახავთ

**ნახევარფინალი**

**პირველი მატჩები**

26 აპრილი
**შალკე-მანჩესტერი**

27 აპრილი
**რეალი-ბარსელონა**

**საპასუხო მატჩები**

3 მაისი
**ბარსელონა-რეალი**

4 მაისი
**მანჩესტერი-შალკე**



რაულმა ინტერს გერმანიაშიც გაუტანა

9



# 19 გიორგი შერმადინის ევრორეკორდი

საქართველოდან ევროპაში გადასვლის შემდეგ **გიორგი შერმადინმა** ოფიციალურ მატჩებში ყველაზე მეტი, 19 ქულა გუშინ ჩააგდო. მას პირადი რეკორდის დასამყარებლად 22 წუთი ეყო. ქართველმა ამას 5 მოხსნაც დაუმატა.

**ვლადიმერ ბოისამ** 17 წუთში 5 ქულა და 2-2 მოხსნა-ჩაჭრა მოაგროვა.

ჩვენების „ოლიმპიამ" სლოვენიის ჩემპიონატში სტუმრად „ჰოპსი" დაამარცხა - 78:67.

შერმადინმა რეკორდი აღმზრდელ მწვრთნელ **ჯამლეტ ხუხაშვილს** მიუძღვნა, რომელსაც გუშინ იუბილე ჰქონდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# უფრო მაღლა, ვიდრე ადრე

**საქართველო მეოთხეში კალათაში მოკალათდა. ზემოთაც შეიძლებოდა, ისრაელთან რომ...**

ჩვენი თანაკალათელები: ალბანეთი, უნგრეთი, ბელარუსი, სომხეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია, პოლონეთი, ავსტრია

2

# თემურ ქეცბაიას წარმატების საიდუმლო

SUNDAY Sun

**ნაკრები მებრძოლი პატრიოტების გუნდი უნდა იყოს!**

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელი უცხოურ პრესაში*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ფიფას რეიტინგი



ხორვატიასთან მოგებამ საქართველოს ნაკრები რეიტინგში საგრძნობლად დააწინაურა

# მითხარი, რომელ კალათაში ხარ და...

## ხორვატია: ქართველების სუპერლიფტი

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრისთვის მესამე კალათაში მოსახვედრად მცირედი დააკლდა. ამისთვის საჭირო იყო, ფიფა-კოკა კოლას მორიგ რეიტინგში ევროპული ქვეყნების 27-ეულში შევსულიყავით. გუშინდელ რეიტინგში საგრძნობლად დავწინაურდით, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ – ევროპელთა შორის დღეისთვის 32-ენი ვართ, მაშინ როცა წინა თვეში 36-ე ადგილზე ვიყავით.

მოდი, ჯერ ფიფას რეიტინგის თემა ამოვწუროთ და საქართველოს ნაკრების სამუნდიალე პერსპექტივებს მერე მივუბრუნდეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ხორვატიის ნაკრების ძლევის წყალობით აპრილის რეიტინგში **თემურ ქეცბაიას** გუნდმა საოცარი ნახტომი გააკეთა, 67 სარეიტინგო ქულა მოაგროვა, ერთბაშად 16 საფეხურით დაწინაურდა და დღეს 56-ე ადგილზეა.

რაც შეეხება ევრო 2012-ის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს, საუკეთესო ათეულში ადგილი დაკარგა საბერძნეთმა და მეათედან მეთორმეტე ადგილზე დაეშვა, თბილისში განცდილმა მარცხმა კი ხორვატია მერვედან მეათე პოზიციამდე დააქვეითა. ისრაელმა მთელი 25 ადგილით აინაცვლა და 33-ეა, ლატვია 75-ედან 76-ე ადგილზე ჩამოვიდა, მალტის მდგომარეობა კი 7 პუნქტით გაუარესდა და კუნძულელები დღეს 163-ეები არიან.

რაც შეეხება პოსტსაბჭოურ ქვეყნებს, მათგან მხოლოდ სამი გვისწრებს. რუსეთი– მე-18-ეა, 35-ე ადგილზეა უკრაინა, 53-ზე კი ბელარუსი. რაც შეეხება კავკასიელებს, სომხეთი 62-ეა, ხოლო აზერბაიჯანი – 107-ე.

ლიდერობა და პირველი-მეორე პოზიციები, შესაბამისად, ესპანეთმა და ჰოლანდიამ შეინარჩუნეს. ბრაზილია ორი საფეხურით დაწინაურდა და სამეულში შეაღწია, ხოლო იტალია ათეულს დაუბრუნდა.

| ზედათეული ასე გამოიყურება: | |
|---|---|
| 1. ესპანეთი | 1857 |
| 2. ჰოლანდია | 1702 |
| 3. ბრაზილია | 1425 |
| 4. გერმანია | 1386 |
| 5. არგენტინა | 1276 |
| 6. ინგლისი | 1163 |
| 7. ურუგვაი | 1094 |
| 8. პორტუგალია | 1052 |
| 9. იტალია | 1019 |
| 10. ხორვატია | 991 |

ახლა რაც შეეხება 2014 წლის მუნდიალის შესარჩევი ტურნირის წილისყრას. უკვე გაცნობეთ, რომ ეს პროცედურა ტრადიციულ დროზე გაცილებით ადრე, 30 ივლისს გაიმართება. ევროპის ზონაში 9 ჯგუფი დაკომპლექტდება, კალათების შემადგენლობა კი ფიფას ახალმა რეიტინგმა ასე განსაზღვრა:

პირველი კალათა: **ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია, იტალია, ხორვატია, ნორვეგია, საბერძნეთი;**

მეორე კალათა: **სერბეთი, სლოვენია, რუსეთი, საფრანგეთი, ჩერნოგორია, შვეიცარია, სლოვაკეთი, დანია, შვედეთი;**

მესამე კალათა: **თურქეთი, ჩეხეთი, ისრაელი, ირლანდია, უკრაინა, ბელგია, რუმინეთი, ბულგარეთი, ლიტვა;**

მეოთხე კალათა: **ალბანეთი, უნგრეთი, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია, პოლონეთი, ავსტრია;**

მეხუთე კალათა: **ესტონეთი, ლატვია, ფინეთი, მაკედონია, მოლდოვა, კვიპროსი, აზერბაიჯანი, უელსი, ისლანდია;**

მეექვსე კალათა: **ლუქსემბურგი, ფარერები, ყაზახეთი, ლიხტენშტაინი, მალტა, ანდორა, სან მარინო.**

შეგახსენებთ, მიმდინარე შესარჩევი ციკლის წილისყრისას საქართველოს ნაკრები მეხუთე კალათაში იყო განთესილი და მეოთხეში გადასვლა, რაღა თქმა უნდა, საგრძნობი პროგრესის ნიშანია. თუმცა ის ფაქტი, რომ ისრაელში არწგაება დიდი ალბათობით მესამე კალათისკენ გაგვიხსნიდა გზას, გულს, ცხადია, გვწყვეტს...

● უცხოურ პრესაში

**ბრიტანულმა გამოცემა Sunday Sun -მა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას სტატია მიუძღვნა. ავტორი მარკ დუგლასი ცდილობს, მკითხველს ჩვენი გუნდის წარმატებების მიზეზები აუხსნას. წერილს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.**

თემურ ქეცბაიამ „სენტ ჯეიმს პარკზე" სამი შთამბეჭდავი სეზონი გაატარა, ახლა კი თავის სამწვრთნელო შესაძლებლობებს საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე ამტკიცებს. თუ მან გუნდი ევრო -2012-ის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, ეს ნამდვილი სასწაული იქნება.

შარშან ქეცბაიამ მსოფლიო რეიტინგში 122-ე ადგილზე მყოფი ნაკრები ჩაიბარა, რომელიც ბოტსვანასა და პანამასაც კი ჩამორჩებოდა. ნაკრების მთავარ მწვრთნელად მის დანიშვნამდე საქართველოს ნაკრებს წელიწად-ნახევრის განმავლობაში თამაში არ ჰქონდა მოგებული, ქეცბაიას მუშაობის ერთი წლის თავზე კი ქართველებმა 60 ათასი გულშემატკივრის თანდასწრებით თვით ხორვატია დაამარცხეს - ეს ათი წაუგებელი მატჩის კულმინაცია იყო.

საქართველოს ნაკრებმა ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში პირველი მარცხი ისრაელში, ხორვატიის დამარცხებიდან ორი დღის შემდეგ იწვნია, მაგრამ ჯგუფის ლიდერ საბერძნეთს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება და მომავალი წლის ზაფხულში პოლონეთსა და უკრაინაში გასამართ კონტინენტის პირველობაზე თამაშის შანსს ინარჩუნებს.

ისრაელში ყოფნისას ქეცბაიამ Sunday Sun-თან საუბრისას განაცხადა: *„ერთი შეხედვით, დაუჯერებელია, რომ საქართველოს ნაკრები ევრო 2012-ის ფინალურ ეტაპზე გავა. ეს ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების ტოლფასი იქნება. ამის მიღწევა მართლა შეგვიძლია და ის, რაც ხორვატიასთან მოვახერხეთ, საკუთარი თავის რწმენასა და თავდაჯერებას გვმატებს.*

*რასაკვირველია, ხორვატიას იმ შეხვედრის მოგების მეტი შანსი ჰქონდა, მაგრამ საოცარი განწყობისა და თავდადების ხარჯზე გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ლამაზად ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ ჩვენი ბრძოლის ნახვა მაინც ღირდა.*

*ახალ თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღეს ვთქვი, რომ ქართველ ფეხბურთელებს ნაკრებში თამაშით უნდა ემაყათ. ისინი საკუთარ ქვეყანას წარმოადგენენ და მინდა, მოედანზე ზუსტად იმ პატრიოტული გრძნობით გადიოდნენ, როგორც მე გავდიოდი ფეხბურთელობისას.*

*ისრაელთან შეხვედრა ჩვენთვის მეტისმეტად რთული გამოდგა და, სამწუხაროდ, მარცხს ვერ გადავურჩით, მაგრამ ამჟამად იმ პოზიციაზე ვართ, რომელზეც ჯგუფური ეტაპის სტარტზე მხოლოდ ვოცნებობდით. მჯერა, რომ სასწაულის მოხდენა შეგვიძლია..."*

სამწვრთნელო კარიერის დასაწყისში ქეცბაიამ ნაკლებად ცნობილი კვიპროსული „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა და თავის ამჟამინდელ სამუშაოსაც იმავე ფილოსოფიით ეკიდება.

*„ყველაფერი გუნდის სულზეა დამოკიდებული. ნაკრებთან ერთად მხოლოდ რამდენიმე დღეს ვატარებ, მაგრამ მინდა, მოთამაშეებმა ისეთივე განწყობით იშრომონ, როგორც ამას კლუბებში აკეთებენ. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი კლუბის წევრები არიან ან რამდენი აქვთ ხელფასი – ნაკრებში ყველა თანასწორია და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსიც ყველას აქვს.*

*გუნდის ახლიდან შენება ძნელი იყო და ახლაც ასეა. საქართველოს ჩემპიონატი ძლიერი არ არის და ნაკრების წევრთა უმრავლესობა საზღვარგარეთ თამაშობს. თანაც, თავისი კლუბის ძირითადში ყველა ვერც ხვდება. როგორ უნდა შემექმნა ძლიერი ნაკრები ასეთ ვითარებაში? წარმატების მისაღწევად გუნდისთვის მებრძოლი სული უნდა შთამებერა, ფეხბურთელებისთვის ნაკრების წევრობა საამაყო უნდა გამეხადა.*

*საქმისადმი ასეთმა მიდგომამ შედეგი გამოიღო და ერთი წლის შემდეგ საქართველოს ნაკრები უკვე სულ სხვა გუნდი იყო".*




თემურ ქეცბაია

# ქეცბაიას წარმატების საიდუმლო

## ნაკრები მებრძოლი პატრიოტების გუნდი უნდა იყოს!

● U14

# ჩვენმა ბავშვებმა ფეხი აიდგეს

საქართველოს 13-წლამდელთა ნაკრების სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა დიდი ხნის წინ გადაწყდა, ახლა კი ცნობილი გახდა, რომ იქ ჩვენი 14-წლამდელებიც იასპარეზებენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, **ნოდარ აკობიას** გუნდი ზუგდიდის "ბაიას" ბაზაზე შეკრებას შეუდგა. იქვე ვარჯიშობენ **გოჩა ტყებუჩავას** 13-წლამდელებიც.

შვედეთში ტურნირი 27 აპრილს დაიწყება, აკობიამ კი ნაკრებში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო: **ნიკოლოზ შაფათავა, ბექა ქურდაძე, გიორგი გალდავაძე, დემურ ჩომახიძე, ვასილ კაციტაძე, ირაკლი კომახიძე, გიორგი თვარაძე, რატი კაკიაშვილი, გურამ გოშთელიანი, ნიკა ქორიძე, ვატო არველაძე, ნიკა ლაშხია, გიორგი ბერიძე, გიორგი ჯობავა, ზაურ ელენტი, დიმიტრი თუთბერიძე, ოთარ გოშაძე, ბექა მიქელთაძე, გიორგი ნივილაშვილი, ნიკოლოზ კველიშვილი, გიორგი სადღობელაშვილი, გიორგი ადამია.**

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

COPA AMERICA
ARGENTINA 2011

მოგზაურობა არგენტინაში
კოპა ამერიკის მატჩებზე
1-24 ივლისი 2011 წ

მსურველებს ვიწვევთ კოპა ამერიკის არგენტინისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდების ჯგუფური ეტაპის, 1/4ფინალების ნახევარფინალებისა და ფინალის მატჩებზე დასასწრებად. ასევე, 17-19 წლის ფეხბურთელებს წარვადგენთ 3-6 თვიან სტაჟირებაზე არგენტინაში და მომზადების შემდეგ ტესტირებაზე არგენტინულ კლუბებში. საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ვთავაზობთ მაღალი კლასის არგენტინელ ფეხბურთელებსა და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს. არგენტინულ კლუბებთან ამხანაგურ თამაშებს საქართველოში და არგენტინაში. მსურველთა მიღება, შეღგება 7 აპრილიდან 15-20 აპრილამდე 15-დან 17 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა. მოგზაურთა კლუბში მისამართზე: ლეონიძის ქ№4 ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ ტელ: 92-10-60; 92-11-66; 92-00-28 მობილური: 8 79 41-53-35

"არგენტინის სახლისა" და "ხვარგ სპორტის წარმომადგენლობა საქართველოში.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აწზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატიო სტუმრები

# ფეხბურთი სკოლაში: დინამოს გაკვეთილები


დინამოს სპორტული დირექტორი გიორგი ნემსაძე მომავალი ქომაგების გარემოცვაში


გიორგი ლორიამ (ზედა ფოტოზე) და ალექსანდრე კოშკაძემ პატარებთან ბურთიც გაგორეს


ფოტოები: www.fcdinamo.ge

გუშინდელი დღე თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ალბათ, ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ: დედაქალაქის ერთ-ერთ უძველეს და პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებას თბილისის „დინამოს" მართლაც წარმომადგენლობითი დელეგაცია სტუმრობდა!

„დინამოს" სპორტულ დირექტორს **გიორგი ნემსაძეს**, გუნდის ფეხბურთელებს **ალექსანდრე კოშკაძეს, გიორგი ლორიას, გიორგი თექთურმანიძეს, ირჟი ჰომოლასა** და კლუბის პრესატაშეს **გიგა გვენცაძესაც** ანალოგიური განცდა დაუფლებოდათ - დაახლოებით სამი საათის განმავლობაში ავტოგრაფების დარიგებას რომ ვერ აუდიოდნენ და სკოლაში მოწყობილი საფეხბურთო ზეიმის ეპიცენტრში იყვნენ მოქცეული...

... ახალი რა უნდა ვთქვათ: თბილისის „დინამო" მრავალი თაობის საყვარელი გუნდი და ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო; სამწუხაროდ, ნურც მწარე რეალობას დავივიწყებთ: უკვე მერამდენე წელია, „დინამოს" საშინაო მატჩებს ძალიან ცოტა მაყურებელი ესწრება. რალა თქმა უნდა, კლუბშიც კარგად უწყიან ამ პრობლემის შესახებ და სხვა (უპირველეს ყოვლისა, წმინდა საფეხბურთო) საკითხებთან ერთად, „დინამოსთვის" გულშემატკივარის დაბრუნებაც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება. საერთოდაც, „დინამოში" ახალი ხელმძღვანელობის, კერძოდ, გენერალური დირექტორის **ზურაბ პოლოლიკაშვილის** მოსვლის შემდეგ კლუბში არაერთი საინტერესო აქციაც იგეგმება, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატარებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. გუშინ 23-ე საჯარო სკოლაის სააქტო დარბაზში შეკრებილ მოსწავლეებს საპატიოზე-საპატიო სტუმრები სკოლის დირექტორმა **თეიმურაზ კიკნაძემ** წარუდგინა, შემდეგ პატარების წინაშე საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი, დღესდღეობით კი ამ კლუბის სპორტული დირექტორი გიორგი ნემსაძე წარსდგა. კლუბის პრესატაშე გიგა გვენცაძემ „დინამოს" ფეხბურთელები გააცნო მოსწავლეებს, ამას გარდა, დარბაზში მყოფთ საშუალება ჰქონდათ, „დინამოს" მდიდარ ისტორიაზე გადაღებული დოკუმენტური კადრები ეხილათ. თუმცა, „მთავარი" მაინც წინ იყო: სააქტო დარბაზიდან ყველამ სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გადავინაცვლეთ, სადაც მეტად და მეტად საინტერესო „ოთხთა ტურნირი" ჩატარდა. თუმცა, მანამდე სკოლის მეხუთეკლასელთაგან ოთხი გუნდი ჩამოყალიბდა და იქ მყოფი ოთხივე დინამოელი (კოშკაძე, ლორია, თექთურმანიძე, ჰომოლა) ამ გუნდების კაპიტნებადაც შეიძლება მოვიხსენიოთ და მოთამაშემწვრთნელებადაც...

მატჩები ათწუთიანი იყო და პირველ ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ ალექსანდრე კოშკაძისა და გიორგი თექთურმანიძის მიერ დაკომპლექტებული გუნდები შეხვდნენ; დაძაბული შეხვედრა ფრედ დასრულდა, პენალტების სერიაში კი გიორგი თექთურმანიძის გუნდმა გაიმარჯვა. სხვათა შორის, „დინამოს" ახალგაზრდა ნახევარმცველი გუშინდელ დღეს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო მოქცეული, როგორც, 23-ე სკოლის... კურსდამთავრებული!

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მეორე ნახევარფინალიც და გამარჯვებულის გამოსავლენად იქაც პენალტების სერიის ჩატარება გახდა საჭირო. კულმინაცია იყო გადამწყვეტი დარტყმები: გიორგი ლორიამ პენალტი ზუსტად შეასრულა, მერე კი (როგორც „დინამოს" თუ საქართველოს ნაკრებში „დაგვაჩვია") კარში ჩადგა და ჩეხი ირჟი ჰომოლას პენალტი მოიგერია!

ფინალური მატჩიც საინტერესო გამოდგა და საბოლოოდ გიორგი თექთურმანიძის გუნდმა გაიმარჯვა. ორივე ფინალისტს „დინამოს" ლოგოთი დამშვენებული სპორტული გადასაცმელები გადაეცათ, გამარჯვებულებს კი - „დინამოს" მიერ დაწესებული ლამაზი თასი და ფეხბურთელების ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთები. თუმცა, გუშინ უსაჩუქროდ არც სხვები დარჩენილან: აქციის ყველა მონაწილესა თუ გულშემატკივარს (ამ კატეგორიაში კი გოგონები სჭარბობდნენ, თანაკლასელებს მხურვალედ და ემოციურად რომ ქომაგობდნენ) საქართველოს ჩემპიონატის XXX ტურის ცენტრალური მატჩის („დინამო"-„ოლიმპი") მოსაწვევები დაურიგდათ. „დინამოს გაკვეთილები" ამიერიდან სისტემატურ ხასიათს მიიღებს და დედაქალაქში სხვა სკოლებშიც ჩატარდება. ისე, ჩვენგან რა ესწავლებათ „დინამოს" ხელმძღვანელობას, მაგრამ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, თბილისში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებთანაც დამყარებულიყო მსგავსი კონტაქტები. მით უფრო, რომ ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც ალბათ არ იქნებიან გულგრილნი თბილისის „დინამოს" მიმართ...

**გია ტუხაშვილი**

მწვრთნელი


კახა ცხადაძე

# პროტესტი, კორექტულობა და ქართული მაგალითი

## კახა ცხადაძემ აზერბაიჯანელებს ჩვენი მინდორი უქო, ხმები მისი თბილისის დინამოში მისვლის თაობაზე კი ჭორია

**კახა ცხადაძე** ბაქოს „ინტერის" ვებგვერდს ბაქოს „ნეფთჩისთან" ბოლო ტურში ფრედ (1:1) დასრულებულ შეხვედრაში მსაჯის ზღვარგადასულ არაობიექტურობაზე, წარუმატებლობის მიზეზებზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოედნებს შორის განსხვავებასა და სხვა საინტერესო თემებზე ელაპარაკა.

*„ბოლო დროს ცუდი შედეგები გვაქვს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ უხარისხოდ ვთამაშობთ... ერთადერთი მსაჯობა მაღელვებს. ამის შესახებ „ნეფთჩისთან" მატჩის შემდეგ კლუბის მეპატრონეებს ველაპარაკე. საქმე მხოლოდ ჩვენს კარში უმიზეზოდ დანიშნულ თერთმეტმეტრიანში როდია. მსაჯმა თამაშის საშუალება არ მოგვცა! მისი გაუთავებელი ჩასტვენები შეხვედრას ამუხრუჭებდა და ტემპს კლავდა. ამით ისევ მაყურებელმა იზარალა, რომელიც ხარისხიან და საინტერესო ორთაბრძოლას ელოდა.*

*არბიტრი აბსოლუტურად განუკითხავად იქცეოდა. მეორე ტაიმში მისი გადაწყვეტილებები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. სამწუხაროდ, ასეთ შეცდომებს პირველად არ ვაწყდებით. თუ ადამიანი საკუთარი შეცდომებისთვის პასუხს არ აგებს, ის შემდგომშიც იმავეს გაიმეორებს.*

*პრესკონფერენციაზე მიუსვლელობით მე მსაჯის მიმართ პროტესტი გამოვხატე და ამისთვის ბოდიში მინდა მოვუხადო "ნეფთჩის" მთავარ მწვრთნელ არიფ ასადოვსა და ყველა იმ ჟურნალისტს, ვისაც მატჩის შემდეგ ჩემი კომენტარის მოსმენა სურდა. ეს მათ მიმართ უპატივცემულობის გამოხატულება ნამდვილად არ ყოფილა. აზერბაიჯანში ორი დღე არ ვიყავი და მხოლოდ დღეს მომეცა ბოდიშის მოხდის საშუალება... მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და "ნეფთჩის", ასადოვსა და აზერბაიჯანელი ჟურნალისტების მიმართ პატივისცემა გამოვხატო.*

*... სეზონი წარუმატებელი გამოდგა, მაგრამ დარჩენილ შეხვედრებში ვითარების გამოსწორებას შევეცდებით. ამიტომ შემდეგი ტურის შეხვედრა ლენქორანის "ხაზართან" უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. იმედია, ამჯერად კარგად გვიმსაჯებენ".*

ცხადაძე კვირას "ზესტაფონი"-"დინამოს" შეხვედრას დაესწრო და ზესტაფონის სტადიონის საფარი ისე მოეწონა, აზერბაიჯანელებს მაგალითად დაუსახა.

*"მსურს, თემას დროებით მოვწყდე და მოედნების პრობლემაზეც ვთქვა. უქმეებზე საქართველოს ჩემპიონატის ტურის ცენტრალურ შეხვედრას დავესწარი. იმდენად კარგი იყო მოედანი, გუნდებს ხარისხიანი თამაშის ჩვენებაში დაეხმარა. ვისურვებდი, რომ აზერბაიჯანშიც ასეთი მოედნები იყოს, რადგან ეს ფეხბურთის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მხოლოდ ამის შემდეგ მოვახერხებთ ევროთასებზე რაიმე წარმატებების მიღწევას. საფარის გაუმჯობესება ხომ უფრო სწრაფი ფეხბურთის თამაშის საშუალებას მოგვცემს. სამწუხაროდ, უხარისხო და უსწორმასწორო მოედნების გამო დღეს აზერბაიჯანში ასეთი თამაში სანატრელი გვაქვს".*

სხვათა შორის, ბოლო დღეებში დაირხა ხმები, თითქოს თბილისის „დინამოს" ახალი ხელმძღვანელობა კახა ცხადაძეს მთავარ მწვრთნელობას სთავაზობს. ამ ხმების აგორების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ "ზესტაფონთან" მატჩის შემდეგ ცხადაძე თბილისური გუნდის მმართველებთან ნახეს.

მარტივი მიზეზის გამო, კომენტარისთვის „დინამოს" თავკაცებთან და ცხადაძესთან დაკავშირება უადგილოდ ჩავთვალეთ - წლევანდელი სეზონის ჩაგდების მიუხედავად, ერთი კვირის წინ ქართველ სპეციალისტს ბაქოს „ინტერმა" ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ხუბუტიას გაზ მეთანმა გაზს უკლო



**აკაკი ხუბუტიას** "გაზ მეთანმა" რუმინეთის ჩემპიონატში ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა – შინ "ბრაშოვს" 0:0 დაუზავდა. საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველმა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და ერთ ეპიზოდში ანგარიშის გახსნის კარგი შანსი გაუშვა ხელიდან.

ამ შედეგით "გაზ მეთანმა" სატურნირო მდგომარეობა და ევროპის ლიგაზე გასვლის პერსპექტივა გაიუარესა - ხუბუტიას გუნდი დღეისთვის მე-7 ადგილზეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ადამიანი დროში



- აკადემიკოსი, ზოოვეტერინარული უნივერსიტეტისა და სპორტის აკადემიების ყოფილი რექტორი;
- ილიას უნივერსიტეტის სპორტის აკადემიის დირექტორი;
- თურქმენეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორი;
- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
- კემბრიჯის უნივერსიტეტში აღიარეს გამოჩენილ მეცნიერად;
- ნიუ იორკის აკადემიის წევრი;
- უმაღლესი პოლიტიკური განათლებით;
- 152 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი;
- სპორტის დამსახურებული მუშაკი.

ეს ტიტულები საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ელგუჯა გუგუშვილს** ეკუთვნის, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა, "მორკინალის", თურქმენეთის ეროვნული ნაკრების, ბერძნული "იანინას" მთავარ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, რომელიც დღემდე საქართველოს მოყვარულთა ნაკრებისა და „ზოოვეტის" თავკაცია. ის დღეს ჩვენი სტუმარია.

# ელგუჯა გუგუშვილი: მალე გუნდებს ფული გაუჩნდებათ

### 9 წლის მწვრთნელი?!

ცხრა წლის ვიყავი, გაზეთში განცხადება რომ ვნახე, განათლების სამინისტრო ქუჩების ჩემპიონატს ატარებსო. ნაძალადევში დეპოს ქუჩის ბიჭები შევკრიბე და ასე მივიღე პირველი სამწვრთნელო გამოცდილება. შემდეგ მე-10 კლასელმა 113-ე სკოლის გუნდი ჩამოვაყალიბე და სკოლების ჩემპიონი გავხდით. მერე ამ საქმით სერიოზულად დავინტერესდი: ზოოვეტის სტუდენტმა ინსტიტუტის გუნდი საკავშირო სტუდენტურ ჩემპიონატზე გავიყვანე. ამ გუნდს დღემდე ვავარჯიშებ და რეგიონალლიგაში მესამე ადგილზე ვართ.

რამდენიმეჯერ სერიოზულ წინადადებაზე უარი ვთქვი. შესაძლოა, ფეხბურთელებს არ მოეწონო, პირი შეგიკრან და ერთ თვეში გაგაგდონ. მე კი არც მეცნიერების მიტოვება მსურდა და "ზოოვეტსაც" ვერ ვღალატობდი, სადაც ამ ორი სფეროს შეთავსების მეტი საშუალება მქონდა. გამონაკლისი იყო თურქმენეთსა და საბერძნეთში მუშაობის პერიოდი, მაგრამ თურქმენეთში ლექციებსაც ვკითხულობდი.

მწვრთნელობა და მეცნიერება რთულად შესათავსებელია, მაგრამ დროის სწორი განაწილებით ამას ვახერხებდი.

### ზარმაცი მწვრთნელები და უფერული არჩევანი

ბევრი მწვრთნელი ლოკოკინას მაგონებს, რომელიც თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი და გარეთ არ იხედება. მწვრთნელთა კვალიფიკაცია დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, მაგრამ კვალიფიციური სპეციალისტები – თითებზეა ჩამოსათვლელი. ბევრი შრომისმოყვარეა და საკუთარ თავზე მუშაობს, მაგრამ არაერთი ზარმაციც მეგულება, რომელსაც თანამედროვე სამწვრთნელო მეთოდებზე წარმოდგენა არ აქვთ და სრულყოფაც არ აინტერესებთ.

ბევრს რთულ, მაგრამ ნიჭიერ ფეხბურთელთან მუშაობა უჭირს. გოდერძი ნატროშვილს მოჩხუბრის სახელი ჰქონდა და მის აყვანას არ მირჩევდნენ. თუმცა ავიყვანე და გაოცებული დავრჩი, მსგავსი გულიანი და ერთგული ადამიანი იშვიათად მინახავს, მან ნდობა და სიყვარული დაინახა. ფეხბურთელს თუ არ ენდობი, როგორ ითამაშებს? მე კი რთულ ბიჭებს შეგნებულად ვიწვევდი, რადგან თამაშის შემოტრიალება ასეთებს შეუძლიათ. აბა, ნიჭიერის მიგნებასა და გახსნაზე თუ არ ფიქრობ, რა მწვრთნელი ხარ?! ეს ადამიანის ფსიქოლოგიის არცოდნის ბრალიც არის.

მწვრთნელობაში მთავარი სამი ასპექტია: უნდა იყო კარგი სელექციონერი, იცოდე გუნდის მომზადება და შეგეძლოს მოტივირება. უცოდინრობის შედეგია, ქართულმა ფეხბურთმა დამახასიათებელი ტექნიკა რომ დაკარგა, უტექნიკოდ შეტევას აფერხებ და თამაშს კლავ, ცხადია, ასეთი ფეხბურთელებით მაყურებელს ვერ მიიზიდავ.

ბავშვების ტექნიკის დახვეწას მცირე დროს უთმობენ, ძირითადად ერთ შეხებასა და ფიზმომზადებაში ავარჯიშებენ. მაგრამ ტექნიკის გარეშე ამ ყველაფერს ფასი ეკარგება. მიკვირს, თითქმის ყველა გუნდი ერთი სქემით, 4-2-3-1-ით რომ თამაშობს – განლაგებას, ზოგადად, ფეხბურთელების მიხედვით არჩევენ და ნუთუ ყველას ერთნაირი მოთამაშეები ჰყავს?

ორი თავდამსხმელით თითქმის არავინ თამაშობს, მწვრთნელები ორიენტირებულები არიან შედეგზე და არა მაყურებელზე. აბა, ეს წვალება ხალხს როგორ მიიზიდავს?! მერე გვიკვირს, სანახაობრივი მხარე დაიკარგაო.

ჩვენი ფეხბურთის დაბალ დონეზე მაყურებლის სიმცირე მეტყველებს. უცხოეთიდან მწვრთნელთა მოწვევამ არ გაამართლა და დავკარგეთ ძვირფასი დრო, რომლის კომპენსირებასაც ვერასოდეს შევძლებთ.

ჩამოსულთა კვალიფიკაცია არასოდეს მაეჭვებდა, მაგრამ ბევრს არ შეუძლია უცხო გარემოში მუშაობა. უცხოელი სპეციალისტები ბავშვთა ფეხბურთში უფრო გვჭირდება, სადაც თანამედროვე მეთოდების ნაკლებობა ყველაზე თვალსაჩინოა.

ჩვენი კლუბების უდიდესი პრობლემა მენეჯმენტია. ყველაზე გამართულად "ვიტ ჯორჯიას" მუშაობს, რომელიც მხოლოდ საკუთარ რესურსს ეყრდნობა. ამ კლუბის პრეზიდენტმა იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს და, ვფიქრობ, მისგან მაგალითის აღება არავის აწყენდა.

### ომამდელ ჩანაფიქრს ვუბრუნდებით

გარკვეული პროგრესი გვაქვს, მაგრამ ნელი ტემპით ვვითარდებით. პრეზიდენტის მითითებით ახალი პროგრამა რომ ამოქმედდება, მერე მდგომარეობა გამოსწორდება. დანამდვილებით ვიცი, ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა და უმაღლესი ლიგის გუნდები აღარ იქნებიან დღევანდელივით საცოდავ მდგომარეობაში - მათ ფული გაუჩნდებათ.

სახელმწიფო სტრუქტურებთან კავშირი მაქვს და ვიცი, ფეხბურთის განვითარების პროგრამაში უპირატესობა მიენიჭება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სტადიონების გარემონტებას, ხარისხიანი მოედნების მოწყობას, საფეხბურთო ინტერნატების აღდგენას. მერწმუნეთ, ეს ქართული ფეხბურთისთვის დიდი საქმე იქნება.

ბევრი ამბობს, სახელმწიფო პროგრამა ადრეც მიიღეს და არ შეასრულესო, მაგრამ რუსეთთან ომამდე სახელმწიფო ფეხბურთს სერიოზულად არ ეხმარებოდა? ომმა წელში ვერ გაგვტეხა, თუმცა უარყოფითად იმოქმედა. ახლა სახელმწიფო ომამდელი ჩანაფიქრის განხორციელებას ისევ აპირებს. არა მგონია, ეს ცუდი იყოს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი. რუსული მედია ქართველებზე

# რუსებს ხოჯავას ფეხბურთი მოსწონთ

ბოლო დღეებში **გოჩა ხოჯავასა** და "ვოლგას" ქართველებზე ბევრს კი ვწერთ, მაგრამ მიზეზი გვაქვს და სასიამოვნო ამბებს ხომ არ დავმალავთ?!

ნიჟნი ნოვგოროდელთა პლეიმეიკერმა რუსეთის პრემიერლიგაში წელს მხოლოდ ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ამის მიუხედავად, რუსების სიმპათია დაიმსახურა - ტექნიკური, მეტოქის მომტყუებელი ფეხბურთელი ყველა გულშემატკივარს უყვარს.

უკვე ვწერდით, რომ მეოთხე ტურში "როსტოვის" კარში გატანილი გოჩას გოლი "ევროსპორტ.რუმ" საუკეთესოდ დაასახელა. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს ინტერნეტ-სააგენტო "სპორტ.რბც.რუმ" და "სოვეტსკი სპორტმა".

"სოვეტსკი სპორტში" საუკეთესო გოლის ავტორს დიდი ხანია, ცნობილი კომენტატორი **ვლადიმირ პერეტურინი** ასახელებს. საინტერესოა, რომ პერეტურინი აკეთებს არა კომენტარებს, არამედ გაზეთს ტურის გოლების ვიდეომიმოხილვას უმზადებს - მისი ფავორიტი ხოჯავა გახდა.

"სპორტ.რბც.რუმ" პრემიერლიგის იმ მოთამაშეთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც ყველაზე სანახაობრივად თამაშობენ. ცხადია, ხოჯავა აქაც დაასახელეს: "ვოლგას" პლეიმეიკერი ხუთი ქულით 1-4 ადგილებს იყოფს **ბლატნიაკთან** („როსტოვი"), **ლაზოვიჩთან** ("ზენიტი") და **კონცედალოვთან** („სპარტაკი" ნალჩიკი).

ხოჯავა „სპორტბოქს.რუს" მეოთხე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. ამ ინტერნეტგაზეთმა საუკეთესო თერთმეტეულში „ვოლგას" კიდევ ერთი ქართველი, **ლაშა სალუქვაძეც** დაასახელა.

**მერაბ მამულაშვილი**



გოჩა ხოჯავა

# ალექსანდრე ამისულაშვილი კრასნოდარში საუკეთესოა



ალექსანდრე ამისულაშვილი (მარცხნივ)

რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში "კრასნოდარმა" პერმის "ამკარი" 1:0 დაამარცხა და ლიდერთა ჯგუფში პოზიცია განიმტკიცა.

კლუბის ვებგვერდზე კი გულშემატკივართა გამოკითხვა ჩატარდა, რომლის მიზანიც ამ შეხვედრაში "კრასნოდარის" საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა იყო.

აბსოლუტური უმრავლესობით პირველ ადგილზე გუნდის ქართველი კაპიტანი **ალეკო ამისულაშვილი** გავიდა, რომელმაც 524 ხმა მიიღო და მეორე ადგილზე გასულ ბრაზილიელ **ჟოაოზინიოზე** (185) სამჯერ მეტი დააგროვა.

ამისულაშვილის პირველობაში გარკვეული როლი ქართულმა ინტერნეტგამოცემებმაც შეასრულეს, რომლებმაც ქართველ გულშემატკივარს ამისულაშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფოტო კომენტარით

ფეხბურთის სტაჟიან ქომაგებს სურათზე აღბეჭდილი პიროვნების ცნობა არ უნდა გაუჭირდეთ: **ხორენ ოგანესიანი** გასული საუკუნის 80-იანი წლების ერევნის „არარატისა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. „არარატის" ლეგენდარული მერვე ნომერი იმითაც იყო გამორჩეული, რომ 15-წლიანი კარიერის განმავლობაში განსაკუთრებული, უფრო ზუსტად, მეგობრული დამოკიდებულება აკავშირებდა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებთან.

... წლები გადის, მაგრამ მეგობრობა კვლავაც გრძელდება: ხორენ ოგანესიანის ჯიპს... ქართული ნომრები ამშვენებს! რა მიხვედრა სჭირდება იმ ფაქტს, სომხური ფეხბურთის ლეგენდარულ მერვე ნომერს სამანქანე ნომრები თბილისში რომ აქვს აღებული. თუმცა რატომ გვიკვირს: შარშან, როცა ხორენ ოგანესიანს იუბილე ჰქონდა (55 წლის შესრულდა), დაბადების დღე აქაურმა მეგობრებმა დიდი ზარზეიმით თბილისსა და მცხეთაში გადაუხადეს. უფრო ზუსტად, დაბადების დღეები — ხორენ ოგანესიანი ერთი კვირის განმავლობაში ძველი მეგობრების საპატიო, სასურველი და ძვირფასი სტუმარი იყო...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული




ენდი ქეროლი

# ძმაკაცის გოლები

„ლივერპულის" ვარსკვლავი **ენდი ქეროლი** თავის ახლო მეგობარ **ჯო ჰარტს** თურმე ადრევე ეუბნებოდა, მერსისაიდელთა წითელი მაისურით ჩემს პირველ გოლს შენს კარში გავიტანო — მოგეხსენებათ, ჰარტი „მანჩესტერ სიტის" გოლკიპერია, „ლივერპულმა" კი „სიტის" ორშაბათს 3:0 მოუგო. სამიდან ორი გოლი სწორედ ქეროლმა გაიტანა.

„სანი" გვამცნობს, რომ ქეროლი და ჰარტი ინგლისის ნაკრების ბანაკში დამეგობრდნენ და ორშაბათს", „ენფილდ როუდზე" გამართული შეხვედრის წინ, ეგრეთ წოდებული მოთელვის დროს ერთმანეთს ეხუმრებოდნენ.

*„ჯოს თამაშის წინ ვუთხარი დღეს აუცილებლად გაგიტანმეთქი - ჰყვება „ლივერპულში" 35 მილიონ ფუნტად გადასული ნიუკასლელი - მართალია, ჩემს ხუმრობაზე ისიც ხუმრობით მპასუხობდა და სიტყვას ბანზე მიგდებდა, მაგრამ მართლა გავიტანე და ძალიან მიხარია ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში სამი ქულა რომ მოვიპოვეთ. ამ გოლების გატანა ძალიან მჭირდებოდა, თუმცა ჰეთ თრიკი უკეთესი იქნებოდა. რასაკვირველია, მთავარია გუნდმა მოიგოს, მაგრამ მე აქ გოლებისთვის მომიყვანეს და ამიტომაც რაც მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი იყო".*

„ლივერპულს" მეხუთე ადგილზე გასვლის და ევროპის ლიგაზე მოხვედრის შანსი, მოგეხსენებათ, აქვს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ევროშეჯიბრებაში მონაწილეობის გარეშე, ზაფხულში, „ენფილდზე" გადასვლა შესაძლოა ბევრმა ვარსკვლავმა არ ინდომოს და ეს გუნდის გაძლიერებას არ წაადგება, მაგრამ ქეროლი სხვანაირად ფიქრობს:

*„ჩვენ ძალიან დიდი კლუბი გვყავს და არ მესმის, ფეხბურთელებს აქ გადმოსვლა რატომ არ უნდა უნდოდეთ. ახლა გუნდის შეკრების და თამაშის დალაგების პროცესში ვართ".*

ქეროლის თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩა „ლივერპულის" მწვრთნელი, ლეგენდარული **კენი დალგლიშიც**. მან თქვა, რომ უკვე ხედავს ქეროლისა და ურუგვაელი **ლუის სუარესის** წყვილად თამაშის დიდ პერსპექტივას. „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში სუარესს, მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ კარგად ითამაშა და ზემოთ ნახსენები მეკარე ჰარტის კარგი თამაში და ცოტა უილბლობა რომ არა, ერთ ეპიზოდში მიზანთან ახლოსაც იყო. იანვარში 58 მილიონ ფუნტად ნაყიდ წყვილზე „კოპის მეფე კენიმ" თქვა:

*„თანდათანობით ნახავთ, რომ ენდისა და ლუისის პარტნიორობა მეტად და მეტად დაიხვეწება — ამის წინა პირობა აშკარად გამოიკვეთა. მე თუ მკითხავთ, სუარესმა „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში დიდებულად ითამაშა და გოლი რომ ვერ გაიტანა, უილბლობის ბრალია. მის დარტყმულს „სიტის" მეკარემ თითი გაჰკრა და ის ძელს მოხვდა. ვფიქრობ, ქეროლისა და სუარესის წყვილში ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა, მაგრამ ორშაბათს ყველაფერი მეტისმეტად აშკარად გამოჩნდა".*

ის ფეხბურთი, რომელიც „ლივერპულმა" „მანჩესტერ სიტისთან" ითამაშა, ჟურნალისტებმა დალგლიშის პოსტზე დანიშვნის შემდეგ საუკეთესოდ მიიჩნიეს. თავად მწვრთნელმა ამაზე ასე თქვა:

*„ეს თამაში, ვერ გეტყვით საუკეთესო იყო თუ არა, მაგრამ სასიამოვნო რომ იყო, ფაქტია. არა მგონია, „სიტის" ასე შებოჭვა, მარტივი საქმე იყოს. განსაკუთრებით კარგი იყო მეორე ტაიმი, როდესაც ჩვენ 3:0-ს ვიგებდით და თითქოს, ანგარიშის შენარჩუნება ყველაფერზე მთავარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ კიდევ შევქმენით საგოლე მომენტები".*

ნიუკასლი

# დავაჩხავლოთ [illegible]!

**ალან პერდიუ** ამბობს, „ნიუკასლ იუნაიტედი" დარჩენილ ექვს შეხვედრას ისე უნდა მიუდგეს, თითქოს ომში მიდისო. „კაჭკაჭებს" ძალიან სერიოზული ამოცანა ჰქონიათ გადასაწყვეტი — საძულველ „სანდერლენდზე" მაღალი ადგილი უნდა დაიკავოს. დღეს „ნიუკასლი" მე-9 ადგილზეა, „სანდერლენდი" კი მეცამეტეზე. პერდიუ დარწმუნებულია, რომ „შავ კატებზე" მაღლა დადგომა ქომაგებს **ენდი ქეროლის** წასვლით გამოწვეულ ტკივილს დაავიწყებს. ცნობისათვის: ნიუკასლიდან სანდერლენდამდე მანძილი 16 კილომეტრამდეა.

*„ჩვენთვის „სანდერლენდზე" მაღალი ადგილის დაკავება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება — თქვა „კაჭკაჭების" თავკაცმა — ეს ჩვენს გუნდს სამომავლოდ დიდ ძალებს შთაბერავს. „შავ კატებს" გასულ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობის საშუალება ჰქონდათ, ჩვენ კი არა. თან, იანვარში წამყვანი ფეხბურთელი დავკარგეთ და ყოველივე ამის მერე მაინც „სანდერლენდზე" მაღალ ადგილს თუ დავიკავებთ, ძალიან სახალისო ამბავი იქნება.*

*როდესაც ქეროლი ჩვენგან „ლივერპულში" გადავიდა, ყველას ეგონა, რომ უმძიმეს დღეში ჩავვარდებოდით, მაგრამ, როგორც ხედავთ არც ისე ცუდად გვაქვს საქმე. ახლა, მთავარია, დარჩენილ შეხვედრებში მივაღწიოთ საუკეთესო შედეგს".*

ამასთან, მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ „ნიუკასლსა" და „ლივერპულს" შორის საუკეთესო ბიზნესპარტნიორობა ჩამოყალიბდა. ქეროლის ამბავი მთელს მსოფლიოს პირზე აკერია და ახლა, მერსისაიდელთა ოდინდელმა ფეხბურთელმა, დღეს ტელეჟურნალისტმა და ლივერპულის უნივერსიტეტის ლექტორმა **ფილ ტომპსონმა** განაცხადა, რომ ზაფხულში „კაჭკაჭები" მერსისაიდელებს ესპანელ მცველ **ხოსე ენრიკესაც** მიჰყიდიან. ტომპსონი ერთ-ერთ ინტერვიუში ირწმუნებოდა, რომ კლუბებს შორის გარიგება უკვე შედგა, უბრალოდ „ნიუკასლი" ამის გახმაურებას ერიდება. პერდიუმ შორს დაიჭირა:

*„გარწმუნებთ, რომ კლუბებს შორის არანაირი გარიგება არ არსებობს. ხოსე ენრიკეს ჩვენთან ხელშეკრულება მომავალ ზაფხულამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ საქმის იქამდე მიყვანა არ გვინდა. ჩვენ ვაპირებთ მცველს ახალი კონტრაქტი შევთავაზოთ და ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ. „ნიუკასლს" საუკეთესო ფეხბურთელების გასხვისება არ უნდა, ხოსე კი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია".*

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხოსე ენრიკეს გადაბირების მსურველი კლუბები ევროპაში მრავლად არიან. მარტო „ბაიერნისა" და „მილანის" დასახელება რა ღირს, თუმცა, თავად ესპანელი რაიმეს გადაწყვეტას არ ჩქარობს. მას, უპირველეს ყოვლისა აინტერესებს შეინარჩუნებს „ნიუკასლი" ადგილს პრემიერლიგაში თუ ვერა.

„კაჭკაჭთა" ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ახალ კონტრაქტს **ჯოი ბარტონსაც** გაუფორმებენ, თუმცა ხოსე ენრიკესი არ იყოს, ჯერჯერობით მასაც გაჩუმება ურჩევნია. არ არის გამორიცხული ზაფხულში ახალი კლუბის ძებნა კაპიტანმა **კევინ ნოლანმაც** დაიწყოს.




ხოსე ენრიკე

„ნიუკასლის" მწვრთნელმა სასიხარულო ამბავიც შეიტყო: **შოლა ამეობი** არც ისე მძიმედ ყოფილა დაშავებული როგორც ეგონათ. მას მუხლი სტკიოდა, თუმცა სკანირებამ აჩვენა, რომ ფეხბურთელი მოედანს მალე დაუბრუნდება. სავარაუდოდ, ამეობი, შემდეგ სამშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ითამაშებს.

მსაჯის თვალით

# მსაჯებს არ უნდათ წითელი

ყოფილი ინგლისელი მსაჯი **გრემ პოლი**, რომლის მოსაზრებებსაც „ლელოს" მკითხველი ხშირად ეცნობა, ამჯერად მსჯელობს რამდენიმე წესზე, რომელიც არბიტრებს არ უნდათ, რომ არსებობდეს. მეტიც, მსაჯებმა კარგად იციან, რომ ამ წესების შესრულება ამაოა, მაგრამ ვალდებულები არიან, შეასრულონ. უპირველეს ყოვლისა ლაპარაკია გოლის გატანის შემდეგ ზღვარგადასულ ზეიმზე, უფრო სწორად კი მაისურის გახდაზე.




ფაქტია: გოლის ავტორისთვის ყვითელი ბარათის აფრიალება არბიტრებს, რომლებიც ისედაც არაპოპულარულები არიან, კიდევ უფრო არაპოპულარულებს ხდის. ხალხი ღიზიანდება. მერედა, ეს გაფრთხილება მოთამაშეებზე რომ მოქმედებდეს მაისურის გახდისთვის თავი კარგა ხნის დანებებული ექნებოდათ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, დრო გადის და არაფერი იცვლება. არადა, კანონი მოითხოვს, ყვითელი ბარათით დაისაჯოს ყველა, მათ რიცხვში ისინიც, ვისაც ერთი გაფრთხილება უკვე ჰქონდათ... ანუ, მსაჯი ვალდებულია ათასობით გულშემატკივართან ერთად მოზეიმე მოთამაშე მოედნიდან გააძევოს.

მეორე მხრივ, არბიტრებმა კარგად იციან, რატომ მოიგონეს ეს წესი — ფეხბურთელის ქცევამ მაყურებელზე რომ არ იმოქმედოს და ზეიმი მასობრივ უწესრიგობაში არ გადაიზარდოს. მაგრამ, პოლი აღნიშნავს, რომ ყვითელმა ბარათმა, როგორც დაშინების მექანიზმმა, არ იმუშავა და კარგი იქნება თუ მას შეცვლიან. მაგალითად, შესაძლოა გოლის შემდეგ მაისურის გახდისთვის ფულით დაჯარიმებას ჰქონდეს აზრი.

მეორე წესი, რომელსაც მსაჯები ზედმეტად მიიჩნევენ დაშავებული ფეხბურთელის მოედნიდან გასვლაა, მას მერე, რაც ნატკენ ადგილს დაუთვალიერებენ და ტრავმის სიმძიმეს შეუფასებენ. გასაგებია, რომ ეს სიმულაციის საწინააღმდეგოდ მოფიქრებული კანონია — თუ ტყუილად წაიქცევი, რაღაც დროით (სანამ მოედნიდან გახვალ და დაბრუნდები) გუნდს დააკლდები, მაგრამ ამან შედეგი აშკარად ვერ გამოიღო. საილუსტრაციოდ პოლი პრემიერლიგის ბოლო ტურში „ივუდ პარკზე" მომხდარ ინციდენტს იხსენებს: „ბირმინგემ სიტის" მცველი **როჯერ ჯონსონი** მეტოქესთან თავით შეჯახების შემდეგ იძულებული იყო, მოედნიდან გასულიყო და დაბრუნებულიყო. სანამ დაბრუნებული ჯონსონი თავისი პოზიციისკენ მირბოდა, „ბლექბერნმა" გოლი გაიტანა.

*„ამ ორი, სრულიად ზედმეტი წესის გაუქმების ან გადახალისების ნაცვლად ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭომ კარს უკან დამატებითი მსაჯები დააყენა. ისინი შეხვედრის მთავარ არბიტრს ხელს უშლიან და მასთან თანამშრომლობა უჭირთ"* — ამბობს პოლი, რომელიც თავის პოზიციას კვლავ მაგალითით ამაგრებს. ინგლისელი ექსპერტის მაგალითი ამჯერად ჩემპიონთა ლიგის თამაშიდან არის. ერთი კვირის წინ, „სტემფორდ ბრიჯზე", „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში მანჩესტერელმა **პატრის ევრამ** ლონდონელთა ბრაზილიელი ნახევარმცველი **რამირესი** საჯარიმოში წააქცია. პოლის აზრით, სადავო არაფერია: ამ ეპიზოდში პენალტი უნდა დანიშნულიყო და დარღვევა ზუსტად უნდა დაენახა კარსუკანა თანამსაჯს, მაგრამ მან მთავარ არბიტრს არაფერი უთხრა. პოლი ამბობს, რომ ვიდეოგამეორებაზე აშკარად ჩანს — ხსენებული ასისტენტი ვალდებული იყო, ევრას მიერ წესის დარღვევა შეემჩნია, ის საამისოდ იდეალურ პოზიციაში იდგა, მაგრამ... ვაგლახ, მეოთხე და მეხუთე მსაჯებიც ადამიანები გამოდგნენ თავიანთი შეცდომებითა და სისუსტეებით.

*„კიდევ რამდენი მსაჯი უნდა დაამატოს ფიფამ, რომ მიხვდეს — ადამიანი მაინც შეცდება, ვიდეოკამერას კი ვერაფერს გამოაპარებ!"* — ამბობს ფიფას ყოფილი არბიტრი და იმედს გამოთქვამს, რომ ეს ექსპერიმენტი ბოლო იქნება და მერე ძლიერნი ამა ქვეყნისანი ერთადერთ სწორ დასკვნას გააკეთებენ.

ვარსკვლავი



# გინება და კოკა

ინგლისში **უეინ რუნის** გინებაზე ლაპარაკს ვერა და ვერ დაუსვეს წერტილი. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავს კვლავ „ვესტ ჰემთან" შეხვედრის დროს მომხდარ ამბავზე ჰკითხეს და მანაც უპასუხა, რომ ჩადენილს ძალიან ნანობს. შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგის ლიდერები ლონდონელებთან 2:0-ს აგებდნენ, როდესაც რუნიმ ფხა გამოიღო და სამი გოლი გაიტანა. ამით გახარებულმა თავდამსხმელმა მოედნის კიდესთან ტელეკამერასთან მიირბინა და სიხარულის გამოსახატავად გინება დაიწყო. ამ საქციელისთვის „იუნაიტედის" ვარსკვლავი ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. შაბათს მას ფეხბურთის ასოციაციის ნახევარფინალში „მანჩესტერ სიტისთან" თამაშის გამოტოვება მოუწევს.

*„ემოციით ვიყავი შეპყრობილი, რას ვაკეთებდი, თავად ვერ ვხვდებოდი. ჩემმა სამმა გოლმა წაგებული თამაში შემოაბრუნა და ამან ძალიან გამახარა. შეხვედრა რომ დამთავრდა, მივხვდი ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი და დაუყოვნებლივ ბოდიში მოვიხადე. რად უნდა ლაპარაკი, - ტელეკამერასთან მივარდნა და გინება ცუდი საქციელი იყო. ახლა, როდესაც უკვე დამსაჯეს, ვერაფერს გავხდები, ამიტომ იძულებული ვარ, შევეგუო და ცხოვრება გავაგრძელო. იმედი მაქვს, ბიჭები შაბათს „სიტის" დაამარცხებენ და ასოციაციის თასის ფინალში ვითამაშებ"* — თქვა რუნიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

გასულ კვირაში რუნის შესახებ პრესაში ისიც დაიწერა, რომ „კოკა კოლამ" მასთან სარეკლამო თანამშრომლობა გინებისა და ცუდად ქცევის გამო შეწყვიტა.

*„ეს ტყუილია, - გაეცინა მანჩესტერელს, - „კოკა კოლას" გასული სეზონის მიწურულს ველაპარაკე. მათ მაშინვე მითხრეს, რომ ოლიმპიადის მოახლოების გამო ჩემგან მეტი აქტიურობა სჭირდებოდათ, მე კი საამისო დრო არ მაქვს. ჩვენ მაშინვე შევთანხმდით, რომ „კოკა კოლას" სახე 2010 წლის მერე აღარ ვიქნებოდი, უბრალოდ, ეს ამბავი ახლა გახმაურდა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

იუბილარი

# იტალიას 2006 წელი არ დავიწყებია

## ლიპი ისევ მაესტროა



მარჩელო ლიპი

**11 აპრილს, მარჩელო ლიპი 64 წლის გახდა და მართალია, ეს საიუბილეო თარილი არ არის, მაგრამ იტალიაში საკმაოდ პომპეზურად აღნიშნეს. მაესტროს საპატივსაცემოდ ფედერკალჩომ დიდი წვეულება მოაწყო, რომელსაც იტალიური საფეხბურთო საზოგადოების უამრავი წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის ფეხბურთელები. ამ დღეებში, მარჩელო ყურადღების ცენტრშია და ხან ტელევიზიას აძლევს ინტერვიუს, ხან რადიოს და ხანაც გაზეთს. „გაძეტა დელო სპორტის" 11 აპრილის ნომერში კი ლიპიზე გამოქვეყნებულ სტატიას შემდეგი სათაური ჰქონდა - „იტალიას არასდროს დაავიწყდება *2006 წელი*".**

ასეთი სათაური შემთხვევით არ გახლავთ შერჩეული - მას შემდეგ, რაც „სკუადრა აძურამ" სწორედ ლიპის თავკაცობით საშინელი კრახი განიცადა 2010 წლის მუნდიალზე, მარჩელო ჩრდილში მოექცა. მართალია, კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გაუტარებიათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ფიასკო ვინმე სხვას დაბრალდა - არამედ, ერთი: წარსული დამსახურების გამო და მეორე: ლიპი წამსვლელი გახლდათ და კრიტიკას დიდად არც ჰქონდა აზრი. წავიდა ლიპი და აშკარად ჩრდილში მოექცა - ამიტომ, შეახსენეს, რომ იტალიას 2006 წელი არასდროს დაავიწყდება. თუმცა, რაც უნდა დაწეროს „გაძეტა დელო სპორტმა", ფაქტია, რომ ლიპიმ გვარიანად შეილახა რეპუტაცია - მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი ჯგუფში ჩატოვა და თანაც, რა ჯგუფში: პარაგვაის, სლოვაკეთის და ახალ ზელანდიის კომპანიაში. თვითონ ლიპიც ერიდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენას, თუმცა დაბადების დღეზე ველარ დაიმალა და გამოჩნდა. ქვემოთ ლიპის მოსაზრებებს გავეცნოთ იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

### ბრავო ნაპოლი

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას ყურადღებით ვადევნებ თვალს და აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს. მარტო ის რად ღირს, რომ ჩემპიონობისთვის ჯერ კიდევ სამი გუნდი აგრძელებს ბრძოლას და პროგნოზის გაკეთება ერთობ რთულია. მართალია, „მილანი" ფავორიტად მოჩანს, მაგრამ, თავს ვერავინ დადებს, რომ სკუდეტოს აუცილებლად „როსონერი" მოიგებს. დაძაბული მდგომარეობაა გასავარდნ ზონაშიც და ერთადერთი გამოკვეთილი აუტსაიდერი ჯერჯერობით მხოლოდ „ბარია". ცალკე სალაპარაკო თემაა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა და ის კონკურენცია, რომელიც „უდინეზესა" და რომაულ გუნდებს შორის მიმდინარეობს. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ოთხეულისთვის ბრძოლას ტურინის „იუვენტუსიც" დაუბრუნდეს.

საგანგებოდ მინდა ვისაუბრო „ნაპოლიზე", გუნდზე, რომელმაც ყველა გააოცა და მათ შორის, მეც. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი თუ სამხრეთელები ჩემპიონობისთვის იბრძოლებდნენ და ასე სტაბილურად იასპარეზებდნენ. რაც მთავარია, ვითარდება გუნდი და ისეთი პირი უჩანს, რომ პროგრესი მომავალშიც გაგრძელდება. ბრავო „ნაპოლი", სხვას ვერაფერს ვიტყვი.

### მასში საკუთარ თავს ვხედავ...

იტალიაში კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობა არასდროს იყო და საბედნიეროდ, არც დღეს არის. მიმდინარე სეზონში, ორი სპეციალისტის მუშაობაა გამოსარჩევი - საუბარია ვალტერ მაძარისა და მასიმილიანო ალეგრიზე. ვალტერი უფრო ემოციური ადამიანია, გრძნობებს აყოლილი და თითქოს გულით მართავს თამაშს, რასაც შედეგი მოაქვს და მთავარიც ეს არის. რაც შეეხება ალეგრის, უფრო ცივსისხლიანია, გონებით მოქმედებს და ტაქტიკურად შესანიშნავად არის განსწავლული. მასში საკუთარ თავს ვხედავ სამწვრთნელო კარიერის საწყის წლებში - მეც ასეთივე მშვიდი ვიყავი, საკუთარ თავში დარწმუნებული და ამასთან, ენთუზიაზმით სავსე.

დასაფასებელია ის, რასაც ედუარდო რეია აკეთებს „ლაციოში". ძალიან დიდი შრომა ჩადო გუნდში და შედეგსაც იმკის. ჩემი აზრით, „ბიანკოჩელესტეს" არ ჰყავს ისეთი შემადგენლობა, რომ აუცილებლად ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს. ასეთი წარმატებული ასპარეზობა პირველ რიგში სწორედ მწვრთნელის დამსახურებაა. ჯანსაღი ატმოსფერო შექმნა გუნდში, ყველანი ერთი მიზნის ქვეშ გააერთიანა და შედეგიც სახეზეა.

### პრანდელის მთავარი პრობლემა

ჩეზარე პრანდელი ძალიან ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ ნაკრებს დადებითი შედეგი ჰქონდეს და ამას ახერხებს კიდეც. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ და წესით, განსაკუთრებული პრობლემების გარეშე უნდა მოვიპოვოთ ევროფორუმის საგზური. ეს სწორედ მწვრთნელის დამსახურებაა, რომელიც ძალიან საინტერესო სასელექციო სამუშაოს ატარებს. მისი მთავარი პრობლემა სერია A-ს გრანდებში ლეგიონერთა დიდი რაოდენობაა. უცხოელი ფეხბურთელების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი მოთამაშეების განვითარებას. დააკვირდით, „აძურა" ძირითადად საშუალო კლასის გუნდებიდან კომპლექტდება და ამან შეიძლება ყველაზე საჭირო დროს გაგვიწიოს დათვური სამსახური.

ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესება? - ეს შესაძლოა არის კიდეც გამოსავალი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამაზე საუბარი არც კი უნდა გვჭირდებოდეს. კლუბების პრეზიდენტები თვითონ უნდა ხვდებოდნენ იმდენს, რომ იტალიელი ფეხბურთელების ხელშეწყობით არა მარტო თავიანთი გუნდის, არამედ, ქვეყნის საქმესაც აკეთებენ. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით თუ ყველანი ერთად ვიფიქრებთ და ქმედით ნაბიჯებს გადავდგამთ, უახლოეს მომავალში ძალიან კარგ შედეგს მოვიმკით.

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## ლორისის ერთადერთი საფიქრალი

ევროპულ ქვეყნებში საფეხბურთო სეზონის დასასრულთან ერთად სულ უფრო აქტიურდება მასმედია. მათ ფეხბურთელების მომავალი აინტერესებთ. ჟურნალისტების ყურადღება ნამდვილად არ აკლია **უგო ლორისს**. რამდენიმე თვეა, ის "მანჩესტერ იუნაიტედში" **ედვინ ვან დერ სარის** შემცვლელად სახელდება. შეკითხვაზე, აქვს თუ არა გადაწყვეტილი, სად გააგრძელებს კარიერას, უგომ მიუგო: *"ერთადერთი, რაც მაკლია, საფრანგეთის ჩემპიონატის მართლა დაძაბული შეხვედრებია. ახლა ერთი მიზანილა დაგვრჩა - როგორმე მოვხვდეთ ჩემპიონთა ლიგის ზონაში და მასთან მართლაც ახლოს ვართ. დიდხანს დავრჩები თუ არა "ლიონში"? არ ვიცი, ახლა პასუხი მზად არ მაქვს. ისე, მომავალზე ყოველთვის ვფიქრობ ხოლმე, ოღონდ არა ხვალინდელზე, არამედ იმაზე, რა იქნება ერთი წლის შემდეგ. სწორედ ასე ვახერხებ კონცენტრაციას დღევანდელზე,"* – განუცხადა ლორისმა "ფრანს ფუტბოლს".

## დაფინანსება მცირდება

როგორც უკრაინული პრესა იუწყება, უკრაინის მთავრობამ ევრო 2012-ის ბიუჯეტი საგრძნობლად შეამცირა - ლაპარაკია დაფინანსების 1/4-ის ჩამოჭრაზე. მთავრობის საბოლოო გაანგარიშებით ქვეყანა ევროპის პირველობის ღირსეულად დასახვედრად 110 მილიარდ გრივნას, ანუ 13,75 მილიარდ დოლარს დახარჯავს.

გუშინ კიდევ ერთი ინფორმაცია გაცხადდა მომავალ პირველობასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, თუ რა ინტენსიობით იყიდება ტელეტრანსლაციები, შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რომ ჩემპიონატს დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი მიადევნებს თვალს. ვარშავაში, სადაც ტრანსლაციების ოფიციალური ცენტრი განთავსდება, საქმის ღირსეულად საკეთებლად განსაკუთრებული ზომების მიღება გადაწყვიტეს. უკვე ითქვა, რომ ორივე ქვეყნიდან გამოსახულება HD ხარისხში გადაიცემა, ამასთან დადგინდა, რომ ყოველ მატჩზე 20 ეიჩ-დი და 12 ეს-დე კამერა იმუშავებს.

## ანტონეტი დარჩა, რენი დაზარალდა

"რენის" წარმატებების სულის ჩამდგმელმა **ფრედერიკ ანტონეტიმ** კლუბთან კონტრაქტი 2 წლით გააგრძელა. აღნიშნული ინფორმაცია გუშინვე დაადასტურა ლიგა 1-ის ოფიციალურმა საიტმა. მხარეთა შორის დადებულ წინა კონტრაქტს ვადა ივნისის ბოლოს გასდიოდა.

კარგი ამბის შემდეგ "რენის" გულშემატკივრებმა ერთი უსიამოვნების შესახებაც შეიტყვეს: "შავწითლების" მცველმა **ჟან-არმელ კანაბიიკმა** გუშინ დილის ვარჯიშის დასრულება მარჯვენა ფეხის ტკივილის გამო ვერ შეძლო. ჯერჯერობით ტრავმის სირთულეზე ექიმები არაფერს იუწყებიან. შეგახსენებთ, რომ ანტონეტის გუნდს ტრავმირებულები აქამდეც არ აკლდნენ: **კადერ მანგანე, სილვენ მარვო, იასინ ბრაჰიმი და ჟირეს კემბო-ეკოკო.**

**ლევან ბიბილაშვილი**

ამომავალი ვარსკვლავი. კევინ გამეირო

**ბოლო წლების საფრანგეთში ნამდვილი ტალანტები სულ უფრო ნაკლებად ჩნდებიან და შეუძლებელია, ქვეყანაში ეს არ აწუხებდეთ. ფაქტია, რომ 21-წლამდელთა ამჟამინდელი ნაკრების წევრები უცხოეთის სერიოზულ კლუბებში არათუ არ თამაშობენ, უკვე იშვიათადღა ირიცხებიან, მაგალითად შეიძლება ჩელსელი ("ფულჰემშია" განათხოვრებული) გაელ კაკუტა მოვიყვანოთ. ზოგადად ახალგაზრდა და ნიჭიერი ფრანგებიდან სამირ ნასრის, მამადუ სახოს, იან მვილას, კარიმ ბენზემასა და კევინ გამეიროს გახსენება შეიძლება. ჩვენი დღევანდელი სტუმარი სწორედ ეს უკანასკნელია.**



კევინ გამეირო

# ტალანტი გზაგასაყართან

"ლორიანის" 23 წლის თავდამსხმელზე ევროპულ გრანდებში სერიოზული მოთხოვნაა. მისით უკვე დაინტერესდნენ ისეთი დიდი გუნდები "ვალენსია", "სევილია", "არსენალი" და "ჩელსი" რომ არიან. გეტყვით, რომ ეს ჩამონათვალი ამომწურავი სულაც არ არის. სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, შესაბამისად, ფეხბურთელს თავის მომავალზე დასაფიქრებლად შანსი კიდევ აქვს. ფრანგი ჟურნალისტები უკვე მსჯელობენ, ვის ჩაუვარდება ხელში მათი უნიჭიერესი თანამემამულე. ამასთან უკვე აღარავინ განიხილავს თავდამსხმელის "ლორიანში" დარჩენის ვარიანტს. კევინის კონტრაქტს ვადა 2012 წლის ივნისში გასდის, შესაბამისად, ფრანგულ კოლექტივს მისი სარფიანად გაყიდვის ბოლო შანსი ამ ზაფხულზე მიეცემა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებულ გუნდებს შორის ფრანგულ ბაზარზე მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილება "ვალენსიას" აქვს. "ღამურებმა" ბოლო წლებში ლიგა 1-დან რამდენიმე ფეხბურთელი გადაიბირეს. მათ შორის უკვე დაიბევეს "ლილის" 25 წლის ცენტრალური მცველი **ადილ რამი**.

ფეხბურთელის ტრანსფერის შესახებ ჭორები გასულ წელსაც აგორდა, მაგრამ "ლორიანის" პრეზიდენტმა **ალენ ლე რომმა** კლუბის მთავარ მიზნად (არ ვაჭარბებთ) ფეხბურთელის შენარჩუნება გამოაცხადა და შესაბამისად, ყველაფერი გააკეთა ამისთვის. ამ ზაფხულს კი ლე რომს "ეს ნომერი აღარ გაუვა". მოდი, გავარკვიოთ, ვინ არის და რას წარმოადგენს კევინ გამეირო, ფეხბურთელი, რომლის გარშემოც ამდენი ხმაურია ატეხილი.

გამეირო 1987 წლის 9 მაისს პატარა, მაგრამ დიდი ისტორიით სახელმოხვეჭილ ქალაქ სანლიში დაიბადა. სანლი პარიზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 51 კმ-ში მდებარეობს. თუკი გაინტერესებთ, რითია გამორჩეული კევინის მშობლიური ქალაქი, შეგიძლიათ ინტერნეტში ცნობები მოიპოვოთ. გპირდებით, ბევრ საინტერესო ფაქტს გადააწყდებით. ჩვენ კი ფეხბურთს დავუბრუნდეთ... გამეირო, ისევე როგორც ძალიან ბევრი "სამფეროვანთა" ბანაკში, შერეული სისხლისაა. მისი წინაპრები პორტუგალიიდან გადავიდნენ საფრანგეთში საცხოვრებლად და სწორედ ამიტომ იყო, რომ **კარლუშ კეიროშს** მისი პორტუგალიელთა გუნდში ხმობა სურდა. მით უფრო, ფრანგების დამრიგებელი **რაიმონ დომენეკი** მას ყურადღებას არ აქცევდა. გამეირომ კეიროშს უარი სტკიცა. სიტუაცია მხოლოდ **ლორან ბლანის** დანიშვნის შემდეგ შეიცვალა. მან ლორიანელის გარდა გუნდში უამრავ ახალგაზრდას უხმო. მართალია თავდამსხმელი უკვე 23 წლისაა და მის ანგარიშზე სულ 3 სანაკრებო თამაშია, მაგრამ ყველას ესმის, რომ კევინის შეძენა სამომავლოდ გაკეთებულ მშვენიერ ინვესტიციას ნიშნავს.

მომავალი ვარსკვლავისთვის ჯერ კიდევ ბავშვობიდან იყო ცნობილი, თუ რა პროფესიას აირჩევდა და სწორედ ამიტომ იყო, რომ 6 წლიდან საფეხბურთო სკოლაში სიარული მეზობელ ქალაქში დაიწყო. 16 წლამდე ის მოკრძალებული სკოლების გუნდებში ასპარეზობდა, 2004 წელს კი "სტრასბურის" სკაუტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. სწორედ ამ კლუბში დაიწყო გამეიროს პროფესიული კარიერა. 2005-06 წლების სეზონში ის ძირითად გუნდში გადაიყვანეს. მართალია, სათამაშო პრაქტიკით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ლიგა 1-ის მატჩში ერთხელ, უეფას თასზე ორჯერ და თასის გათამაშებაში ასევე ორჯერ შეძლო თავის გამოჩენა. ვინ იცის, რომ არა უმძიმესი ტრავმა (ჯვარედინი იოგების გაწყვეტა) მისი კარიერა უფრო სწრაფად განვითარებულიყო. კევინმა სრული 6 თვე გაატარა მინდორს მიღმა. ფიზიკურ ტანჯვას ისიც დაერთო, რომ "სტრასბურმა" რამდენიმე ფრონტზე ბრძოლას ვერ გაუძლო და ლიგა 2-ში დაქვეითდა. გამოჯანმრთელებული გამეირო ქვედა ლიგაში იმდენად კონცენტრირებული უკვე აღარ იყო. გუნდი წარმატებით თამაშობდა, ჩვენი გმირის შედეგიანობა კი უკეთესის სურვილს ტოვებდა - 3 გოლი 16 მატჩში. თავისი დიდი პოტენციალი თავდამსხმელმა იმავე ზაფხულზე ჩატარებულ სანაკრებო ტურნირზე დაადასტურა, სადაც 4 შეხვედრაში 5 გოლის გატანა მოახერხა. 2007-08 წლების სეზონში "სტრასბურმა" ელიტის საგზური მოიპოვა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ "ტყუილად"... გუნდმა იმავე წელს დატოვა უმაღლესი ლიგა და დღემდე არ დაბრუნებია იქაურობას. გამეირომ აღარ ისურვა ქვედა ლიგაში ასპარეზობა და კლუბი დატოვა. თავის რიგებში მისი ხილვა თავად მარსელის "ოლიმპიკს" სურდა, თუმცა მან "ლორიანის" ვარიანტს უპირატესობა იმიტომ მიანიჭა, რომ იქ სტაბილურად ასპარეზობისა და შესაბამისად, ზრდის მეტი შანსი მიეცემოდა. "სტრასბურმა" თავისი ვარსკვლავი სულ რაღაც 3 მილიონ ევროდ გაასხვისა. აშკარაა, ფეხბურთელს გუმანმა არ უღალატა. "ლორიანში" მას შესანიშნავი პირობები შეუქმნეს პროფესიული ზრდისთვის. რაც მთავარია, მას მწვრთნელშიც გაუმართლა, მისი დამრიგებელი **კრისტიან გურკუფი** იყო. ამ "სამმილიონიანმა" თავდამსხმელმა კი ახალი კლუბის მაისურით პირველსავე სეზონში 11 გოლის გარდა 10 საგოლე გადაცემა გააკეთა. კიდევ უფრო ძლიერად ჩაატარა ფეხბურთელმა შარშანდელი სეზონი. მის ანგარიშზე 17 გოლი და 8 შედეგიანი გადაცემა დაგროვდა. ახალგაზრდა ფორვარდმა ლიგა 1-ის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მხოლოდ **მამადუ ნიანგს** დაუთმო. მიმდინარე სეზონში ის არანაკლები ტემპით "ბეჭდავს და ბეჭდავს" გოლებს, 16 გოლის გარდა 3 პასი გააკეთა. საუკეთესო ბომბარდირობას ის ალბათ ვერც წელს შესწვდება. მას 4 ბურთით "ლილის" ლიდერი **მუსა სოვი** უსწრებს.

რა მოხდება ამ ზაფხულს, ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ ივარგებს. კევინი საკუთარ სამომავლო გეგმებზე არ ლაპარაკობს, აცხადებს რა, რომ ჯერჯერობით "ლორიანის" გარდა სხვა საფიქრალი არ აქვს. მას მინდორზე სხვებისგან განსაკუთრებული ინტელექტი გამოარჩევს და იმედია, ეს ინტელექტი მას კარიერის წინსვლისთვისაც წაადგება. ის ხომ გზასაყარზე დგას. რომელი მიმართულება აღმოჩნდება მისთვის გამართლებული, იმედია, ამას უახლოეს წლებში ვიხილავთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა. კლაუსურა — IX ტურის მიმოხილვა

# ეკვატორზე გალიდერებული რივერი

## მინუს ორი მწვრთნელი და მოედანზე ანთებული სანთელი



გოლის აღნიშვნაც ასეთი უნდა: სანტიაგო სილვა (სანთლით)

**ესტუდიანტესი–სან ლორენსო 0:0**

**გაძევება:** პლასენტე (88. სან ლორენსო)

**ინდეპენდიენტე–გოდოი კრუსი 3:0**

**გოლები:** 1:0 ივან პერესი (54), 2:0 ფრედესი (66), 3:0 ნუნიესი (85)

**კოლონი–ოლიმპო 0:2**

**გოლები:** 0:1 ბარეირო (16), 0:2 ლიტრე (67)
**გაძევება:** კაირე (52. კოლონი)

**არსენალი–კილმესი 2:2**

**გოლები:** 0:1 პაბლო ვასკესი (25), 1:1 ლისანდრო ლოპესი (72), 1:2 გარნიე (82), 2:2 ლეგუისამონი (90)

**რივერი–ბანფილდი 1:0**

**გოლი:** 1:0 პავონე (68)
**გაძევება:** ბუსტამანტე (88. ბანფილდი)

**არხენტინოსი–ხიმნასია 1:1**

**გოლები:** 0:1 ვისკარა (25), 1:1 რიუსი (29)

**ლანუსი–ბოკა 2:0**

**გოლები:** 1:0 ვალერი (79), 2:0 ოიოსი (85)

**ტიგრე–ოლ ბოისი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბარიენტოსი (9)
**გაძევება:** როდალესი (90. ტიგრე), ხუან როდრიგესი (90. ოლ ბოისი)

**ველესი–ნიუელსი 2:0**

**გოლები:** 1:0 სანტიაგო სილვა (7), 2:0 ა. ფერნანდესი (78)
**გაძევება:** ესტიგარიბია (50. ნიუელსი)

**ურაკანი–რასინგი 0:0**

არგენტინის საშემოდგომო ჩემპიონატის ნახევარიც მიილია, ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ კლაუსურას ეკვატორს ლიდერის სტატუსით „რივერ პლეიტი" შეხვდებოდა, მდიდარი ისტორიის კლუბს ბოლო წლებში ხომ პრობლემები მოეძალა.

### ტურის მოვლენები

მართალია, „რივერი" 18 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, მაგრამ დაკარგული ქულების მიხედვით პოტენციური ლიდერი „ველეს სარსფილდია", რომელსაც კონკურენტზე ერთით ნაკლები ქულა აქვს, მაგრამ ერთით ნაკლები შეხვედრაც გამართა.

ამ ტურმა ერთბაშად ორი მწვრთნელი მოინადირა - „ნიუელს ოლდ ბოისი" წარსულში ცნობილ ფეხბურთელ **რობერტო ნესტორ სენსინის** შეელია, ხოლო „კოლონმა" მოულოდნელად **ფერნანდო გამბოა** დაითხოვა. მართალია, „კოლონის" არც თამაში და არც შედეგები არ იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ნახევარი წლის წინ კლუბის პრეზიდენტი გაცილებით უარეს სიტუაციაში მყოფი გუნდიდან არ უშვებდა **ანტონიო მოჰამედს**, სანამ ეს უკანასკნელი თავად არ წავიდა. აი, გამბოას კი შანსი ნაკლებად მისცეს - არადა, ერთი კვირის წინ „საბალეროშ" თვით „სან ლორენსოს" მოუგო.

„კოლონის" სეზონს მწვრთნელთა დუეტი ჩაამთავრებს, **მარიო სკიაკვა** და **რობერტო მარიონი**. მომავალში კი გუნდის თავკაცად **ხორხე ბურუჩაგა**, **დიეგო კანია** ან **ხოსე ანტონიო პიცი** ესახებათ. „ნიუელსის" მწვრთნელობა კი **მარსელო ბიელსას** შესთავაზეს, მაგრამ ჩილელთა ეროვნულმა გმირმა შორს დაიჭირა.

ტურის მოვლენად ისიც მიგვაჩნია, რომ, როგორც იქნა, მოიგო „ოლ ბოისმა" - 6-მატჩიანი მოუგებელი სერია „ტიგრეს" ძლევით დაასრულა.

### ტურის ციფრები

17 გოლი (1,7 გოლი მატჩში)

11:6 ასეთია ბურთების შეფარდება მასპინძლებსა და სტუმრებს შორის. ტურში არ ყოფილა არც ერთი ჰეთ ტრიკი და არც დუბლი.

სულ 3 ფეხბურთელი გააძევეს: **მაქსი კაირე** (კოლონი), **მარსელო ბუსტამანტე** (ბანფილდი) და **მარსელო ესტიგარიბია** (ნიუელსი). ამ უკანასკნელს პირდაპირ წითელი ბარათი აჩვენეს, წინა ორს - 2-2 ყვითელი ბარათი.

„ველესის" მოგებათა სერიამ 5 მატჩს მიაღწია.

ჯერ არ მოუგია „კილმესს", მაგრამ ნაგებათა გრაფაში აქვს 0 „არხენტინოს ხუნიორს".

### დანაკარგი

ტურის წინ „ოლიმპომ" პრეზიდენტი დაკარგა - 69 წლის ასაკში გარდაიცვალა **ხორხე ლედო**, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა, რომ გუნდი არგენტინული საკლუბო ფეხბურთის ელიტაში დამკვიდრებულიყო.

### ტურის მატჩი

„არხენტინოს ხუნიორსი" VS „ხიმნასია ლა პლატა"

ორი თანაბარძალოვანი გუნდის მატჩი. მეტოქეები იმდენად კარგად თამაშობდნენ, რომ ორივე გამარჯვებას იმსახურებდა. ცუდია, თუ „ხიმნასიასთან" გამოთხოვება მოგვიწევს ამ სეზონის შემდეგ, ძალიან საინტერესო გუნდია.

### ტურის გმირი

მათიას ალმეიდა (რივერ პლეიტი)

„რივერის" ინჩასები აღაფრთოვანა კაპიტნის თამაშმა - ის „ბანფილდთან" მატჩში საუკეთესო იყო. მოედნის ცენტრში ბრწყინვალედ ითამაშა და ერთადერთ გოლში მეტი წვლილი მიუძღვის, ვიდრე გოლის ავტორ **მარიანო პავონეს**. ვეტერანიც ასეთი უნდა.

### ტურის აღნიშვნა

„ველესის" გოლებს დიდი ინტერესით ველით ხოლმე, არა იმიტომ, რომ ვგულშემატკივრობთ - ექსტრავაგანტური **სანტიაგო სილვა** და მისი თანაგუნდელები მუდამ რაღაც საინტერესოს იგონებენ გოლის აღნიშვნისას. რა აღარ მოუფიქრებიათ მათ, მაგრამ ბოლო ტურში მსოფლიო გააოცეს - „ელ ტანკემ" გოლის გატანის შემდეგ მოედანზევე აანთო სანთელი. თურმე რატომ - ველესელ **აუგუსტო ფერნანდესს** დაბადების დღე ჰქონდა, იუბილარმა ჩააქრო კიდეც შებერვით სანთელი, ეს ყველაფერი მოედნის ცენტრში მოხდა - სილვას გარეშე არგენტინის ჩემპიონატი მოიწყენდა. შემდეგ გოლი უკვე თავად იუბილარმა გაიტანა.

### ტურის გოლები

**სანტიაგო სილვა** (ველესი) „ნიუელსის" კარში

**მარიანო პავონე** (რივერი) „ბანფილდის" კარში

**ივან პერესი** (ინდეპენდიენტე) „გოდოი კრუსის" კარში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რივერი | 9 | 5 | 3 | 1 | 9-4 | 18 |
| 2. ველესი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-7 | 17 |
| 3. ოლიმპო | 9 | 5 | 1 | 3 | 17-12 | 16 |
| 4. ესტუდიანტ. | 9 | 5 | 1 | 3 | 10-5 | 16 |
| 5. არხენტინოსი | 9 | 3 | 6 | 0 | 8-3 | 15 |
| 6. სან ლორენსო | 8 | 4 | 2 | 2 | 10-5 | 14 |
| 7. ლანუსი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-9 | 14 |
| 8. გოდოი კრუსი | 9 | 4 | 2 | 3 | 17-15 | 14 |
| 9. ინდეპენდ. | 9 | 3 | 4 | 2 | 13-9 | 13 |
| 10. რასინგი | 9 | 4 | 1 | 4 | 13-12 | 13 |
| 11. კოლონი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-14 | 13 |
| 12. ბანფილდი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 |
| 13. ურაკანი | 9 | 2 | 5 | 2 | 12-13 | 11 |
| 14. ტიგრე | 9 | 3 | 2 | 4 | 9-11 | 11 |
| 15. არსენალი | 9 | 2 | 4 | 3 | 12-13 | 10 |
| 16. ბოკა | 9 | 3 | 1 | 5 | 5-11 | 10 |
| 17. ხიმნასია | 9 | 2 | 3 | 4 | 9-13 | 9 |
| 18. ოლ ბოისი | 9 | 2 | 2 | 5 | 3-11 | 8 |
| 19. ნიუელსი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-19 | 5 |
| 20. კილმესი | 9 | 0 | 3 | 6 | 6-13 | 3 |

**ბომბარდირები:** 6 - კამპორა (ურაკანი), სტრაკვალურსი (ტიგრე); 5 - ფუერტესი (კოლონი), გუტიერესი (რასინგი), ვალერი (ლანუსი), ნეირა (ხიმნასია), მაჯოლო (ოლიმპო); 4 - ნავარო (გოდოი კრუსი), სილვა (ველესი).

ბარსელონა

# კაპიტანი თასის ფინალში დაბრუნდება

გუშინ „ბარსელონას" კაპიტანი **კარლეს პუიოლი** 33 წლის გახდა. იუბილეს ის ტრავმირებული შეხვდა - მართალია, კარლესმა ვარჯიში განაახლა, მაგრამ მისი თამაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამორიცხულია. თუმცა არის პოზიტიური ამბავიც - ექიმები კაპიტანს აიმედებენ, რომ ის ესპანეთის თასის ფინალში ითამაშებს, რომელიც 20 აპრილს ვალენსიაში გაიმართება, მეტოქე კი ისევ „რეალი" იქნება.

პუიოლს მარცხენა მუხლი აწუხებს, ამიტომ მას იანვრის შემდეგ არ უთამაშია. ამ ხნის განმავლობაში **ხოსეპ გვარდიოლა** **ჟერარდ პიკეს** ან არგენტინელ **გაბრიელ მილიტოს** უწყვილებდა, ანაც ნახევარდაცვიდან დაცვის ცენტრში **სერხიო ბუსკეტსი** გადაჰყავდა. კარლეს პუიოლი 1978 წლის 13 აპრილს დაიბადა ლეიდაში. მან მთელი კარიერა „ბარსელონაში" გაატარა, ოთხი სეზონი მან სარეზერვო გუნდში გაატარა, 1999 წელს კი პირველ გუნდში დებიუტი ჰქონდა. პუიოლმა „ბარსელონას" მაისურით 511 მატჩი ითამაშა და 9 გოლი გაიტანა.



პუიოლმა ვარჯიში დაიწყო

ამბები




# ატლეტიკომ აღიარა: დე ხეა შეიძლება ინგლისში წავიდეს

მადრიდის „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ პირველად ოფიციალურად აღიარა, რომ 20 წლის **დავიდ დე ხეას** შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ჩელსის" სურთ, თუმცა ამავე წყარომ კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს, უკვე გადაწყვეტილია ნიჭიერი გოლკიპერის ტრანსფერი „ნისლიან ალბიონზე".

სამშაბათს რადიო „ონდა სერომ" გაავრცელა ცნობა, რომ, თითქოს, დე ხეას აგენტი **ხორხე მენდესი** „იუნაიტედის" ბოსებს შეხვდა და „წითელ ეშმაკებთან" 20-მილიონიანი (ევროებში) ტრანსფერი შეათანხმა. მოკლედ, ზაფხულში **ედვინ ვან დერ სარი** კარიერას ასრულებს და ესპანელი მას შეცვლისო. „ატლეტიკოს" მენეჯერმა **ხილ მარინმა** ეს ცნობა უარყო: *„მენდესი ინგლისშია, თუმცა არა დე ხეას ტრანსფერის შესათანხმებლად, მას ამის უფლება უბრალოდ არ აქვს, გოლკიპერი კლუბის საკუთრებაა. სეზონის ბოლოს დავსხდებით და თავად მას დავეკითხებით, სურს თუ არა წასვლა. თუკი დე ხეა წასვლას მოინდომებს, მაშინ ჩვენ მომავალ მყიდველს იმ თანხას მოვთხოვთ, რაც დავიდს კონტრაქტში უწერია - 25 მილიონი ევრო. ვადასტურებ, რომ დე ხეას მიწვევა აქვს, როგორც „იუნაიტედიდან", ასევე „ჩელსიდან". დავიდს აქვს მესამე ვარიანტიც, ჩვენ მას მომხიბვლელი წინადადება შევთავაზეთ კონტრაქტის გაგრძელებაზე. ჩვენ ძალიან გვსურს, რომ ის მადრიდში დარჩეს, თუმცა თავის მომავალს თავადვე განსაზღვრავს ზაფხულში"*, - განუცხადა ხილ მარინმა იმავე რადიოს.

მეკარის მამამ **ხოსე დე ხეამ** ასევე უარყო ხმები, თითქოს, მისმა ვაჟმა უკვე მიაღწია შეთანხმებას „მანჩესტერ იუნაიტედთან. შეგახსენებთ, რომ დე ხეა კონტრაქტით 2013 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის „ატლეტიკოს". სხვათა შორის, „ატლეტიკოს" უკვე შეგულებული ჰყოლია დე ხეას შემცვლელი, „სელტას" გოლკიპერი **ისმაელ გომეს ფალკონი**.

## მატაც მიდის?

„მარკას" ახალი ცნობა ერთობ დაამწუხრებს „ვალენსიას" ქომაგებს - ზაფხულში „ღამურები" კიდევ ერთ ვარსკვლავს დაკარგავენ, **ხუან მატა** გუნდიდან წავა. მისი საბაზრო ფასი 30 მილიონი ევროა, ამხელა თანხის გადამხდელი კი პრემიერლიგური „ჩელსი" ყოფილა. „ვალენსიას" შემტევით „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალიც" ყოფილა დაინტერესებული. შეგახსენებთ, რომ შარშან კლუბი **დავიდ ვილიამ** და **დავიდ სილვამ** დატოვეს, მაგრამ მატა მაშინ დარჩა.

## რასინგის მეპატრონე ვალს არ იხდის

„რასინგის" მეპატრონის ინდოელი ბიზნესმენის **ალი საიედის** ქმედუნარიანობა კიდევ ერთხელ დააყენეს ეჭვქვეშ. კლუბის ახალ მეპატრონეს ჯერ კიდევ არ გაუსტუმრებია 11 ფეხბურთელის ვალი, რომლის ჯამი 1,7 მილიონ ევროს შეადგენს. ალი საიედი ამ ფეხბურთელებს შეჰპირდა ვალის გასტუმრებას, გავიდა დრო, მაგრამ სხვა ქვეყნებში კორუფციაში დადანაშაულებულმა ბიზნესმენმა პირობა ჯერ არ შეასრულა. 3 აპრილს ალი საიედი ბარსელონაში „ესპანიოლისა" და „რასინგის" მატჩს დაესწრო და მაშინაც შეაგულიანა ფეხბურთელები და უთხრა, რომ სულ მალე გაისტუმრებდა ვალებს.

## გარაი ლისაბონში მიდის

მადრიდის „რეალის" არგენტინელი მცველის, **ესეკიელ გარაის** აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი ახლოსაა ლისაბონის „სპორტინგში" გადასვლასთან. გარაის 2014 წლის ზაფხულამდე აკავშირებს ხელშეკრულება „სამეფო კლუბთან", მაგრამ **ჟოზე მოურინიო** მას ნაკლებად ენდობა - მთელ სეზონში გარაიმ სულ 292 წუთი ითამაშა. სავარაუდოდ, გარაი ლისაბონურ კლუბს 15 მილიონი ევრო დაუჯდება.

## ერთი ბურთი 602 ევრო დაუჯდათ



ორი ბურთი მოედანზე

„სარაგოსა"-"ხეტაფეს" მატჩის 85-ე წუთზე მასპინძელთა გუნდის სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე მეორე ბურთი შეაგდეს და ამით ჩაშალეს სტუმართა შეტევა. ამ საქციელის გამო თამაშის შემდე „სარაგოსას" მექსიკელი მწვრთნელი **ხავიერ აგირე** ბოდიშს იხდიდა და დამნაშავის დასჯას ჰპირდებოდა მეტოქეს. სანამ აგირე გაარკვევს, თუ სათადარიგო ფეხბურთელთაგან რომელმა იმაიმუნა, ლიგამ „სარაგოსა" ფულადი ჯარიმით დასაჯა, თუმცა ჯარიმა სიმბოლურია - 602 ევრო.

## ხესუს, მომავალ სეზონამდე

„სევილია" სეზონის ბოლომდე დაემშვიდობა ლიდერ **ხესუს ნავასს**. მან მარცხენა ფეხი ისე დაიზიანა, რომ, ექიმთა თქმით, 4-6 კვირას მოედანს ვერ გაეკარება. საუკეთესო შემთხვევაშიც კი ნავასს მხოლოდ ბოლო ტურში შეუძლია თამაში. მოკლედ, „სევილიას" ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა ულიდეროდ მოუწევს.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ფერგის ჭკუით და ბებერი რაიანის რქებით

| 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი | | |
|---|---|---|
| მანჩესტერი (ინგლისი) | 2:1 | ჩელსი (ინგლისი) |

12 აპრილი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 75 000 მაყურებელი

პირველი მატჩი 1:0

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - ო'ში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ნანი (75. ვალენსია), ქერიკი, გიგზი, პარკი - რუნი, ხ. ერნანდესი.

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი - ივანოვიჩი, ალექსი (82. ფერეირა), ტერი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი - ანელკა (61. კალუ), ტორესი (46. დროგბა), მალუდა.

**გოლები:** 1:0 ხ. ერნანდესი (43), 1:1 დროგბა (77), 2:1 პარკი (77)
**გაძევება:** რამირესი (70)
**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

**70-ე წუთზე, „ჩელსის" რამირესი რომ გაუძევეს, ლონდონური კლუბის გულშემატკივრებს იმედის ნაპერწკალიც ჩაუქრათ, მაგრამ კაცნაკლულმა „ჩელსიმ" მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება, რაც პირადად დიდიე დროგბას დამსახურებაა. შესაბამისად, იმედის ნაპერწკალი ისევ გალვივდა – დროგბას გოლის მერე, „ჩელსის" ნახევარფინალამდე ხომ მხოლოდ ერთი გოლილა აშორებდა. მაგრამ „მანჩესტერმა" კარლო ანჩელოტის გუნდის იმედი მაშინვე, იმავე წუთზე მოკლა – ლონდონელებს დროგბას გოლით გამოწვეული სიხარული ჯერ ხეირიანად არც კი დაემთავრებინათ, რომ პარკმა „იუნაიტედი" ისევ დააწინაურა და ამ წყვილის ბედი უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა. ამრიგად, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ნახევარფინალშია, „ჩელსიმ" „მანჩესტერზე" 2008 წლის ფინალში განცდილი მარცხისთვის შური ვერ იძია.**

## მატჩის წინ

ფერგიუსონს „იუნაიტედის" სასტარტო შემადგენლობასა და ტაქტიკაში არაფერი შეუცვლია. ერთი ეგ იყო, რომ ტრავმირებული **რაფაელის** ნაცვლად, მარჯვენა მცველის პოზიციაზე **ო'ში** ვიხილეთ. **რაიან გიგზი** ისევ საყრდენ ნახევარმცველად მოგვევლინა (**ქერიკის** გვერდით), თავდასხმაში კი, **რუნისთან** ერთად, „ჩიჩარიტო" უტევდა.

ანჩელოტიმ პირველ მატჩთან შედარებით, უფრო შემტევი ტაქტიკა აირჩია, რაც საკუთარ მოედანზე წაგებით გახლდათ გამოწვეული – როგორც მოსალოდნელი იყო, **ჟირკოვის** ნაცვლად, სასტარტოში **მალუდა** ვიხილეთ და ლონდონელები 4-3-3-ს თამაშობდნენ. წინა ხაზზე **ანელკა-ტორესი-მალუდას** ტრიო მოქმედებდა. როგორც ხედავთ, ანჩელოტი კვლავ ჯიუტად ენდო ტორესს, დროგბა კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

## მატჩი

გასაკვირი სულაც არ არის, ლონდონელებმა თამაში მასპინძლებზე გაცილებით აქტიურად რომ დაიწყეს. მე-14 წუთზე, **ეშლი კოულის** ჩაწოდებას **რიო ფერდინანდის** უიღბლო რეაქცია მოჰყვა, ბურთი ტორესს მიუვიდა, რომელმაც ანელკას დაუგორა, ამ უკანასკნელმა კი **ვან დერ სარის** კარს მცირე მანძილით ააცილა. ერთ წუთში მანჩესტერელთა საჯარიმოში მალუდამ შეაღწია და **ლემპარდს** უპასა, ამ უკანასკნელმა კი, 14 მეტრიდან ხეირიანად ვერ დაარტყა. 30-ე წუთზე **ვიდიჩმა** ანელკასთან ორთაბრძოლაში ბურთი დაკარგა, მაგრამ ვან დერ სარმა კარი დროულად დატოვა და ფრანგ თავდამსხმელს არ დაარტყმევინა.

ამ ყველაფრის ფონზე, **ხავიერ ერნანდესის** გოლი ცაზე მეხის გავარდნასავით კი იყო, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ფერგის ბიჭები გაცილებით ჭკვიანურად თამაშობდნენ და შესაბამისად, „ჩიჩარიტოს" გოლს ალოგიკურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. რუნიმ მარჯვენიდან გიგზი მოძებნა, უელსელმა კი ო'შისთან გაითამაშა კომბინაცია, ანელკა შეცდა, გიგზმა მეკარის საჯარიმოსკენ გაისროლა, სადაც ბურთს ერნანდესი დახვდა და ჩეხის კარში შეაგდო.

თამამად უნდა ვთქვათ, რომ დროგბამ „ჩელსის" წინა ხაზი მნიშვნელოვნად გააძლიერა და წესით, ანჩელოტის უნდა ენანა, კოტ დ'ივუარელი თავიდანვე რომ არ ათამაშა. 57-ე წუთზე, დროგბამ ლემპარდის პასი კარგად წაილო, ფერდინანდსაც გაუმკლავდა და ცენტრიდან მძლავრად დაჰკრა, თუმცა მცირე მანძილით ააცილა.

70-ე წუთზე ლონდონელები ათი კაცით დარჩნენ: რამირესი **ნანისთან** ორთაბრძოლაში უკნიდან შევიდა, წატორტმანდა და „იუნაიტედის" გარემარბი წააქცია, რის გამოც მეორე გაფრთხილება და შესაბამისად, წითელი ბარათი დაიმსახურა. ვფიქრობთ, მსაჯმა გადაამეტა, რადგან რამირესს არ უნდოდა ის, რაც გამოუვიდა. ამას მსაჯსაც უხსნიდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, უშედეგოდ.

მიუხედავად ამისა, „ჩელსიმ" მაინც შეძლო გოლის გატანა, დროგბამ კი დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში უნდა თამაშობდეს. **ესიენმა** კოტ დ'ივუარელს ბურთი ნახევრად მემარჯვენე პოზიციიდან გაატანა, **ევრა** თვლემდა, დროგბამ კი იძალავა (ოღონდ, საფეხბურთო წესების ფარგლებში) და ვან დერ სარს აუღებელი დაურტყა.

მანჩესტერელებმა თამაში ცენტრიდან განაახლეს, შეუტიეს და ეგრევე გაიტანეს: გიგზმა კარგად გახსნილი პარკი ჭკვიანური პასით მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი საკმაოდ მარტივად გაიტანა.

დასკვნა: მანჩესტერელები ნახევარფინალში აბსოლუტურად დამსახურებულად გავიდნენ.

## რეაქციები

**რაიან გიგზი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *„ორივე მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოვიდა, ნახევარფინალში თამაში კი ჩვენ დავიმსახურეთ, რადგან ორივე მატჩში ძალიან კარგად ვითამაშეთ. ეს წარმატება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან ვხვდები, რომ ფეხბურთში დიდხანს ველარ დავრჩები, მე კი ჯერ კიდევ მაქსიმალური სიამოვნების მიღება მინდა. თუ ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე „შალკე" იქნება, ამ გუნდსაც ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ, რადგან ვინც „ინტერს" „სან სიროზე" 5:2-ს მოუგებს, ასეთ გუნდთან ხუმრობა არ შეიძლება."*

**კარლო ანჩელოტი** (ჩელსის მწვრთნელი): *„სტემფორდ ბრიჯზე" არ უნდა წაგვეგო. საკუთარ კედლებში განცდილმა მარცხმა ჩვენი შანსები მინიმუმამდე დაიყვანა. პირველ ტაიმში თამაშს ვაკონტროლებდით, მაგრამ ერნანდესის გოლმა შრომა წყალში ჩაგვიყარა. მიუხედავად ამისა და კიდევ რამირესის გაძევებისა, თამაშში მაინც დავბრუნდით და ანგარიში გავათანაბრეთ, მაგრამ სიხარულით გამოწვეული ქაოსით „მანჩესტერმა" ისარგებლა და ბოლო იმედიც გადაგვიწურა. სამწუხაროა, რომ ამ სეზონში ვერც ერთ ტიტულს ვერ ვიგებთ. ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ პრემიერლიგაში სამეულში მოვხვდეთ. ვფიქრობ, რომ „ჩელსის" მწვრთნელი მომდევნო სეზონშიც მე ვიქნები – ამ გუნდთან ხომ კონტრაქტი მაკავშირებს."*

## TOP ფეხბურთელი
### რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი)

მოედანზე მყოფთაგან, გიგზი არა მარტო ყველაზე ბებერი, არამედ ყველაზე მაგარი ფეხბურთელიც იყო. ზოგადად, უელსელ ნახევარმცველს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ „იუნაიტედი" ნახევარფინალში გავიდა: პირველ მატჩში, უეინ რუნის გამარჯვების გოლი სწორედ მან გაატანინა და გუშინწინაც, ორივე გოლის დროს საგოლე პასის ავტორი გახლდათ. გიგზის საყრდენი ნახევარმცველის რანგში ხილვა ცოტა არ იყოს, უჩვეულოა, რადგან ორთაბრძოლებისას მთლად საუკეთესო არ არის, სამაგიეროდ, ვეტერანი ნახევარმცველი ბურთთან ერთად ძველებურად სამაგალითოა.

## FLOP ფეხბურთელი
### ფერნანდო ტორესი (ჩელსი)

თავის გამოჩენას ვინ ჩივის, ესპანელი თავდამსხმელი „ჩელსიში" საერთოდ არ ჩანს. „ელ ნინიოს" ამჯერადაც არაფერი გაუკეთებია – მის აქტივში მხოლოდ ერთი მოგებული საჰაერო დუელია (ფერდინანდთან). ტორესი ლონდონელთა რიგებში ხორცმეტივითაა. თავიდანვე დროგბას რომ ეთამაშა, „ჩელსისთვის" აშკარად უკეთესი იქნებოდა.

## მსაჯი

პორტუგალიელი **ოლეგარიო ბენკერენშა**, საერთო ჯამში, თამაშს აკონტროლებდა, მაგრამ ზედმეტად ბევრი ბარათები ჩამოარიგა, ზოგ შემთხვევაში კი ფეხბურთელები ზედმეტად დაინდო.

## ანალიზი

პირველ წუთებში ორივე გუნდის ფეხბურთელები დაბნეულები ჩანდნენ და შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, რის შემდეგაც ინიციატივა ხელში „ჩელსიმ" ჩაიგდო - შესაძლოა, „მანჩესტერმა" განგებაც კი დაუთმო მოედნის ცენტრი. ლონდონელთა მხრიდან ძალიან აქტიურობდა რამირესი – პირველ ტაიმში ის ერთადერთი ფეხბურთელი გახლდათ, რომელიც ფერგიუსონის ბიჭებს პრობლემებს უქმნიდა. გარდა ამისა, თავის თავს არ ჰგავდა ფერდინანდიც, რომელსაც თავიდანვე ფეხი ატკინეს. უჩვეულოდ თავდაუჯერებელი იყო მისი მეწყვილე ნემანია ვიდიჩიც, ხოლო ჯონ ო'ში კი სწრაფ **ეშლი კოულს** ვერ აკონტროლებდა. მიუხედავად ამისა, „ჩელსის" შეტევაში სიმძაფრე აკლდა – პირველ რიგში იმიტომ, რომ ტორესი იყო ზედმეტად უნიათო.

მანჩესტერელები აზრზე სადღაც 30-ე წუთიდან მოვიდნენ, ლონდონელები წნეხის ქვეშ მოაქციეს და აიძულეს, რამდენიმე შეცდომა დაეშვათ. ამ დროს რუნი ფაქტობრივად ყველგან იყო, შეტევებს ჭკვიანურად ხელმძღვანელობდა და ერნანდესის გოლი, რომლითაც ანგარიში გაიხსნა, მისი დამსახურებაცაა.

გოლმა „იუნაიტედი" ისევ დაამშვიდა, ფერგის ბიჭებმა კვლავ უკან დაიხიეს და ლონდონელებს მათ ნახევარზე მხოლოდ ერნანდესი შეატოვეს. მიუხედავად ამისა, ანჩელოტის გუნდი მაინც ვერაფერს ახერხებდა – მანამდე, სანამ მოედანზე დროგბა არ გამოვიდა, რომელმაც ევრა უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქცია.

საბოლოო ჯამში, „მანჩესტერი" „ჩელსიზე" ჭკვიანი გუნდი გამოდგა. ორივე დუელში ნანახი ფეხბურთის გათვალისწინებით, ნახევარფინალში გასვლა სწორედ ფერგის ბიჭებმა დაიმსახურეს. რა ელის ანჩელოტის? რა ელის ფერნანდო ტორესს? უახლოეს მომავალში, „ჩელსის" შეფვებისგან პასუხს სწორედ ამ კითხვებზე ველოდებით.



მთავარი მოქმედი პირები: რაიან გიგზი და ხავიერ „ჩიჩარიტო" ერნანდესი



დონეცკელებს მესის შეჩერება, რასაკვირველია, ძალიან უჭირდათ

# მადლობა და ნახვამდის, შახტარ!

**ნახევარფინალში ისეთი ამბები გველის, ხელების ფშვნეტა დღეიდანვე უნდა დავიწყოთ...**

| 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი | | |
|---|---|---|
| შახტარი (უკრაინა) | 0:1 | ბარსელონა (ესპანეთი) |

12 აპრილი. დონეცკი. დონბას არენა. 46 500 მაყურებელი

პირველი მატჩი 1:5

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - კობინი, იშჩენკო, რაკიცკი, შევჩუკი - ჰიუბშმანი (75. ფერნანდინიო), მხითარიანი - დუგლას კოშტა (58. ედუარდო), ჟადსონი, ვილიანი - ლუიზ ადრიანო (66. მორენო).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, ბუსკეტსი, პიკე (70. გ. მილიტო), ადრიანო - ჩავი (66. პედრო), მასკერანო, კეიტა - აფელაი, მესი, ვილია (75. ჟეფრენი).

**გოლი:** 0:1 მესი (43)
**არბიტრი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

**როგორც მოსალოდნელი იყო, „ბარსელონა" ნახევარფინალში აბსოლუტურად უპრობლემოდ გავიდა. „ნოუ კამპზე" „შახტარის" 5:1-ზე განადგურების შემდეგ, კატალონიელებმა „დონბას არენაზეც" გაიმარჯვეს და ახლა „რეალთან" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებისთვის (პრიმერადივიზიონში, ესპანეთის თასის ფინალსა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში) ემზადებიან.**

**მესის გოლი მისთვის ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში, რიგით მე-9 გახლდათ, ზოგადად კი, ლეოს ამ სეზონში 48 გოლი აქვს შეგდებული.**

## მატჩის წინ

„შახტარს" არ ჰყავდა ორი უმთავრესი ფეხბურთელი - მცველი **რაცი** (დისკვალიფიკაცია) და კაპიტანი (ასევე მცველი) **სრნა** (ტრავმა). **მირჩა ლუჩესკუმ** მათ ნაცვლად, **კობინი** და **შევჩუკი** ათამაშა. „ბარსელონას" შემთხვევაში კი, ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობის მოლოდინი არ გამართლდა: **პეპ გვარდიოლამ** მოედანზე ფაქტობრივად პირველი გუნდი გაიყვანა. „ბარსას" **ანდრეს ინიესტა** დისკვალიფიკაციის გამო აკლდა და მის ნაცვლად, გვარდიოლამ **აფელაი** ათამაშა, ნახევარდაცვის ცენტრში კი, **ხავიერ მასკერანოს** მისცა თავის გამოჩენის შანსი.

## TOP ფეხბურთელი
### იბრაჰიმ აფელაი (ბარსელონა)

„ბარსელონას" აფელაი ძირითადი შემადგენლობისთვის არ უყიდია, მაგრამ გვარდიოლა ყოველთვის ამბობდა, როცა დაგვჭირდება, ამ ბიჭმა უნდა დაამტკიცოს, რომ „ბარსაში" თამაშის ღირსია და მე მას თავის გამოჩენის შანსს არაერთხელ მივცემო. ინიესტას დისკვალიფიკაციის გამო მიღებული შანსი ჰოლანდიელმა ძალიან კარგად გამოიყენა და დაამტკიცა, რომ გვარდიოლას შეუძლია, ნებისმიერ დროს ენდოს. აფელაი ძალიან ბევრს მოძრაობდა, მარცხენა ფლანგზე მუდმივად აქტიურობდა და თამამად ვიტყვით, მოედანზე საუკეთესო იყო.

## FLOP ფეხბურთელი
### დავიდ ვილია (ბარსელონა)

მოედანზე **დავიდ ვილიაც** იყო, მაგრამ არც ერთ განსაკუთრებულ სცენაში არ მიუღია მონაწილეობა. გვარდიოლამ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი 75-ე წუთზე შეცვალა. ეს ნამდვილად არ იყო ვილიას დღე.

## მსაჯი

გერმანელ არბიტრ **ფლორიან მაიერს** პრობლემები არ შეჰქმნია, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თვითონ მატჩიც აბსოლუტურად უპრობლემო იყო. თუმცა ნამდვილად დასაფასებელია ის, რომ გერმანელმა მსაჯმა ასი პროცენტით სწორი გადაწყვეტილებები მიიღო.

## ანალიზი

თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში, „შახტარმა" თავისი თამაში იპოვა, „ბარსელონა" კი ინერტული გახლდათ. გვარდიოლას შეგირდები თავს აშკარად არ იკლავდნენ, რის გამოც ვერც გავამტყუნებთ და მხოლოდ გარკვეულ მომენტებში ახორციელებდნენ მათთვის ჩვეულ პრესინგს. დონეცკელები კი თითქმის ყველა ორთაბრძოლაში ზომიერად აგრესიულად შედიოდნენ.

ალბათ პირველი მატჩის ანგარიშის ბრალი იყო ისიც, რომ კატალონიელებს ბურთის ფლობის მხრივ დიდი უპირატესობა არ ჰქონიათ და არც მოპოვება უცდიათ. ცხადი იყო, რომ „ბარსა" ამ თამაშში ძალების დაზოგვას აპირებდა, რაც ლოგიკურია. „შახტარი" მეტწილად მარცხენა ფრთიდან უტევდა და დონეცკელთა ყველა იერიში **ჟადსონზე** გადიოდა.

დაახლოებით 30 წუთის შემდეგ, მეტ-ნაკლებად „ბარსელონამაც" იპოვა თავისი თამაში. როგორც კი მეტად მოინდომეს, კატალონიელებმა „შახტარის" კართან მაშინვე ორი მომენტი შექმნეს. მეორე მომენტი მესიმ გოლით დააგვირგვინა.

„ბარსელონა" მეორე ტაიმშიც ფხიზლად იყო, დონეცკელებმა კი მხოლოდ პირველ წუთებში მოინდომეს, ხოლო დაახლოებით 65-ე წუთიდან, „შახტარი" დანებდა და „ბარსამ" პირველი „ელ კლასიკოსთვის" მზადება დაიწყო. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ საგოლე მომენტები მასპინძლებსაც ჰქონდათ, „ბარსელონამ" მაინც მოიგო.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათის მატჩები

# უმოურინიოდ და უტიტულოდ

## ლიგაზე ორი ბონუსკლასიკო გაფორმდა

**1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**შალკე (გერმანია) 2:1 ინტერი (იტალია)**

13 აპრილი. გელზენკირხენი. აუფ შალკე. 54 142 მაყურებელი

პირველი მატჩი 5:2

**შალკე (4-4-2):** ნოიერი - უჩიდა, მეტცელდერი, ჰიოვედესი, სარპეი - ბაუმიოჰანი (73. დრაქსლერი), მატიპი, პაპადოპულოსი, ხურადო (87. შმიტცი) - რაული, ედუ (77. ხარისტეასი).

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია, ლუსიო, ნაგატომო - სტანკოვიჩი (46. პანდევი), ტიაგო მოტა, სნეიდერი (80. კოუტინიო), ძანეტი - ეტო'ო, დ. მილიტო.

**გოლები:** 1:0 რაული (45), 1:1 ტიაგო მოტა (49), 2:1 ჰიოვედესი (81)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ინტერი
პირველი კუთხური: შალკე
პირველი ჯარიმა: შალკე
პირველი გაფრთხილება: ინტერი

| შალკე | | ინტერი |
|---|---|---|
| 8 (4) | დარტყმა | 20 (5) |
| 26 | ჯარიმა | 13 |
| 7 | კუთხური | 12 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 40% | ბურთის ფლობა | 60% |

**არბიტრი:** სკომინა (სლოვენია)



ნამიც და რაული ანგარიშს გახსნის

**1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ტოტენჰემი (ინგლისი) 0:1 რეალი (ესპანეთი)**

13 აპრილი. ლონდონი. უაით ჰართ ლეინი. 36 000 მაყურებელი

პირველი მატჩი 0:4

**ტოტენჰემი (4-4-1):** გომეში - ჩორლუკა, გალასი, დოუსონი, ასუ-ეკოტო - ლენონი (61. დეფო), ჰადლსტოუნი (71. სანდრო), მოდრიჩი (83. კრანჩარი), ბეილი - ვან დერ ვაარტი - პავლიუჩენკო.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი (57. გრანერო), რიკარდო კარვალიო, ალბიოლი, არბელოა - ჩაბი ალონსო (75. ზენზემა), ხედირა - რონალდო (65. კაკა), იოზილი, მარსელო - ადებაიორი.

**გოლი:** 0:1 რონალდო (50)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ტოტენჰემი
პირველი კუთხური: რეალი
პირველი ჯარიმა: ტოტენჰემი
პირველი გაფრთხილება: რეალი

| ტოტენჰემი | | რეალი |
|---|---|---|
| 16 (3) | დარტყმა | 11 (4) |
| 9 | ჯარიმა | 12 |
| 4 | კუთხური | 5 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

**არბიტრი:** რიცოლი (იტალია)



მეკარე გომესმა ტოტენჰემი ვერც ამჯერად გადაარჩინა

მაშინ, როცა **ჟოზე მოურინიო** „ტოტენჰემთან" მატჩის შემდეგ ლონდონში მილოცვებს იღებდა, მისი ყოფილი კლუბი „ინტერი" ჩემპიონთა თასს ოფიციალურად გელზენკირხენში დაემშვიდობა. მაშ ასე, 2011/12 წლების სეზონის ჩემპიონთა თასს სხვა გუნდი მიიღებს და, შესაძლოა, ეს ისევ მოუს გუნდი იყოს... ამჯერად „რეალი".

მანამდე კი „სამეფო კლუბს" მოვლენებით დატვირთული აპრილ-მაისი ელის, ხუმრობა ხომ არ არის 3 კვირის განმავლობაში 4 „კლასიკო"! აქედან თითო ჩემპიონატსა და თასზე, ორიც ჩემპიონთა ლიგაში. მოკლედ, მომავალ დღეებში საფეხბურთო სამყარო „რეალისა" და „ბარსელონას" დაპირისპირებებით იცხოვრებს.

ამ ფონზე ჩრდილში ექცევა მეორე ნახევარფინალური წყვილი ინგლისის ჩემპიონობასთან ახლოს მყოფ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და საოცარ „შალკეს" შორის, რომელიც შინაურ პირველობაზე ვერ ყოჩაღობს, მაგრამ **რაულის** დამსახურებით ჩემპიონთა ლიგაზე კაშკაშებს.

როგორც ხედავთ, წუხანდელ მატჩებზე ჯერ ბევრიც არაფერი დაგვიწერია - მიზეზი მარტივია: „რეალმაც" და „შალკემაც" საგზური პრაქტიკულად პირველ მატჩებში მოიპოვეს და ახლა ეს ოფიციალურად გაიფორმეს. ამის მიუხედავად, „უაით ჰართ ლეინზე" გამართულ შეხვედრას მოსაწყენს ვერ დაარქმევდი. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ **გარეთ ბეილი** დღეისათვის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა ფლანგელია მსოფლიოში. მისი გამკლავება **სერხიო რამოსსაც** გაუჭირდა. თამაში კი **კრიშტიანო რონალდოს** შორეული დარტყმით და **ეურელიო გომეშის** ბავშვური შეცდომით დაგვამახსოვრდება, კიდევ იმით, რომ ინგლისელები პირველ ტაიმში სამჯერ ითხოვდნენ პენალტის დანიშვნას და სამივეჯერ მათი პრეტენზიები სამართლიანს ჰგავდა, იმასაც აღვნიშნავთ, რომ რუსმა **პავლიუჩენკომ** ვერა და ვერ გაისწორა მიზანი, თავით თუ ფეხით მან ხელსაყრელი მომენტები გაატანა ქარს.

მეორე შეხვედრაში ყველა კითხვას (თუკი ვინმეს კიდევ ჰქონდა) პასუხი პირველი ტაიმის მიწირულს გაეცა, როცა გერმანულმა გუნდმა სუფთა ესპანური კომბინაცია გაითამაშა - **ხოსე მანუელ ხურადომ** რაული მოძებნა, ვეტერანმაც **ჟულიო სეზარი** მოატყუა და გოლი ისე გაიტანა. საბოლოოდ „შალკემ" „ინტერზე" ორი მატჩის ჯამში 7:3 იმარჯვა, ხოლო „რეალმა" - „ტოტენჰემზე" - 5:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ნახევარფინალი

**პირველი მატჩები**

26 აპრილი
**შალკე-მანჩესტერი**
27 აპრილი
**რეალი-ბარსელონა**

**საპასუხო მატჩები**

3 მაისი
**ბარსელონა-რეალი**
4 მაისი
**მანჩესტერი-შალკე**

● მოსალოდნელი ტრანსფერი



გახდება ნური შაჰინი (მარცხნივ) კრიშტიანო რონალდოს თანაგუნდელი?

# შაჰინი მხოლოდ 6 მილიონად რეალში?

## თურქის კონტრაქტში ისეთი პუნქტი დევს...

გუშინ „ბილდმა" დორტმუნდის „ბორუსიას" გულშემატკივრებისთვის შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიდი შანსია, რომ BVB-ს ლიდერი, 22 წლის თურქი ნახევარმცველი **ნური შაჰინი** ზაფხულში მადრიდის „რეალში" გადავიდეს. „ბილდი" წერს, რომ მისი შეძენა თვით **ჟოზე მოურინიომ** მოისურვა და რომ „ბორუსიას" უკვე დაუკავშირდნენ „რეალის" ხელმძღვანელები.

ხსენებული გამოცემა იმასაც წერს, რომ შაჰინის კონტრაქტში, რომელსაც ვადა 2013 წლამდე აქვს, ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ნურის ამ ზაფხულს „რეალში" გადასვლა სულ რაღაც 6 მილიონ ევროდ შეუძლია. მოგეხსენებათ, შაჰინი რეალურად გაცილებით ძვირი ღირს. „შპორტ ბილდი" იტყობინება, რომ შაჰინის გადაბირება მილანის „ინტერსაც" უნდა, მაგრამ თვითონ ფეხბურთელი უპირატესობას „სამეფო გუნდს" ანიჭებს.

გაირკვა, რომ შაჰინის „რეალში" ტრანსფერს მისი აგენტი **რეძა ფაძელი** „ძერწავს", რომელიც, ამავდროულად, მადრიდული გრანდის წარმოშობით თურქი გამთამაშებლის, **მესუთ იოზილის** მრჩეველიცაა. მადრიდელები შაჰინს ხელფასის გაორმაგებას ჰპირდებიან – ნურის ჯამაგირი „დორტმუნდში" წლიურად 2 მილიონი ევროა, „რეალში" კი 4 მილიონს აიღებს.

ცხადია, ჩვენი გერმანელი კოლეგები შაჰინს დაუკავშირდნენ და კომენტარის გაკეთება სთხოვეს. ფეხბურთელმა სპეკულაციები უარყო და განაცხადა, რომ ახლა მხოლოდ „ბორუსიაზე" და გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაზეა კონცენტრირებული. თუმცა მისი ეს განცხადება სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, შაჰინი „რეალით" უკვე ოფიციალურადაც დაინტერესდეს. ნიშანდობლივია, რომ დორტმუნდელებმა „ნიურნბერგის" ნახევარმცველ **ილქაი გიუნდოგანს** დაადგეს თვალი – ეს უკანასკნელი ხომ სწორედ შაჰინის პოზიციაზე თამაშობს. „ბორუსიას" ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ გიუნდოგანის ყიდვა უნდათ, იმას კი არ აღიარებენ, რომ ეს უკანასკნელი შაჰინის შემცვლელად სჭირდებათ. უფრო სწორად, ჯერ არ აღიარებენ...

**გოტფრიდ ლენცი**

●ამბები

### ტიონიესი ნოიერის შენარჩუნებას ეცდება

„შალკეს" ბოსი **კლემენს ტიონიესი** პირობას დებს, რომ **მანუელ ნოიერის** შენარჩუნებისთვის ყველაფერს გააკეთებს. *„მანუელი „შალკეს" მთავარი ფეხბურთელი, გუნდის სული და გულია. შესაბამისად, ჩვენ ვალდებულები ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ის გელზენკირხენში დარჩეს. ცოტა ხნის წინ მასთან გულახდილი საუბარი მქონდა და ვუთხარი, „შალკეში" შენი მისია ჯერ არ დასრულებულა-მეთქი,"* - უთხრა ტიონიესმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის ნოიერი „შალკეს" კაპიტანია. მისი გადაბირება მიუნხენის „ბაიერნს" და „მანჩესტერ იუნაიტედს" სურთ.

### სტანი ცრემლებით მიდის

გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ „ზანკტ პაულის" მთავარი მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკი** სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს. პრესკონფერენციაზე, რომელზეც ეს ცნობა ოფიციალურად დადასტურდა, სტანისლავსკიმ ემოციები ვერ მოთოკა და იტირა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჰოლგერი „ზანკტ პაულის" 18 წლის მანძილზე ემსახურა: თავიდან ფეხბურთელის, მერე ვიცე-პრეზიდენტის, სპორტული დირექტორის და ბოლოს მწვრთნელის რანგში. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ სტანისლავსკი მომდევნო სეზონში „ჰოფენჰაიმს" უთავკაცებს. მიმდინარე სეზონის დარჩენილ 5 ტურში კი, მისი მისია „ზანკტ პაულის" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან გადარჩენაა.

**გოტფრიდ ლენცი**

● ევროპის ლიგა. საპასუხო მატჩების წინ

| დღეს, 21:00 | დღეს, 23:05 |
|---|---|
| სპარტაკი (რუსეთი) VS პორტუ (პორტუგალია) | ბრაგა (პორტუგალია) VS დინამო (უკრაინა) |
| პირველი მატჩი 1:5 | პირველი მატჩი 1:1 |

| დღეს, 23:05 | დღეს, 23:05 |
|---|---|
| ეინდჰოვენი (ჰოლანდია) VS ბენფიკა (პორტუგალია) | ტვენტე (ჰოლანდია) VS ვილიარეალი (ესპანეთი) |
| პირველი მატჩი 1:4 | პირველი მატჩი 1:5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# იქნებ დღესვე გაირკვეს




საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ავსტრიელ მსოფლიოსა და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **პეტერ ზაიზენბახერის** მიერ შემუშავებული გეგმით ემზადება 21-24 აპრილს სტამბოლში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის. მოგეხსენებათ, საევროპოდ მან სრულიად განსხვავებული სისტემით ვარჯიში დაისახა მიზნად - ძირითადად უცხოეთში გამართული ერთობლივი შეკრებებით ცდილობს ფონს გასვლას. ამასთან, ძირითადი აქცენტი მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაიტანა, ევროპაზე კი მეორე შემადგენლობის წაყვანას აპირებს. ნაკრებმა უკვე გაიარა რამდენიმე საწვრთნელი ეტაპი უცხოეთში - გერმანიაში, იაპონიაში (სადაც იმ დამანგრეველ მიწისძვრასაც შეესწრნენ), სულ ბოლოს თურქეთში იყვნენ, ახლა კი დასკვნით შეკრებას დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გადიან. ზაიზენბახერი სტამბოლში წასაყვანი ფალავნების დასახელებას ჯერ არ ჩქარობს, თუმცა უკვე არც ჩემპიონატამდე დარჩა დიდი დრო და არც - გუნდის გამოცხადებამდე. დუშეთში დღეს საკონტროლო შეხვედრებია და, სავარაუდოდ, შემადგენლობაც ამის შემდეგ დასახელდება.

მართალია, ზაიზენბახერს ძირითადი აქცენტი მსოფლიოზე აქვს გადატანილი (სხვა თუ არაფერი, ამაზეა დამოკიდებული მისი კონტრაქტის შემდგომი ბედი), თუმცა ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, თითქოს ევროპაზე გუნდის გამოსვლა არ აინტერესებდეს და ეს შეჯიბრება უმნიშვნელო იყოს ან მისთვის, ან - სპორტსმენებისთვის. პირიქით - დიდწილად სწორედ ამ შედეგზეა დამოკიდებული აგვისტოში პარიზში, მსოფლიოს პირველობაზე წამსვლელთა ვინაობა. თუ რომელიმე სპორტსმენი ევროპაზე თავს ვერ გამოიჩენს ანუ მწვრთნელები მასში პერსპექტივას ვერ დაინახავენ, არც პარიზში წაიყვანენ. მწვრთნელი სულაც არ აპირებს ყველა კვოტის გამოყენებას მხოლოდ იმის გამო, რომ მსოფლიოზე სრულად დაკომპლექტებული გუნდით გამოვიდეს. მას მხოლოდ რეალური კანდიდატების წაყვანა სურს. მსოფლიოზე მონაწილეობა უკვე განაღდებული აქვთ წონების ლიდერებს, თუმცა ზოგან ჯერ არც ეს საკითხია გარკვეული და ახლა კონკურენცია სწორედ ლიდერთა გამოსავლენად მიდის. სავარაუდოდ, ამასვე ემსახურება დღევანდელი საკონტროლო შეხვედრებიც. აქვე იმასაც გეტყვით, რომ, შესაძლოა, ზაიზენბახერმა სტამბოლში პირველი ნომრებიდანაც იახლოს ვინმე - მხოლოდ ისინი, ვისაც საშეჯიბრო პრაქტიკა სჭირდება. ხმები ამის შესახებ ნაკრების სამზარეულოდან დიდი ხანია გამოდის, თუმცა ვნახოთ, რას გადაწყვიტავს მწვრთნელი.

#### ქალების საქმე გარკვეულია

ის, რაც ზაიზენბახერისთვის ჯერ კიდევ დილემაა, უკვე გაარკვია ქალთა ნაკრების თავკაცმა **გია თენაძემ,** თუმცა მას ბევრი საფიქრალი არც ჰქონდა. მოგეხსენებათ, ქალთა ძიუდო ჩვენში ახლა იდგამს ფეხს და თენაძეს სრულფასოვანი კადრები არც ისე ბევრი ჰყავს. ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანად მან ერთადერთი მონაწილე შეარჩია - ახალგაზრდა სამბისტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი **ნინო ოძელაშვილი** (70). მწვრთნელს ოლიმპიური ლიცენზიის მომპოვებელთაგან რეალური კანდიდატი მხოლოდ ეს შემორჩა და ამიტომ არ მიჰყავს სხვები. თან არც ფინანსურად ულხინთ, თუმცა, შესაძლოა, სტამბოლში კიდევ ერთმა ქართველმა იჭიდაოს - მძიმეწონოსანმა **ირინა ლეონიძემ**, რომელმაც იქ საკუთარი ხარჯით წასვლის სურვილი გამოთქვა. ფედერაცია მის სურვილს ხელს არ უშლის და სავარაუდოდ, ევროპაზე ამასაც ვიხილავთ. თურქეთში წასვლამდე ეს დუეტი სპარინგპარტნიორებთან ერთად გორში გაივლის შეკრებას, სადაც ერთი ანალოგიური წვრთნა უკვე მოაწყვეს. ისინი ამ დასკვნითი ეტაპის გავლას თურქეთში აპირებდნენ, სადაც იქაური ნაკრების ხელმძღვანელობა იწვევდა ერთობლივ ვარჯიშებზე, მაგრამ თურქებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და ჩვენებსაც გეგმების გადაწყობა მოუხდათ.

დასასრულს, ერთი ცნობა ჩვენი ვაჟების მომავალ მეტოქეთა შესახებ. შემადგენლობა დაასახელა აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცმა **აგიარ ახუნდზადემ**, რომელსაც სრულად დაკომპლექტებული გუნდი არ მიჰყავს, მაგრამ ყველა ლიდერს აჭიდავებს: **ილგარ მუშკიევი** (60), **ტარლან კერიმოვი, სამირ დადაშზადე** (ორივე - 66), **რენატ მირზალიევი, რამილ გასიმოვი** (ორივე - 73), **ელნურ მამედლი, ელხან რაჯაბლი** (ორივე - 81), **ელხან მამედოვი** (90), **ელმარ გასიმოვი, საინ მამედოვი** (100) და **ემილ ტაიროვი** (+100), ქალთა ტურნირში კი ორი მონაწილე ეყოლებათ - **კიფაიატ გასიმოვა** (57) და **რამილა იუსუბოვა** (63).

**ირაკლი თავაძე**

### ქალთა ძიუდო. ბაქოს ტურნირი

# სამი წაგებული ფინალი

რამდენიმე დღის წინ - 16 წლამდელ ძიუდოისტ გოგონათა გუნდმა ბაქოში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. შეჯიბრება ძირითადად რეგიონალური პრინციპით გაიმართა - მასპინძელთა და ჩვენებურთა გარდა, თურქეთისა და რუსეთის ნაკრებებიც გამოდიოდნენ. ჩვენი სპორტსმენების მონაგარი ოთხი მედალია - სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო. **გია თენაძის** შეგირდთაგან ფინალში **გურანდა შოთაძე** (52), **მარიამ ციხელაშვილი** (57) და **ანა მინდიაშვილი** (63) გავიდნენ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სამივე დამარცხდა და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. კვლავაც გამოიჩინა თავი **მარიამ ჯანაშვილმა** (57), რომელმაც წლეულს ანთალიაში გამართული ევროპის თასი მოიგო, ამჯერად კი მესამე ადგილზე გავიდა.

როგორც ბიჭები, ამ ასაკის გოგოებიც ზაფხულში მალტურ კოტონერაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ერთ კვირაში ისინი დუშეთში შეკრებასაც დაიწყებენ.

**ირაკლი თავაძე**

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

### ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# სტუმარი ჩემპიონს ღირსეულად ეთამაშა



მესამე დღეა, რაც საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრები მიმდინარეობს. გათამაშების ლიდერმა სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის გუნდმა "თბილისმა" რიგით მე-18 გამარჯვება ამჯერად სტუმარ აზერბაიჯანის ნაკრებთან მიითვალა. გუნდებმა შეხვედრის პირველივე წუთებიდან ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ერთმანეთს. მატჩი ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. შეხვედრის პირველ ნახევარში თბილისელებმა მეტოქეს მხოლოდ ერთქულიანი სხვაობით, 17:16 ძლიეს. მეორე ნახევრის პირველ წუთებში აზერბაიჯანის გუნდი ოდნავ მოდუნდა და მეტოქეს საშუალება მისცა, რამდენიმე ქულით დაწინაურებულიყო, თუმცა მატჩის მიწურულს სტუმრებმა თამაშის ხარისხი გააუმჯობესეს. საბოლოოდ კი შეხვედრა აგრარული უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოდ 35:33 დასრულდა. მატჩის პირველ ნახევარში ტრავმა მიიღო თბილისელთა მეკარე **გიგა კიკნაძემ**, რომელსაც **ალექსანდრე გონჩაროვი** ჩაენაცვლა. გონჩაროვმა შეხვედრის მეორე ნახევარში უხეში შეცდომები დაუშვა.

გუშინდელი დღის მსგავსად, კვლავ ხელი მოეცარა "ბათუმის" გუნდს - ამჯერად "ქუთაისთან" 34:41 დამარცხდა. დღის დასკვნითი შეხვედრა თსუ-სა და "ქარიშხალას" შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით, 20:43 დასრულდა.

ჩემპიონატის გამოკვეთილი ბომბარდირი 166 გატანილი გოლით "ბათუმის" წევრი **გოგიტა ნიკურაძეა.**

***ჰიკმატ აბდულაევი (აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელი):*** "ჩვენთან ჩემპიონატი უკვე დასრულდა. ვფიქრობ, საქართველოს პირველობა საკმაოდ პრინციპული ტურნირია. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ხელბურთის ფედერაციას, მონაწილეობაზე რომ დაგვთანხმდნენ. მიხარია, ჩვენი გუნდის წარმატებული თამაში, ყოჩაღ ბიჭებს. რაც შეეხება მეტოქე გუნდებს, მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ ძლიერად ასპარეზობენ და ჩემპიონატიც საინტერესოდ მიმდინარეობს".

***რევაზ ჭანტურია (სსაუ/თბილისის მწვრთნელი):*** "მესამე ტურში ჩემპიონის ტიტულის მოპოვება უკვე შევძელით. გუნდები ძირითადად მეორე და მესამე ადგილების დასაკავებლად იბრძვიან. სასიამოვნოა ისიც, რომ ტურნირმა რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა გამოავლინა. ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელ შეხვედრაში აზერბაიჯანის ნაკრებთან მეკარე დაგვიშავდა - მარჯვენა ფეხის კუნთი დაიზიანა. იმედს ვიტოვებთ, კუნთი გაწყვეტილი არაა".

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსაუ/თბილისი | 18 | 18 | 0 | 0 | 36 |
| 2. ქუთაისი | 18 | 10 | 0 | 8 | 20 |
| 3. ქარიშხალა | 18 | 8 | 0 | 10 | 16 |
| 4. ბათუმი | 18 | 5 | 3 | 10 | 13 |
| 5. თსუ | 18 | 5 | 2 | 11 | 12 |

**სალომე ხარატიშვილი**

### ძალოსნობა

# საუკეთესოები სინკლერის ტაბულით




რუსეთის ქალაქ ყაზანში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს. შეჯიბრებაში საქართველოდან 2 სპორტსმენი ჩაებმება: 16 აპრილს ფიცარნაგზე **გია მაჭავარიანი** (105 კგ) გავა, მომდევნო დღეს კი **ირაკლი თურმანიძე** (+105) მოსინჯავს ძალებს. ჩვენი ათლეტები ამ პირველობისთვის ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად ორი თვის განმავლობაში დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე **ვანო გრიქუროვის** ხელმძღვანელობით ინტენსიურად ემზადებოდნენ. ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** გვითხრა, რომ მაჭავარიანი საკმაოდ კარგად არის მომზადებული და მედლებისთვის ბრძოლაც შეუძლია, თურმანიძეს კი პირველ ხუთეულში მოხვედრის დიდი შანსი აქვსო.

ეროვნული ნაკრების სხვა წევრებმა, რომლებიც, ფაქტობრივად, საფრანგეთში გასამართავი სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გადიან წვრთნას, ჩვენი ქვეყნის დანარჩენ ათლეტებთან ერთად ქუთაისში საქართველოს ლიგის მეორე ტურში იასპარეზეს. ფიცარნაგზე 110 ძალოსანი გამოვიდა.

- განსაკუთრებით საჩხერელი მძიმეწონოსნის ლაშა ტალახაძის წარმატება მინდა აღვნიშნო. - მითხრა რამაზ გურგენიძემ. - სახელოვანი ქართველი სპორტსმენის კობა ტალახაძის ვაჟმა ამ შეჯიბრებაზე, სადაც საუკეთესოები სინკლერის სპეციალური ტაბულის მეშვეობით გამოვლინდნენ, ახალგაზრდებში ერთბაშად საქართველოს 6 რეკორდი დაამყარა - ორი-ორი ატაცში (170, 175) აკვრასა (195, 207) და ორჭიდში (370, 382). ამ 17 წლის ბიჭს რეალური შანსი აქვს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ადგილი დაიბევოს, ხოლო ბუქარესტში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე (სექტემბერი) უმაღლესი სინჯის მედლებისთვის იბრძოლოს.

ქუთაისის ფიცარნაგზე ასევე კარგი შედეგები აჩვენეს 20 წლის ზუგდიდელმა დავით გოგიამ (105 კგ) და ჭაბუკებში 2009 წლის ევროპის ჩემპიონმა, 18 წლის ქუთაისელმა გიორგი ლომთაძემ (69 კგ), რომლებმაც საკუთარი მაჩვენებლები როგორც ცალკეულ მოძრაობებში, ისე ორჭიდში, საგრძნობლად გააუმჯობესეს.

საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ნაკრების წევრებს აშკარად დაეტყოთ გამოცდილი სპეციალისტის, ოლიმპიური ჩემპიონების აღმზრდელ ვანო გრიქუროვის ხელი. ბიჭებს მეტი მოტივაცია აქვთ და ყველა პირობაა საიმისოდ, რომ პარიზში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე ღირსეულად იასპარეზონ და 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების 3 საგზური მოიპოვონ.

ახლა კი ქუთაისში საქართველოს ლიგის მე-2 ტურში სინკლერის სპეციალური ტაბულით გამოვლენილ 6-6 საუკეთესო სპორტსმენისა და მწვრთნელის ვინაობას გაგაცნობთ:

**ძალოსნები. 1. დავით გოგია** (105 კგ, ზუგდიდი, 172+205=377 კგ)-405,4 ქულა),

**2. რაულ ცირეკიძე** (85, ქუთაისი, 158+192=350)-403,5,

**3. ალუდა მანაგაძე** (105, ქუთაისი, 172+202=374)-402,2,

**4. გიორგი ლომთაძე** (69, ქუთაისი, 138+167=305)-397

**5. ვაჟა ლონლაძე** (105, ქუთაისი, 167+192=359)-384,8,

**6. ლაშა ტალახაძე** (+105, საჩხერე, 175+207=382)-373,0 ქულა.

**მწვრთნელები.** 1. **ავთანდილ გახოკიძე** (აფხაზეთი, 1906,8 ქულა. პირველი მწვრთნელია, რომელმაც 1900-იანი ზღვარი გადალახა). 2. **მალხაზ ლომთაძე** (ქუთაისი, 1816,3), 3. აბესალომ ბასილია (აჭარა, 1652, 7), 4. **გია ცირეკიძე** (ქუთაისი, 1631, 4), 5. **ბეჟან ჭიჭინაძე** (ზუგდიდი, 1622,7), 6. **გურამ მამიაშვილი** (წყალტუბო, 1564,2 ქულა).

**ვაჟა დანელია**

### ჭადრაკი



თამარ ხმიადაშვილი

# ჩემპიონების ვინაობას ბოლო ტური გამოავლენს

ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატის მე-8 ტურის შემდეგაც მედლებისთვის მებრძოლთა რიგებში საკმაო სიმჭიდროვეა. გუშინ ერთპიროვნულმა ლიდერმა **მიჰაი შუბამ** (რუმინეთი) შავი ფიგურებით **მიშო ცებალო** (ხორვატია) დაამარცხა და 7 ქულით კვლავაც მეწინავეობს, მაგრამ 6,5-6,5 ქულით მას ფეხდაფეხ მიჰყვებიან **გენადი ტიმოშჩენკო** (სლოვაკეთი) და **ვიქტორ კუპრეიჩიკი** (ბელარუსი). სამ მოჭადრაკეს 6-6 ქულა აქვს.

ქალებში კვლავაც ორხელისუფლებიანობაა, რადგან გუშინ **გალინა სტრუტინსკაიას** (რუსეთი) და **ნონა გაფრინდაშვილის** დაპირისპირება ზავით დამთავრდა. მეტოქეები 5,5-5,5 ქულით იმყოფებიან გათამაშების ცხრილის სათავეში. მათთან გათანაბრების შანსი ჰქონდა **თამარ ხმიადაშვილს**, მაგრამ მან თეთრი ფიგურებით იტალიელ **ანტონიო როსინოსთან** დათმო შეხვედრა და 4,5 ქულით მეოთხე-მეექვსე ადგილს ინაწილებს. 5 ქულით მესამეზე **ელენა ფატალიბეკოვამ** (რუსეთი) გადაინაცვლა.

დღეს ბოლო ტურში გაფრინდაშვილი როსინოს შეხვდება თეთრებით, სტრუტინსკაია-შავებით ლიტველ დიდოსტატ **ალგიმანტას ბუტნორიუსს,** ფატალიბეკოვა-ინგლისელ **კენეთ ნორმანს,** ხმიადაშვილი იტალიელ **პაოლო კოლომბოს** გაუწევს მეტოქეობას. მამაკაცებში ჩემპიონისა და პრიზიორების ვინაობა შუბა-ტიმოშენკოს, **პერეც-კუპრეიჩიკისა** და **ვიკულოვ-ოხოტნიკის** ორთაბრძოლებში გამოვლინდება.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ თორნიკე შენგელიასთან

# ან ფეისონი, ან მბენგა

**დოსიე**

**თორნიკე შენგელია**

დაიბადა: 05.10.1991
სიმაღლე: 205 სმ.
წონა: 98 კგ.
ამპლუა: ფორვარდი

**კარიერა**

| | |
|---|---|
| **2008-09 ვალენსია (ესპანეთი)** | **6თ, 10.7წთ, 3.3ქ, 1.7მ, 0.5ჰ.** |
| 2009-10 ვალენსია (ესპანეთი) | 2თ, 13.5წთ, 4.5ქ, 2.5მ, 0.5ჰ. |
| **2010 საქართველოს ნაკრები** | **8თ, 12.6წთ, 4.9ქ, 2.9მ, 0.5ჰ.** |
| 2010-11 პეპინსტერი (ბელგია) | 24თ, 16.9წთ, 6.6ქ, 4.2მ, 0.6ჰ. |

საქართველო და ბელგია ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატზეც შეხვდებიან. ისიც ბევრს მოეხსენება, რომ ჩვენი მეტოქის ნაკრების ძირითად ბირთვს ბელგიის ჩემპიონატში მოასპარეზეები წარმოადგენენ, თუმცა, იქაური პირველობა ჩვენთვის სხვა მხრივაა საინტერესო - 19 წლის **თორნიკე შენგელია** „პეპინსტერის" ღირსებას იცავს და პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის.

ყველაზე უკეთ სწორედ თორნიკეს მოეხსენება ბელგიელთა დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა, როგორც მწვრთნელები ამბობენ, მთავარი არა მოწინააღმდეგის პლუს-მინუსები, არამედ საქართველოს ნაკრების სათანადო მომზადებაა. სხვა ლეგიონერებთან ერთად თორნიკეც წარმატებულ სეზონს ატარებს - კვირაში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერ უწევს ევროთასისა და ევროლიგის წარმომადგენელი ბელგიური კლუბების წინააღმდეგ თამაში, რაც ახალგაზრდა ქართველს გამოცდილებას მატებს. იგი აქამდე „ვალენსიაში" ირიცხებოდა, ძირითად გუნდთან ვარჯიშობდა, თამაში კი დუბლშემადგენლობასთან ერთად EBA-ს ლიგაზე უწევდა. ესპანეთის უმაღლეს ლიგაში ჩატარებულ თითზე ჩამოსათვლელ მატჩებს თუ არ ჩავთვლით, შენგელიას პირველად სწორედ ბელგიაში უწევს დიდ საკლუბო კალათბურთში ტრიალი. საქართველოს ნაკრებში ჩატარებულმა მატჩებმა დაგვანახა, რომ მას ეს შეუძლია.

შენგელიას წარდგენა აქ დავასრულოთ და ინტერვიუს მივხედოთ.

**- ბელგიის ჩემპიონატის დასრულებამდე 8 ტურია დარჩენილი. „პეპინსტერს" პლეი ოფში გასვლის რა შანსი აქვს?**

- მომდევნო ეტაპზე 6 გუნდი ითამაშებს. 5 კლუბის საკითხი უკვე გადაწყვეტილია, დარჩენილი ერთი საგზურისთვის სამი კლუბი აცხადებს პრეტენზიას: „ლუვენი", „ლიეჟი" და ჩემი „პეპინსტერი". სამივეს თანაბარი ქულა აქვს და მეექვსე-მერვე ადგილებს ინაწილებენ. მეტოქეებთან შედარებით ჩვენ უფრო რთული თამაშები გვაქვს დარჩენილი - ძლიერ მოწინააღმდეგეებს ვხვდებით, თუმცა ვთვლი, რომ პლეი ოფის საგზურის მოპოვება შეგვიძლია.

**- ბოლო ტურში უშუალო კონკურენტ „ლუვენთან" დამარცხდით.**

- იმ მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდით, ლუვენში მოსაგებადაც ჩავედით. მესამე პერიოდში მეტოქემ უკეთესად ითამაშა, თუმცა მეოთხე რაუნდში მდგომარეობა გამოვასწორეთ და გამარჯვებამდე ძალიან ცოტა დაგვაკლდა. „ლუვენთან" უკვე სამი მატჩი ჩავატარეთ, რომელთაგან ორში დავმარცხდით. დაგვრჩა ერთი საშინაო შეხვედრა და მისი მოგების იმედიც გვაქვს.

**- უახლოესი შეხვედრა ევროლიგაზე ნათამაშებ „შარლერუასთან" გიწევთ...**

- იგი პირველ ადგილზეა და გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდება. თუმცა გამორიცხული არაფერია, რადგან ბელგიის ჩემპიონატში ნებისმიერ აუტსაიდერს შეუძლია ფავორიტის დამარცხება. მაგალითად, ორი ტურის წინ ბოლოადგილოსანმა „გენტმა" „შარლერუასთან" თანაბრად ითამაშა და მხოლოდ ბოლო წუთებზე დამარცხდა. „შარლერუას" ბოლო ურთიერთშეხვედრაში ჩვენც კარგად ვეთამაშეთ, მესამე პერიოდის შემდეგ დავწინაურდით კიდეც, მაგრამ ბოლოს წავაგეთ.

**- კონტრაქტით „შარლერუას" ეკუთვნი, „პეპინსტერში" ერთი სეზონით ხარ განათხოვრებული. ხომ არ გარკვეულა, მომავალ სეზონში სად ითამაშებ?**

- ამაზე ჯერ არაფერი თქმულა და მეც არ ვფიქრობ. ყველაფერი სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყდება.

**- პირველი წრის შემდეგ „პეპინსტერში" მწვრთნელი შეიცვალა. მას მერე გუნდმა სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა...**

- მთავარ მწვრთნელად იანვარში აარონ მაკკარტი დაინიშნა. თუმცა, თავიდან ისიც მხოლოდ ამერიკელებს ენდობოდა. ალბათ იმიტომ, რომ შედეგზე ფიქრობდა და სხვებზე დაყრდნობას ვერ რისკავდა. არადა, თავად ამერიკელებიც უჩიოდნენ დაღლას, თითქმის შეუცვლელად თამაშობდნენ. შემდეგ მწვრთნელს კლუბის ხელმძღვანელობა დაელაპარაკა, რასაც დადებითი შედეგი მოჰყვა - სათამაშო დრო არაამერიკელებსაც გაგვეზარდა.

**- მოგებების რაოდენობამაც იმატა და პირადი სტატისტიკაც გაგიუმჯობესდა.**

- სათამაშო დროის ზრდასთან ერთად მონაგარის მატებაც ლოგიკურია. თუმცა მთავარი მაინც გუნდური წარმატებაა.

**- ასეა თუ ისე, „პეპინსტერს" მაინც ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი - ჯექსონი.**

- იგი გამოცდილი კალათბურთელია, ბელგიამდე თურქეთისა და საბერძნეთის ჩემპიონატებში გამოდიოდა. რაც შეეხება გუნდურ თამაშს, შემოდგომასთან შედარებაც არ არის - მაკკარტის ხელში „პეპინსტერი" გუნდურად ერთიორად უკეთ თამაშობს, ვიდრე მისი წინამორბედის დროს.

**- ახლა ნაკრებზე გკითხავ. წილისყრის შედეგები რომ გაიგეს, ბელგიელები საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაზე რას ამბობენ?**

- სანაკრებო თემაზე აქ ბევრი მელაპარაკება. მეც საკუთარ მოსაზრებას ვუზიარებ. ბელგიელები იმუქრებიან, მე ყველას ერთს ვეუბნები - მოვლენებს ნუ გავუსწრებთ-მეთქი. მოვლენებს რეალურად რომ შევხედოთ, შედარებით იოლ ჯგუფში მოვხვდით. თუმცა, ჩვენთან ისეთი არავინაა, რომელზეც წინასწარ იტყვი - ამას მოვუგებთო. ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ, ჩემპიონატისთვის კარგად მოვემზადოთ და შედეგიც ამის შემდეგ გვექნება.

**- სანაკრებო გეგმას გაეცანი?**

- რა თქმა უნდა. საინტერესოდაა შედგენილი, ყველა პირობაა იმისთვის, რომ ევრობასკეტს სათანადოდ მომზადებულები შევხვდეთ.

**- ბელგიის ჩემპიონატში მათი ნაკრების არაერთი კალათბურთელია. საქართველოსთან მატჩებისას ძალიან გამოირჩა კრისტოფ ბეგინი. იგი ბელგიის ჩემპიონატშიც მნიშვნელოვანი ფიგურაა?**

- ბეგინი „შარლერუაშია" და 20-25 წუთს თამაშობს, ძირითადად მძიმე ფორვარდად. შეიძლება ერთი შეხედვით არ ეტყობა, მაგრამ ფიზიკურად მეტად ძლიერია, დიდი ენერგია აქვს.

**- ნატურალიზებულმა მარკუს ფეისონმაც დიდი თავსატეხი გაგვიჩინა...**

- ფეისონს ამას წინათ ველაპარაკე. მითხრა, ბელგიის ნაკრების მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია, მე წამიყვანს ევრობასკეტზე, თუ მეორე ნატურალიზებულ დიდიე მბენგასო. თუმცა, ბელგიელებს ფიბა-ევროპაში წერილი აქვთ შეტანილი, იმედი აქვთ, რომ მბენგას როგორც ბელგიელს, ისე ათამაშებენ.

**- ვფიქრობ, თუ ასარჩევადაა საქმე, ქართველებს გვირჩევნია ბელგიის ნაკრებში ფეისონის ნაცვლად მბენგამ ითამაშოს...**

- ძნელი სათქმელია. თუმცა, ფაქტია, ფეისონმა შარშან ბელგიელებს დიდი სამსახური გაუწია. კარგი კალათბურთელია.



თორნიკე შენგელია მარცინ გორტატის წინააღმდეგ

ქართველი უცხოურ პრესაში



2011 წელი. ზაზა VS ონილი

# ქართული ხასიათით NBA-ში: ემოცია, ბრძოლა, ერთგულება

ბოლო დროს „ატლანტა ჰოქსის" მწვრთნელი **ლარი დრიუ ზაზა ფაჩულიას** საკმარის სათამაშო დროს აძლევს და ქართველიც ღირსეულად ასპარეზობს. მისი გარჯა გუნდის თამაშსაც ეტყობა და ამერიკელი ჟურნალისტებიც უყურადღებოდ არ ტოვებენ. „ატლანტა კონსტიტუშენის" კორესპონდენტმა, **მაიკლ კანინგემმა** შეკრიბა ბოლო დროს ზაზას შესახებ მეტოქეთა თუ „ატლანტას" მწვრთნელ-კალათბურთელების გამონათქვამები და საინტერესო პუბლიკაციაც გამოუვიდა. სათაურად დაარქვა: „ფაჩულია, თავსატეხი მეტოქეთათვის, სარგებელი „ატლანტასთვის".



2008 წელი. ზაზა VS გარნეტი

„ჯორჯიელთა ბოლო მატჩისას ზაზა ფაჩულიას ძალისმიერმა თამაშმა მწყობრიდან გამოიყვანა მაიამელი ჟიდრუნას ილგაუსკასი, რომელმაც ქართველს ბურთი ესროლა. ლიტველი ცენტრის მსგავსად ზაზაზე ბევრი გაბრაზებულა, რაც პირველ რიგში „ატლანტასთვისაა" სასარგებლო. მით უმეტეს, რომ „ჰოქსი" მალე ჩაერთვება პლეი ოფში, სადაც ფაჩულიას ორლანდოელი ცენტრის, **დუაით ჰოვარდის** წინააღმდეგ მოუწევს გამოსვლა.

*- ზაზა მონდომებითა და ძალისმიერი თამაშით მოწინააღმდეგეებს დიდ სატკივარს უჩენს. ასეთ მოქმედებას გუნდისთვის ყოველთვის დადებითი შედეგი მოაქვს,* - ამბობს ფაჩულიას თანაგუნდელი **ჯოშ სმიტი**.

გასულ კვირას „ჰიუსტონი"-„ატლანტას" მატჩის მონაწილე მასპინძელ **კაილ ლოურის** ტუჩზე ექვსი ნაკერი დასჭირდა - იგი ფაჩულიას შეეჯახა. დაზარალებული მოედნიდან გასვლის წინ „ატლანტას" სათადარიგოთა სკამისკენ გაემართა და ფაჩულიასკენ გაიწია, თუმცა მწვრთნელმა დაუყოვნებლივ გასახდელში წაიყვანა.

*- ფაჩულიამ ჩემს წინააღმდეგ ბინძურად ითამაშა,* - ასეთი მოკლე კომენტარი გააკეთა ლოურიმ.

ამ ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ „ატლანტამ" „ბოსტონს" უმასპინძლა. მოედნის საკუთარი ნახევრისკენ მიმავალმა ზაზამ მხარი გამოსდო **ჯერმეინ ონილს**, რასაც ბოსტონელის აალება მოჰყვა. თუმცა, გაცხარებულები თანაგუნდელებმა დააწყნარეს. ფაჩულიამ, რომელიც 2008 წელს **კევინ გარნეტთან** ჩხუბითაცაა ცნობილი, „ბოსტონთან" ამასწინანდელ მატჩში მეტოქეებს ფარქვეშ აშკარად აჯობა და „ატლანტას" 88:83 მოაგებინა. მისი თამაში „სელტიქსის" თავკაცმა **დოკ რივერსმა** ასე შეაფასა:

*- ვფიქრობ, ზაზა ფაჩულია მოედანზე საუკეთესო იყო. მან თამაშის სურათი შეცვალა.*

ქართველი ცენტრი გუნდს ენერგიას მატებს, ეფექტური მომხსნელია და ფარქვეშიდან ჩაგდებაც ეხერხება. ეს მოსწონს „ატლანტას" ფორვარდ-ცენტრ **ელ ჰორფორდსაც**:

*- ზაზა ფიზიკურად ძლიერია და არავის არაფერს უთმობს. სწორედ ეს აბრაზებს მეტოქეებს, ჩვენთვის კი დიდი პლუსია.*

...არადა, ერთი თვის წინათ „ჰოქსის" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი ჰქონდა ზაზასთან განშორება. უფროსობა მას შემდეგ დაფიქრდა, რომ ზაზა არ სჭირდებოდა, რაც მწვრთნელმა ლარი დრიუმ ქართველს სათამაშო დრო მკვეთრად შეუმცირა. ფაჩულიას ისეთ გუნდში გადასვლა სურდა, სადაც მეტად ენდობოდნენ. 24 თებერვლამდე სხვაგან გადასვლა ვერ მოხერხდა, სატრანსფერო ფანჯარაც დაიხურა და ზაზა „ატლანტაში" დარჩა. მას მერე მწვრთნელმა სათამაშო დრო გაუზარდა, თუმცა „ჩიკაგოსთან" მატჩში იყო მცირე შელაპარაკება - ზაზამ მეოთხე პერიოდის დასაწყისში შეცვლის გამო მწვრთნელისადმი უკმაყოფილება გამოხატა. თავის მხრივ, ლარი დრიუმ თქვა, რომ ზაზას კონკრეტულ მომენტში ბურთი კალათში არ უნდა ესროლა.

მწვრთნელ-კალათბურთელის ურთიერთობა მალევე მოწესრიგდა და ლარი დრიუს თქმით, დღეს ფაჩულია „ჰოქსის" ერთ-ერთი ყველაზე ღირებული კალათბურთელია:

*- მომწონს მისი ენერგიულობა. იგი ისე თამაშობს, რომ მაიძულებს შეცვლაზე არ ვიფიქრო. ზაზას გუნდისთვის დიდი სარგებელი მოაქვს.*

ფაჩულია თავშეკავებით ლაპარაკობს:

*- ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერი და კმაყოფილი ვარ. მინდა, გუნდს მეტად გამოვადგე. განსაკუთრებით პლეი ოფში, სადაც ორლანდოელი დუაით ჰოვარდის წინააღმდეგ მომიწევს თამაში. მძიმე, ძალისმიერი ბრძოლები გველის."*

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტული ქრონიკები

## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

### გივი კარტოზია



მსოფლიოს პირველი ჩემპიონი საქართველოდან იყო ბრწყინვალე ფალავანი **გივი კარტოზია.** ჩვენც ამ დიდებული სპორტსმენით და პიროვნებით ვხსნით „ქართული სპორტის ქრონიკების" ახალ რუბრიკას.

დიახ, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე **გივი კარტოზიამ** ქართველი სპორტსმენებიდან პირველმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ეს მოხდა 1953 წელს. შემდეგ მან კიდევ ორჯერ - 1955 და 1958 წლებში მოიხვეჭა პლანეტის უძლიერესი ფალავნის სახელი. უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იყო, როცა 1956 წელს მელბურნში ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი დაიმსახურა, 1960 წელს რომში გამართულ ოლიმპიადაში კი მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა. იყო მსოფლიოს თასის მფლობელი (1956), სტუდენტთა მსოფლიო თამაშების გამარჯვებული (1951), სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი (1952-55). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ვერცხლის პრიზი), სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხისა და ფილას ორდენების კავალერი.

გივი კარტოზია დაიბადა 1929 წლის 29 მარტს. გარდაიცვალა 1998 წლის 3 აპრილს.

თბილისში ტარდება გ. კარტოზიას სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** მოკრივე, რომელიც საქართველოს 16-გზის ჩემპიონი (1935-1951) გახდა მძიმე წონით კატეგორიაში, იყო თბილისელი **ანდრო ნავასარდოვი** (1915-1999). დიდხანს იგი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელიც იყო.

**პირველმა** საქართველოს ტყვიის მსროლელებიდან სასტენდო სროლაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თბილისელმა **ბორის ანტონოვმა** (გუნდური, 1955), იმავე ჩემპიონატში პირად პირველობაში კი მესამე პრიზიორი გახდა.

**პირველად** ლეგენდარული **ბორის პაიჭაძე** სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა 1939 წელს. იგივე წარმატება მას 1940 წელსაც ხვდა წილად.

## თარიღი 14-20 აპრილი

**14. 1969 წ.** დაიბადა **გელა პაპაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა
**14. 1941 წ.** დაიბადა **ფარნაოზ ჩიკვილაძე** - ძიუდო. ტრაგიკულად დაიღუპა 1966 წელს
**14. 1983 წ.** დაიბადა **ნიკა ცქიტიშვილი** - კალათბურთი
**15. 1935 წ.** დაიბადა **ავთანდილ ქორიძე** - ბ/რ ჭიდაობა. გარდაიცვალა 1966 წელს
**15. 1945 წ.** დაიბადა **რევაზ ძოძუაშვილი** - ფეხბურთი
**15. 1934 წ.** დაიბადა **გურამ პაპიტაშვილი** - ძიუდო (მწვრთნელი)
**16. 1959 წ.** პირველი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა თბილისის „ლოკომოტივის" საფეხბურთო კლუბმა
**16. 1972 წ.** დაიბადა **ლუკა კურტანიძე** - თავისუფალი ჭიდაობა
**17. 1924 წ.** დაიბადა **ნიკოლოზ მუზაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა. გარდაიცვალა 1992 წელს
**17. 1978 წ.** დაიბადა **გოდერძი შველიძე** - რაგბი
**19. 1974 წ.** დაიბადა **გიორგი ვაზაგაშვილი** - ძიუდო
**19. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის მემკვიდრე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
**19. 1972 წ.** დაიბადა **ზაზა ზოზიროვი** - თავისუფალი ჭიდაობა
**20. 1920 წ.** ანტვერპენში (ბელგია) საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის VII ოლიმპიური თამაშები
**20. 1949 წ.** დაიბადა **ირაკლი ჯაფარიძე** - ფიგურული ციგურაობა
**20. 1931 წ.** დაიბადა **ავთანდილ ჭკუასელი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1994 წელს.

## ვინ რა თქვა...

„მეცნიერული გამოკვლევათა საფუძველზე მტკიცდება, რომ სპორტსმენის წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში ბევრი რამ სპორტული ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება. ესაა, მაგალითად, ფიზიკური თვისებებისა და სპორტული ტექნიკის მაღალ დონემდე განვითარება, სპორტსმენის „ფორმის" შენარჩუნება და ა.შ.

წვრთნა არ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, თუ სპორტსმენი შინაგანად მობილიზებული არ არის და არ შესწევს უნარი, ერთი მიმართულებით წარმართოს მთელი თავისი შესაძლებლობები. ამიტომ მწვრთნელი კარგად უნდა იცნობდეს სპორტსმენის პიროვნულ სტრუქტურას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მწვრთნელი ფსიქოლოგიც უნდა იყოს".

**ვლადიმერ ნორაკიძე**
პროფესორი

## შეკითხვა ლელოს...

**შეკითხვა:** გამიგია, რომ პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, რომელიც 1900-იან წლებში გამოჩენილი მეცნიერი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ძლიერი ტანმოვარჯიშე და სპორტული მოღვაწე იყო, ფიგურული ციგურაობითაც ყოფილა გატაცებული. მაინტერესებს, სპორტის ამ სახეობას როგორ და სად შეიძლებოდა იმ დროს საქართველოში დაუფლებოდა?

**თორნიკე მათიაშვილი**
წყნეთი



**პასუხი:** დიახ, გიორგი ნიკოლაძე, როგორც მრავალმხრივი მოღვაწე და სპორტსმენი, ფიგურული ციგურაობითაც ყოფილა გატაცებული. სპორტის ამ სახეობას ის დაუფლებია პეტერბურგში სწავლის დროს. ფოტოცაა შემონახული - გიორგი ნიკოლაძე ციგურებით, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. რამდენჯერ ითამაშა ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი ნანა იოსელიანმა?**

ა — ერთხელ
ბ — ორჯერ
გ — სამჯერ

**2. „არგონავტიკაში" აპოლონიოს როდოსელი ძველი კოლხეთის რომელ ადგილს მოიხსენიებს, სადაც ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად შეჯიბრებები იმართებოდა?**

ა — ეგრისს
ბ — ფაზისს
გ — არესის ველს

**3. ძიუდოს გარდა კიდევ სპორტის რომელ სახეობაში გამოიყენება წმინდა გამარჯვების აღსანიშნავად ტერმინი „იპონი"?**

ა — კარატეში
ბ — სუმოში
გ — ტაეკვონდოში

**4. ცხენოსნობის რომელი სახეობა შეიცავს სამხედრო ტაქტიკის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: დაზვერვა, უცაბედი თავდასხმა, ცხენის სწრაფად უკან დახევა, მთელი სისწრაფით გაქცევა-გამოკიდება, იერიში და კონტრიერიში?**

ა — ცხენბურთი
ბ — ისინდი
გ — ყაბახი

**5. საქართველოში (თბილისში) ვინ დადგა პირველად კალათბურთის ფარი და შემდეგ კი სათამაშო მოედანიც გააკეთა?**

ა — გიორგი ნიკოლაძემ
ბ — გიორგი ეგნატაშვილმა
გ — ალექსანდრე ჭელიძემ

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## შეხვედრა წარსულთან...

**ტაშკენტში** მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე სპორტის ცალკეულ სახეობებში მოასპარეზეთა შორის ნახავდით ძმებსა და ტყუპებს, დებსა და ბიძაშვილებს. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მწვრთნელი დედა ან მამა ჰყავდა. საქართველოს წყალბურთელთა გუნდში გამოდიოდნენ ძმები **გიორგი** და **ლევან წულაძეები,** ფარიკაობაში ასპარეზობდნენ ძმები **კახა** და **აკაკი მახარაძეები** (ყველა - თბილისი), მძლეოსნობაში ასევე ძმები **ტარიელ** და **ამირან ბინაძეები** (სოხუმი). ამავე სახეობაში იყვნენ ტყუპები **მარინე** და **ირინე კოზაევები** (ცხინვალი). ალალი ბიძაშვილები არიან მძლეოსნები **ჯონი** და **იგორ ვიბლიანები** (გარდაბანი, ვარკეთილი), **მზია** და **გოგიტა აფციაურები** (გარდაბანი), მამები ჰყავთ მწვრთნელებად **ნინო სალუქვაძეს** (სროლა), **დავით ჯარაშნელს** (მძლეოსნობა), **იანა პოტაპოვას** (ცურვა), **ვლადიმერ ფიოდოროვს** (მძლეოსნობა), კალათბურთელ გოგონათა ნაკრებ გუნდში თამაშობდა თბილისელი **მედეა მხეიძე,** დედამისი **ინგა მხეიძე** კი გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი იყო.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. თბილისში სტუმრად მყოფი ლეგენდარული იტალიელი მოთხილამურე; 5. საციგაო სპორტის ნაირსახეობა; 7. სოფელი შხარას ძირას; 9. მოკრივის დამხმარე; 11. შეჯიბრების ნაწილი; 12. ევროპის ჩემპიონი ქართველი კარატისტი ქალი; 14. ალპინისტი ... გიუტაშვილი; 15. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ფრანგი მწვრთნელი; 17. ძველი, დამსახურებული სპორტსმენი; 21. სამაგიდო თამაში; 22. სარბენ ბილიკზე დადგმული დაბრკოლება; 23. უმაღლესი თანრიგი კარატეში; 25. ქართველი მოჭადრაკე ბაადურ...; 26. "ბორჯღალოსნების" მთავარი მწვრთნელი ... დიქსონი; 29. თავდაცვისათვის ფიზიკური მომზადების ჩინური სისტემა; 30. განმეორებითი ჩხვლეტა ფარიკაობაში; 31. ელდარ კურტანიძის ნათლობის სახელი; 32. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, რომელსაც ექტორ კუპერი წვრთნიდა.

**შვეულად:** 1. ბეჭებით მოჭიდავის დაცემა ხალიჩაზე; 2. თბილისელი აკრობატი ქალი; 3. ვლადიმერ ბოისას ხორვატიის საკალათბურთო გუნდი; 4. მორაგბე კოლელიშვილის სახელი; 6. იახტის ხელსაწყოების ერთობლიობა; 8. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, მეკარე; 10. ზესტაფონის საფეხბურთო გუნდი; 13. შეჯიბრების გასაშუქებლად ჟურნალისტის რეგისტრაციის პროცედურა; 16. წყალტუბოს საფეხბურთო კლუბი; 18. სპეციალურად მოწყობილი გზები სამკურნალო სიარულისათვის; 19. შოთა არველაძის ყოფილი კლუბი; 20. ჩოგბურთის მოედანი; 24. რუსთავის "ოლიმპის" მეკარე; 27. რუსთავის "ოლიმპის" ბრაზილიელი თავდამსხმელი; 28. ლეგენდარული ქართველი ფალავანი ... გლდანელი.

**შეადგინა ლალი ჭიჭინაძე**

## გამოხმაურება

### „ლელო" 77

გუშინ „ლელოს" დაბადების დღე იყო. 77 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი სპორტული გაზეთი მიიღო მკითხველმა. შვიდიანი ბედნიერ რიცხვად მიიჩნევა და ამიტომაც უფრო მოგვხიბლა გვერდიგვერდ ამ ორმა ციფრმა. „ლელოს" ღვაწლის გაპიარება არც გვიფიქრია, თუმცა გუშინ მაინც უამრავი მილოცვა მივიღეთ, რაც ნამდვილად გვეამაყება. ბევრმა გვთხოვა - მოვიდა თაობა, რომელმაც უნდა იცოდეს იმ წვლილის შესახებ, რაც „ლელოს" მიუძღვის საქართველოს სპორტულ მოძრაობაში.

შემოვიფარგლებით მხოლოდ ენციკლოპედიური მონაცემებით.

სპორტული გაზეთის - „საქართველოს ფიზკულტურელის" პირველი ნომერი 1934 წლის 13 აპრილს გამოვიდა. 1936 წელს „ფიზკულტურელი" ეწოდა. მისი ბოლო ნომერი დაისტამბა 1939 წლის 28 თებერვალს. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი გამოვიდა განახლებული სახელით. მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის წინადადებით გაზეთს „ლელო" ეწოდა. მისი შემოქმედებითი მუშაკების ბაზაზე 1964 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია, 1989 წელს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საორგანიზაციო ჯგუფი, იმავე წელს გაზეთმა დაიწყო საქართველოს ფეხბურთის საკავშირო დაქვემდებარებიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებისათვის საზოგადოებრივი აზრის მობილიზება. გაზეთი ათეული წლების განმავლობაში ხვეწდა სპორტულ ტერმინოლოგიას, ხელი შეუწყო სპორტული მეცნიერების განვითარებას, მის ფურცლებზე შედგა სპორტულ ჟურნალისტთა თაობების დებიუტი, გაზეთი იქცა ქართული სპორტის მემატიანედ, ტრადიცია კი გრძელდება. სწორედ „ლელოს" ფურცლებმა შემოგვინახა ყველა დროის საქართველოს სპორტული მოძრაობის ღირსახსოვარი მოვლენები, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა მიერ სპორტული საქართველოს სადიდებლად გაწეული ღვაწლი. გასული საუკუნის მძიმე ბოლო ათწლეული „ლელოს" საყოველთაო სიყვარულმა და თანადგომამ დააძლევინა. გაზეთი 2008 წლიდან საგამომცემლო სახლ „კვირის პალიტრასთან" გაერთიანდა და ისტორიული გაზეთის ტრადიციების შენარჩუნება-გაღრმავებას საფრთხე აღარ ემუქრება.



1973 წლის 7 ივნისი. ლელოს რედაქციის სტუმრები: მარცხნიდან - ბორის პაიჭაძე, ოთარ კალაძე, ვახტანგ ბალავაძე, თენგიზ გიორგაძე (მასპინძელი)

*გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფა

# სამოა ტრიუმფისთვის ემზადება

მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფას გათამაშება, რომელიც იმავდროულად 2012 წლის ახალგაზრდული მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირია, თბილისში 24 მაისს დაიწყება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ამ შეჯიბრებისთვის დიდი ხანია **პაატა ნარიმანაშვილის** ხელმძღვანელობით ემზადება. ტურნირის გამარჯვებული გაისად სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს თასზე ითამაშებს.

ემზადებიან ჩვენი მეტოქეებიც. ტურნირის მთავარი ფავორიტი, უდავოდ, სამოას ნაკრებია, რომელიც შარშან გამართულ მსოფლიო თასზე ბოლო, მე-12 ადგილზე გავიდა და ელიტას გამოეთხოვა. ცხადია, სამოას რაგბისთვის ეს სერიოზული დარტყმაა, მდგომარეობის გამოსწორების კი მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს - სამოელებმა თბილისში პირველი ადგილი უნდა დაიკავონ და ელიტაში დაბრუნდნენ.

*„ეს ჩვენთვის უდიდესი დარტყმა და იმედგაცრუება იყო. ახლა ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე პირველი ადგილი დავიკავოთ და მოწინავე გუნდების რიგში დავბრუნდეთ. ცხადია, ეს ძნელი იქნება, რადგან ამ ტურნირში მონაწილე სხვა შვიდ გუნდსაც იგივე მიზანი აქვს და უბრძოლველად არაფერს დათმობენ. ამიტომ მოთამაშეები მაქსიმალურად უნდა იყვნენ კონცენტრირებულნი არა მარტო თამაშისას, არამედ მზადების პროცესშიც. დარწმუნებული ვარ, თუ მუყაითად ვიშრომებთ, ნაყოფს აუცილებლად კარგს მოვიმკით.“* - თქვა სამოას ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა **ჯონ შუსტერმა.**

სამოელთა თავკაცის მუშაობის ეფექტიანობის გასაზრდელად სამოას რაგბის კავშირმა ასისტენტად ორი მწვრთნელი დაუნიშნა, **პიტერ ფატიალოფა** და **სელეფუტი პატუ,** რომლებიც ახლახან სამოას A ნაკრებს წვრთნიდნენ.

*„ძალიან მიხარია, რომ ფატიალოფა და პატუ ჩვენს მწვრთნელთა შტაბს შემოუერთდნენ. მათ საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დაუგროვდათ და, ვფიქრობ, გუნდს დიდად დაეხმარებიან“.*- იმედოვნებს შუსტერი.

სამოას ნაკრები მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფას გათამაშებაში A ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები რუსეთის, აშშ-ისა და ურუგვაის ნაკრებები იქნებიან.



| მსოფლიოს ალაფა |
|---|
| **A ჯგუფი** |
| სამოა, რუსეთი, ურუგვაი, აშშ |
| **B ჯგუფი** |
| საქართველო, იაპონია, კანადა, ზიმბაბვე |
| **24 მაისი** |
| **სამოა-აშშ, რუსეთი-ურუგვაი, საქართველო-კანადა, ზიმბაბვე-იაპონია** |
| **28 მაისი** |
| **საქართველო-ზიმბაბვე, კანადა-იაპონია, სამოა-ურუგვაი, რუსეთი-აშშ** |
| **1 ივნისი** |
| **ურუგვაი-აშშ, სამოა-რუსეთი, საქართველო-იაპონია, კანადა-ზიმბაბვე** |

● მეტოქეები



ქვინზთაუნი, სადაც საქართველოს ნაკრები დაბანაკდება

# მსოფლიო თასის ახალი განრიგი დამტკიცდა

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე, ჯგუფურ ტურნირში ჩვენი მეტოქის, ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობამ გუნდის თამაშებისა და მზადების ახალი გრაფიკი გამოაცხადა. ქრაისთჩერჩში მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ ტურნირის წინასწარ შემუშავებული კალენდრის ნაწილი შეცვალა. ცვლილება საქართველოს ნაკრებსაც შეეხო.

ჩვენი მეტოქე ინგლისის ნაკრები, ახალ ზელანდიაში 31 აგვისტოს ჩავა და ოქლენდში დაბანაკდება, 4 სექტემბერს კი იქიდან დანიდინში გადაბარგდება, სადაც 11 სექტემბრამდე დარჩება. „პომების“ შემდეგი ბანაკი ქვინზთაუნი იქნება. 16 სექტემბერს ინგლისელები ისევ დანიდინში დაბრუნდებიან და 25 სექტემბრამდე იქ მოემზადებიან. ამის შემდეგ კი სანამ მსოფლიო თასიდან არ გავარდებიან, მუდამ ოქლენდში იცხოვრებენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები „პომებს“ 18 სექტემბერს დანიდინში დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები“ ახალ ზელანდიაში 5 სექტემბერს ჩავლენ და ქვინზთაუნში დაბანაკდებიან, 10 სექტემბრიდან კი ინვერქაგილში გადავლენ და იქ 14 სექტემბერს, ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში შოტლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

მეორე დღეს „ბორჯღალოსნები“ დანიდინში გაემგზავრებიან და იქ იქნებიან 19 სექტემბრამდე. ერთი დღით ადრე კი, როგორც უკვე ვთქვით, იქვე ინგლისის ეროვნულ გუნდთან ითამაშებენ.

ამის შემდეგ, საქართველოს ნაკრები ახალი ზელანდიის სამხრეთ კუნძულს დატოვებს და ჩრდილოეთში, მასტერტონში დაიდებს ბინას. აქ ჩვენი მორაგბეები 26 სექტემბრამდე დარჩებიან და პალმერსტონ ნორსში გაემგზავრებიან, სადაც 28 სექტემბერს და 2 ოქტომბერს, შესაბამისად რუმინეთისა და არგენტინის ნაკრებებს შეხვდებიან.

● მსოფლიო თასი

# ვებ ელის თასი გაეროში

*ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასის დაწყებამდე 150 დღე დარჩა. რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) პრეზიდენტი* **ბერნარ ლაპასე** გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ეწვია, სადაც გენერალურ მდივან **პან გი მუნს** შეხვდა. შეხვედრას მსოფლიო თასზე მოასპარეზე ყველა ქვეყნის გაერო-ში აკრედიტებული ელჩი ესწრებოდა.

*„ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ჩვენ სრულად გვაქვს გაცნობიერებული რაგბის საერთაშორისო საბჭოს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, მისი შესაძლებლობა, სოციალური ცვლილებები შეიტანოს მსოფლიოში. სპორტს შეუძლია ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა. სპორტი იწვევს პატივისცემას, აკეთილშობილებს ადამიანებს და შეუძლია დაიპყროს მილიონობით კაცის, ქალისა და ბავშვთა გული მთელ მსოფლიოში.*

*ჩვენ ამაყები ვართ, რადგან რაგბი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ვითარდება. მისი ფასეულობები, გუნდური სულისკვეთება, დისციპლინა, კეთილშობილება, დაუდგრომელი მებრძოლი სული ჯერ კიდევ რეალურ ცვლილებებს ახორციელებს თანამედროვე საზოგადოებაში.*

*ვებ ელისის თასი სპორტის სიდიადის სიმბოლოა. ნელსონ მანდელამ მისი მეშვეობით 1995 წლის მსოფლიო თასის გათამაშების მსვლელობისას შეძლო ქვეყნის გაერთიანება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რაგბი განაგრძობს თავის ფასეულობებზე დაყრდნობით მომავალი თაობების აღზრდას“* - თქვა ბერნარ ლაპასემ.

ლაპასემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიოს სასურსათო პროგრამის პარტნიორია. ეს თანამშრომლობა 2003 წელს ავსტრალიაში მსოფლიო თასის მიმდინარეობისას დაიწყო და დღემდე წარმატებულად ვითარდება.

*„ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას მსოფლიოს სასურსათო პროგრამასთან. ჩვენ ვიზიარებთ იმ ფასეულობებს, რასაც ეს პროგრამა ქადაგებს. რაგბით დღესდღეობით ხუთ მილიონზე მეტი ადამიანია დაკავებული და ის განუხრელად ვითარდება ისეთ დიდი პოტენციალის ქვეყნებში, ჩინეთი, რუსეთი, აშშ და ბრაზილია რომ არიან.*

*ჩვენი ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ფედერაციებთან ერთად მუხლჩაუხრელად ვშრომობთ, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი ვაზიაროთ სპორტს, რომელსაც მხოლოდ სიხარული, კეთილდღეობა მოაქვს“* - ასე დაასრულა თავისი გამოსვლა IRB-ის პრეზიდენტმა.

*„რაგბის მატჩებს დიდი სიამოვნებით ვუყურებ. მართალია, ბევრი არაფერი მესმის, მაგრამ რაგბის საერთაშორისო საბჭოს დიდი ქომაგი ვარ. IRB ჩვენთან ერთად მუშაობდა მსოფლიოს სასურსათო პროგრამაში და დიდ დახმარებას გვიწევდა, რათა მსოფლიოში შიმშილი დაგვემარცხებინა.*

*რაგბი სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანების ჯანსაღი წესით ცხოვრებას, თანამშრომლობას და მეგობრობას. ამ რთულ ეპოქაში, როცა ადამიანები სიღარიბეს ებრძვიან, რაგბის შეუძლია შანსი მოგვცეს, გავიხაროთ და განვვითარდეთ“* - განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა.



პან გი მუნი და ბერნარ ლაპასე

● მსაჯები

# მსოფლიო თასზე ევროპელი მსაჯები დომინირებენ

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე მომსახურე არბიტრები შერჩეულია. IRB-ს მსაჯთა კომიტეტმა მატჩების მთავარ არბიტრებად ათი რეფერი შეარჩია. მათგან ყველაზე მეტი, ექვსი ევროპელია.

ევროპიდან მსოფლიო რაგბის ფორუმზე მიწვეულნი არიან **უეინ ბარნსი, დეივ პირსონი** (ორივე-ინგლისი), ნაიჯელ ოუენსი (უელსი), **ჯორჯ კლენსი, ალან როლანი** (ორივე-ირლანდია) და **რომენ პუატი** (საფრანგეთი). საგულისხმოა, რომ მსოფლიო თასზე ვერ მოხვდნენ შოტლანდიელი მსაჯები.

დანარჩენი ოთხეული ასე გამოიყურება, **სტივ უოლში** (ავსტრალია), **კრეიგ იუბერი, ჯონათან კაპლანი** (ორივე-სამხრეთ აფრიკა) და **ბრაის ლოურენსი** (ახალი ზელანდია).

მსოფლიო თასის გახსნის მატჩს, 9 სექტემბერს ახალი ზელანდიისა და ტონგას ნაკრებებს შორის ოქლენდში, „ედენ პარკზე“ ირლანდიელი ჯორჯ კლენსი წარუძღვება. დანარჩენი შეხვედრების არბიტრების ვინაობას აგვისტოს ბოლოს დაადგენენ.

მთავარი მსაჯების ასისტენტები იქნებიან: **ჟერომ გარსე** (საფრანგეთი), **სამონ მაკდაუელი** (ირლანდია), **სტიუარტ თერჰიგი** (ინგლისი), **კარლო დამასკო** (იტალია), **ტიმ ჰეისი** (უელსი), **კრის პოლოკი, ვინი მუნრო** (ორივე-ახალი ზელანდია).

ვიდეო-რეფერები: **გრემ ჰოჯსი** (ინგლისი), **გვიდო დე სანტისი** (იტალია), **შონ ველდსმანი** (სამხრეთ აფრიკა) და **მეთ გოდარდი** (ავსტრალია).

ალსანიშნავია, რომ ჯონათან კაპლანი და სტივ უოლში რეკორდზე მიდიან, ისინი მეოთხე მსოფლიო თასს მოემსახურებიან, მთავარ ათეულს კი ჯამში 287 საერთაშორისო მატჩი განუსჯია.

*„ათი რეფერი საკმაოდ ხანგრძლივი დაკვირვებისა და განსჯის შედეგად შევარჩიეთ. მათ შორის კლენსი, პირსონი, პუატი, ლორენსი და იუბერი მსოფლიო თასს პირველად განსჯიან. ვფიქრობთ, მათ საკმარისი გამოცდილება აქვთ საიმისოდ, რომ მსოფლო თასი დიდ ზეიმად გადააქციონ“* - თქვა IRB-ს მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელმა **დევიდ პიკერინგმა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი.
NBA. რეგულარული ჩემპიონატი




# პლეი ოფში ბინუმის გარეშე?

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა და მათგან ერთი გამორჩეული დაპირისპირება იყო - „ლეიკერსი" საკუთარ მოედანზე ილებდა „სან ანტონიოს". თუმცა მოსალოდნელი შოუ „სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** გააფუჭა, რომელმაც დასვენების საშუალება მისცა თავისი გუნდის ლიდერებს - **ტიმ დანკანს, მანუ ჯინობილისა** და **ტონი პარკერს**. ამ გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირვა, რადგან დამარცხების შემთხვევაში „სან ანტონიოს" აღმოსავლეთის ჩემპიონი „ჩიკაგო" დაეწეოდა და ეს გუნდები გაიყოფდნენ რეგულარული ჩემპიონატის პირველ ადგილს. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ პოპოვიჩმა არასწორი ნაბიჯი გადადგა. ჯერ ერთი, „ჩიკაგოს" სულაც არ აქვს გარანტირებული ფინალში გასვლა, გარდა ამისა, თუ ფინალურ სერიაში სწორედ „სპურსი" და „ბულზი" გაალწევენ, საკუთარი მოედნის უპირატესობის მფლობელს ბრმა კენჭისყრის მეშვეობით გაარკვევდნენ. ამიტომაც პოპოვიჩმა არ გარისკა და „დიდ ტრიოს" ზედმეტი დასვენების საშუალება მისცა.

დანკანის, ჯინობილისა და პარკერის არყოფნის მიუხედავად, თამაში მაინც დაძაბული გამოვიდა და „ლეიკერსს" გვარიანმა ოფლის ღვრამ მოუწია გამარჯვების მისაღწევად. საბოლოოდ, კალიფორნიელებმა მოიგეს და შეწყვიტეს ხუთმატჩიანი წაგებათა სერია, თუმცა ეს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ. საქმე ისაა, რომ მეორე მეოთხედში ჩემპიონის ძირითადმა ცენტრმა **ენდრიუ ბინუმმა** სრულიად უწყინარ სიტუაციაში მუხლის ტრავმა მიიღო. ჯერჯერობით დაზიანების სიმძიმეზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა ერთი რამ ცხადია - ბინუმის არყოფნა „ლეიკერსის" საპლეიოფო ამბიციებს სერიოზულ ზიანს მიაყენებს. ცნობისთვის: სამი წლის წინ **ფილ ჯექსონის** გუნდს ბინუმის გარეშე მოუწია „ბოსტონთან" ფინალური სერიის თამაშმა და დამარცხდა. ბოლო ორ სეზონში კი ეს ცენტრი მწყობრში იყო და „ლეიკერსი" ორივეჯერ ჩემპიონი გახდა.

■ ■ ■

„ჩიკაგომ", რა თქმა უნდა, არ გაუშვა რეგულარულ ჩემპიონატში პირველ ადგილზე გასვლის შანსი. **ტომ ტიბოდოს** გუნდმა წელს მართლაც სასწაულ შედეგს მიაღწია. კარდინალურად გადახალისებულმა „ხარებმა" დებიუტანტი (!) მწვრთნელით პირველივე წელს მიაღწიეს ისეთ შედეგს, რაზეც ბევრი გუნდი წლების განმავლობაში ზრუნავს, მაგრამ მაინც ვერ აღწევს სანადელს.

„ბულზისა" და „ნიქსის" მატჩის პირველ ტაიმში დაძაბული ბრძოლა იყო. მესამე მეოთხედის დასაწყისში კი „ნიუ იორკი" ნოკაუტში აღმოჩნდა: „ჩიკაგომ" ეს 12-წუთეული 26:2 (!) გაქცევით დაიწყო. სტუმრებმა სცადეს მატჩისთვის ინტრიგის დაბრუნება და ერთხელ სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირეს, მაგრამ მეტოქემ მეტის გაკეთების საშუალება არ მისცა. „ჩიკაგოს" მოთამაშეებმაც მიიღეს ტრავმები - დაზიანდნენ **ჟოაკიმ ნოა** და **რონი ბრიუერი**, თუმცა სერიოზული არაფერია და ისინი პლეი ოფისთვის მზად იქნებიან.

**ნიუ იორკი-ჩიკაგო 90:103**

**27:24, 28:28, 18:32, 17:19**

**ნ-ი:** ენტონი (21), უოკერი (18), დუგლასი (13), ბილაპსი (10+8 პასი).
**ჩ:** როუზი (26), დენგი (23+10 მოხსნა), ბუზერი (14+22 მოხსნა), ნოა (13).

**პორტლენდი-მემფისი 102:89**

**27:25, 18:20, 29:21, 28:23**

**პ:** ოლდრიჯი (22+11 მოხსნა), ფერნანდესი (18), ბატუმი (16), უოლასი (14), კემბი (4+11 მოხსნა), მილერი (9+8 აეპელთჩ).
**მ:** კონლი (17), მაიო (13), იანგი (13), გასოლი (11+10 მოხსნა), ბატიე (12).

**ლეიკერსი-სან ანტონიო 102:93**

**24:15, 21:30, 25:19, 32:29**

**ლ:** ბრაიანტი (27+6 მოხსნა), ოდომი (23+7 მოხსნა), გასოლი (17+17 მოხსნა+5 პასი), ფიშერი (13).
**ს-ა:** ნილი (16), ბონერი (13), ბლეირი (12+11 მოხსნა), ჯეფერსონი (10), ჰილი (11).

ამბები

## რიტასის ახალი მწვრთნელი

ლიტვური კალათბურთის ერთ-ერთმა გრანდმა „ლეტუვოს რიტასმა" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ალექსანდრ ტრიფუნოვიჩი**. 43 წლის სერბის გაშვების მიზეზი გახდა ბალტიის ლიგის „ოთხთა ფინალში" წარუმატებლობა: პირველად ტურნირის ისტორიაში ვილნიუსელები ვერ გავიდნენ ფინალში. მათ წააგეს ნახევარფინალი რიგის ვეფ-თან, მესამე ადგილისთვის მატჩში კი გაჭირვებით მოუგეს „ვენტსპილსს". ლიტვის რეგულარულ ჩემპიონატში „ლეტუვოს რიტასმა" ჟალგირისის" შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

პლეი ოფში „ლეტუვოსს" ტრიფუნოვიჩის ასისტენტი - 40 წლის ლიტველი **დარიუს მასკოლიუნასი** გაწვრთნის.

## კვალიფიკაცია ახალი ფორმატით

ევროლიგის საბჭოს მორიგ სხდომაზე გამოცხადდა, რომ მომავალი სეზონიდან შეიცვლება ევროპის მთავარი საკლუბო ტურნირის კვალიფიკაციის ჩატარების სქემა.

საკვალიფიკაციოს რვა მონაწილე ორ ჯგუფად დაიყოფა და ჯგუფების გამარჯვებულები მიიღებენ ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ორ დარჩენილ საგზურს. შეგახსენებთ, რომ ადრე ამ საგზურების მფლობელები სამრაუნდიანი პლეი ოფის მიხედვით ირკვეოდა.

სხდომაზე დასახელდა 2011-12 წლების სეზონის „ოთხთა ფინალის" სავარაუდო თარიღი. გადამწყვეტი მატჩები 4-6 ან 11-13 მაისს გაიმართება. ჩატარების ადგილი ზაფხულში გახდება ცნობილი, როცა ჯგუფური ეტაპისა და კვალიფიკაციის წილისყრა ჩატარდება.

ჰოკეი. NHL. პლეი ოფის წინ

# დიდი ომი იწყება

**დღეს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სეზონის ყველაზე საინტერესო ნაწილი - პლეი ოფი იწყება. მანამდე კი საინტერესოა, რა განწყობით, სპორტული ფორმითა და შემადგენლობით ხვდება სტენლის თასის გათამაშებას რეგულარული ჩემპიონატის 16 საუკეთესო გუნდი.**

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტონი-რეინჯერსი**

„ვაშინგტონი" ბოლო სეზონებში მუდმივად ფავორიტის რანგში გადის პლეი ოფში, მაგრამ, როგორც წესი, პირველივე რაუნდიდან ეთიშება ბრძოლას. კიდევ ერთ ფიასკოს გულშემატკივრები, ალბათ, აღარ აპატიებენ გუნდს. „კეპიტალზის" მინუსი შეიძლება ის იყოს, რომ გუნდი ახალგაზრდა მეკარეების იმედად არის დარჩენილი - ესენი არიან რუსი **ვარლამოვი** და ჩეხი **ნოივირტი**.

რაც შეეხება „რეინჯერსს", განთესვის მერვე ნომრის მიუხედავად, ამ გუნდისგან სპეციალისტები ყველანაირ სიურპრიზს ელიან, თუმცა წინასწარი პროგნოზების მიხედვით ფავორიტად „ვაშინგტონი" სახელდება.

**მატჩები რეგულარულში:** +1-3=2

**ფილადელფია-ბაფალო**

„ფილადელფიამ" თითქმის მთელი რეგულარული მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ ბოლო მონაკვეთი ჩააგდო და პირველი ადგილიდან „კეპიტალზმა" ჩამოაქვეითა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სერიაში „ბაფალოს" წარმატების მცირე შანსი აქვს. „სეიბრზს" ყველაზე მეტად თავისი ბრწყინვალე მეკარის **რაიან მილერის** იმედი აქვს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამერიკელმა რეგულარულის ბოლოს ტრავმა მიიღო და საინტერესოა, რამდენად იმოქმედებს ეს ფაქტორი მის სათამაშო ფორმაზე.

**მატჩები რეგულარულში:** +2-2=0

**ბოსტონი-მონრეალი**

ამ დუელში აშკარა ფავორიტი „ბოსტონი" უნდა იყოს. **ზდენო ხარა** და კომპანია კარგად აწყობილი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა და პერიოდულად სასტიკად უსწორდებოდა მეტოქეებს. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „დათვების" რიგებში თამაშობს ამ სეზონის საუკეთესო მეკარე **ტიმ ტომასი**.

„კანადიენსი" მთელი სეზონი დატანჯული იყო წამყვანი მოთამაშეების ტრავმებით. მიუხედავად ამისა, გუნდმა სტაბილურად განვლო მთელი დისტანცია, თუმცა განსაკუთრებულიც არაფერი უჩვენებია. იქნებ პლეი ოფის მატჩებისთვის შეინახა თავი?

**მატჩები რეგულარულში:** +2-4=2

**პიტსბურგი-ტამპა ბეი**

„პინგვინზი" **სიდნი კროსბისა** და **ევგენი მალკინის** გარეშე - სულ სხვა გუნდია. ორი ლიდერის ტრავმამ სერიოზულად იმოქმედა პენსილვანიური კლუბის შესაძლებლობებზე, მაგრამ პლეი ოფის საგზური გუნდმა სამართლიანად დაიმსახურა. მალკინი ვერც პლეი ოფში ითამაშებს, კროსბის დაბრუნების შანსი კი არსებობს...

„ტამპა ბეის" ყველა ლიდერი მწყობრში ჰყავს. ამ გუნდს კანადელი ვუნდერკინდის **სტივენ სტემკოსის**, აგრეთვე გამოცდილი **მარტინ სენტ ლუისისა** და **ვენსან ლეკავალიეს** იმედი აქვს. პლეი ოფში ასეთ ჰოკეისტებს ორმაგი ფასი ედებათ. ამის მაგალითი მრავლად არსებობს.

**მატჩები რეგულარულში:** +2-2=0

**დასავლეთი**

**ვანკუვერი-ჩიკაგო**

ეს არის პლეი ოფის პირველი ეტაპის ყველაზე ძლიერი წყვილი - რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „ვანკუვერი" სტენლის თასის მოქმედი მფლობელის „ჩიკაგოს" წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, არავის აქვს იმის ილუზია, რომ კანადური კლუბი იოლად დაამარცხებს „ბლეკჰოქსს", რომელიც ბოლო მომენტში მოხვდა პლეი ოფში. ჩიკაგოელებს ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ თამაშის მომატება და არაფერს დაუთმობენ ფავორიტებს. „ვანკუვერის" მხრიდან ყველაზე მეტ ხიფათს ძმები **სედინებისგან** უნდა ველოდოთ, „ჩიკაგოს" თამაშს კი **მარიან ჰოსა, პატრიკ კეინი** და **ჯონათან ტეუვზი** განსაზღვრავენ.

**მატჩები რეგულარულში:** +2-2=0

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი**

დასავლეთის მეორე გუნდს „სან ხოსეს" წესით არ უნდა გაუჭირდეს „მეფეების" დამარცხება. „ლოს ანჯელესმა" ცოტა ხნის წინ სერიოზული დააკლისი განიცადა, როცა ტრავმა მიიღო სლოვენიელმა **ანზე კოპიტარმა**. ასე რომ, „კინგზი" თავისი ლიდერისა და კაპიტნის **დასტინ ბრაუნისა** და მეკარე **ჯონათან კუიკის** იმედად დარჩა, მაგრამ რამდენად შორს გაიყვანს ეს დუეტი კლუბს, რთული სათქმელია. „შარქსთან" დაკავშირებით კი ყველაფერი გარკვეულია: **პაველსკი, მარლო, ჰიტლი, სეტოგუჩი, ტორნტონი, კუტური...** ნებისმიერ მათგანს შეუძლია ცალკეული მატჩის ბედის გარკვევა.

**მატჩები რეგულარულში:** +3-3=0

**დეტროიტი-ფინიქსი**

შარშან ეს გუნდები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს პლეი ოფში, თანაც ამავე სტადიაზე. მაშინ დიდი გაჭირვებით „დეტროიტმა" გაიმარჯვა - 4:3. საინტერესოა, რა იქნება ამჯერად. „რედ [illegible]გზმა" ნერვიულად ჩაატარა რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ნაწილი, თუმცა „ფინიქსიც" არ ყოფილა მოწოდების სიმაღლეზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ „დეტროიტის" საუკეთესო ბომბარ[illegible]ი **ჰენრიკ ზერერბერი** მინიმუმ პირველ შეხვედრას გამოტოვებს. ეს საგრძნობი დანაკლისია.

**მატჩები რეგულარულში:** +2-2=0

**ანაჰაიმი-ნეშვილი**

დღეს ანაჰაიმში ნამდვილი ბუმია. სეზონის შუაში „დაქსის" გულშემატკივრები იმაზე ოცნებობდნენ, გუნდს როგორმე პლეი ოფში გაეღწია, მაგრამ ახლა ისინი მხოლოდ მერვედფინალში გასვლით არ დაკმაყოფილდებიან.

„ანაჰაიმს" სერიოზული კოზირი ჰყავს **კორი პერის** სახით. ამ ჰოკეისტმა 50 გოლი გაიტანა და 48 შედეგიანი პასი შეასრულა და რეგულარულის ბოლოს პრაქტიკულად შეუჩერებელი იყო. არ უნდა დავივიწყოთ გუნდის სხვა ლიდერები - **ტეემუ სელიანე, რაიან გეტცლაფი, საკუ კოივუ...** „ნეშვილს" ასეთი გამორჩეული ჰოკეისტები ნაკლებად ჰყავს და ეს „იხვებს" გარკვეულ უპირატესობას აძლევს.

**მატჩები რეგულარულში:** +1-3=2




ვანკუვერი ჩიკაგოს წინააღმდეგ

# ლატარია ედმონტონმა მოიგო

პლეიოფის დაწყებამდე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გაირკვა გუნდების თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ისინი 2011 წლის დრაფტზე საუკეთესო ახალგაზრდა ჰოკეისტებს აირჩევენ. პირველი ნომრის მიღების ყველაზე მეტი შანსი რეგულარული ჩემპიონატის უსუსტეს გუნდს - „ედმონტონ ოილერზს" ჰქონდა, რომელსაც საბოლოოდ გაუმართლა კიდეც და სწორედ ამ კანადურს კლუბს ერგება დრაფტის მომავალი პირველი ნომერი.

„ედმონტონის" შემდეგ მოდიან „კოლორადო" და „ფლორიდა". მეოთხეა" ნიუ ჯერსი", მეხუთე - „აილენდერსი", მეექვსე - „ოტავა"... დრაფტის პროცედურა 24 ივნისს მინესოტაში გაიმართება.

სხვათა შორის, შარშანაც „ედმონტონმა" პირველი ნომერი მიიღო დრაფტზე და არჩევანი კანადელ ფორვარდ **ტეილორ ჰოლზე** გააკეთა. წელს ამ ჰოკეისტმა 65 მატჩში 42 ქულა (22+20) დააგროვა.

ექსპერტებს შორის ბოლო გამოკითხვის თანახმად, „ედმონტონი" პირველ ნომრად კანადელ ცენტრფორვარდ **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსს** აირჩევს, „კოლორადო" კი არჩევანს შვედ ფორვარდ **გაბრიელ ლანდესკოგზე** შეაჩერებს. შემდეგი იქნება კიდევ ერთი შვედი **ადამ ლარსონი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1


დღეს ტრასაზე დიდი ბრძოლა

# შოუ შედგა

ფორმულა 1-ის გუნდების ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ განახლებულმა ტექნიკურმა რეგლამენტმა, მათ შორის მოძრავი უკანა ფრთის შემოღებამ, KERS-ის სისტემის დაბრუნებამ და აგრეთვე „პირელის" საბურავებზე გადასვლამ შესამჩნევად აამაღლა რბოლების სანახაობრივი მხარე.

„ვფიქრობ, ყველაფერი კარგად მიდის, - ამბობს „ლოტუს რენოს" შეფი **ერიკ ბულიე**. - თუ თქვენ ნამდვილი პროფესიონალი ხართ, მე კი საკუთარ თავს მათ რიცხვს მივაკუთვნებ, მაშინ უნდა მოგწონდეთ, როცა მრბოლელები ტექნიკის შესაძლებლობების ზღვარზე აწარმოებენ ბრძოლას და ტრასაზე მანქანები ოდნავ ეხებიან ერთმანეთს.

მართვადი უკანა ფრთა ამართლებს მის შექმნაზე დახარჯულ თანხებს, თუმცა ის არ მუშაობს ზოგიერთ ტრასაზე, მაგალითად, ავსტრალიაში. მაგრამ იქ, სადაც გრძელი სწორი მონაკვეთებია, ეს სიახლე ნორმალურ ეფექტს იძლევა".

„მაკლარენის" ხელმძღვანელის **მარტინ უიტმარშის** აზრით, „პირელის" საბურავებზე გადასვლამ ეტაპები უფრო საინტერესოდ აქცია: „მიმაჩნია, რომ მალაიზიის გრანპრის ცუდად არ ჩაუვლია და საბურავებთან დაკავშირებულმა სიტუაციამ აამაღლა სანახაობრივი მხარე. ასე იმიტომ მოხდა, რომ სხვადასხვა გუნდის პილოტები ცდილობენ რბოლის სხვადასხვა ფაზაში დაზოგონ საბურავი.

„პირელიმ" ძალიან ცოტა ტესტი ჩაატარა და ჩვენ უნდა მივულოცოთ იტალიური კომპანიის თანამშრომლებს: მათ კარგ შედეგებს მიაღწიეს. ზოგიერთმა პილოტმა, შესაძლოა, დაიჩივლოს საბურავების ცალკეულ კომპლექტზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: საბურავი უსაფრთხო გამოვიდა და ამასთან გუნდები იძულებულნი არიან გადაწყვიტონ საინტერესო და რთული ამოცანები, რაც, საერთო ჯამში, ხარისხიან შოუს გვაძლევს".

„რედ ბულის" დირექტორი **კრისტიან ჰორნერი** მიიჩნევს, რომ ახალმა წესებმა გაურთულა ცხოვრება გუნდებს, სამაგიეროდ გულშემატკივრებისთვის რბოლები უფრო საინტერესო სანახავი გახდა: „რა თქმა უნდა, სიტუაცია ტრასაზე უფრო დაძაბული გახდა. ეს შეიძლება შევადაროთ ავიადისპეტჩერის ღამის კოშმარს, როცა სამუშაოს მოცულობა, უბრალოდ, კოლოსალურია: ცდილობთ გაიგოთ, როგორ განვითარდება სიტუაცია ტრასაზე, მიაქციოთ ყურადღება საბურავების ცვეთას, სწორად შეარჩიოთ საბურავი ორივე მანქანისთვის.

ეს ყველაფერი მართლაც დადებითად მოქმედებს სანახაობრივ მხარეზე, ახალი ელემენტი შემოაქვს რბოლაში. ჩემთვის რთულია გრანპრის მთლიანობაში განხილვა, რადგან საკუთარი საქმით ვიყავი დაკავებული და რბოლა ფაქტობრივად არ მინახავს.

თუმცა ვიცი, რომ პილოტებს შორის ორთაბრძოლები მრავლად იყო. მაგალითად, დიდი ბრძოლა გამართეს ალონსომ და ჰემილტონმა, ვნახეთ, რომ მარკ უებერს შეექმნა პრობლემები პირველ წრეზე, მაგრამ შემდეგ დაიბრუნა დაკარგული. ასე რომ, ახალი წესები, როგორც ჩანს, პოზიტიურ როლს თამაშობენ, რადგან მათ გარეშე რბოლა სტატიკური იქნებოდა.

ვფიქრობ, ყველაფერი კარგად მიდის და რამდენიმე რბოლის შემდეგ გვეცოდინება რამდენიმე კანონზომიერება, რომელიც გავლენას ახდენენ გრანპრის მსვლელობაზე".

„ფერარის" შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** დაამატა: „თუ სანახაობრივ მხარეზე ვილაპარაკებთ, მაყურებლისთვის საინტერესო სანახავია როგორ იხსნება და იხურება უკანა ანტიფრთა, როგორ უახლოვდებიან ბოლიდები ერთმანეთს და იწყება ბრძოლა...

მეორე მხრივ, პუბლიკისთვის არც ისე იოლია მომხდარის აღქმა, რადგან თვით გუნდებისთვის ბოლომდე ყველაფერი არ არის გარკვეული. მაგრამ ვერაფერს ვიზამთ - ახლა უკვე ასე მიმდინარეობს რბოლები. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ახალი წესები თამაშის ნაწილი გახდა.."

# რეიტინგი ფეტელისაა

მალაიზიის გრანპრიზე გამარჯვებამ კიდევ უფრო გაამყარა **სებასტიან ფეტელის** პოზიციები ფორმულა 1-ში, გარდა ამისა, „რედ ბულის" ახალგაზრდა პილოტი ძალიან კომფორტულად ლიდერობს საერთო სარბოლო რეიტინგს, რომელსაც ყოველი უქმეების შემდეგ კომპანია Castrol ადგენს.

პოულმა, 54 წრე ლიდერობამ და პოდიუმის უმაღლესმა საფეხურმა რეიტინგში გერმანელის პირველობა ზედიზედ 55 კვირამდე აიყვანა. ხოლო მისი ამჟამინდელი შედეგი - 25 647 ქულა მაქსიმალურია ამ კლასიფიკაციის არსებობის ისტორიაში.

გასული უქმეების შემდეგ Castrol-ის რეიტინგის პირველ ათეულში შესამჩნევი ცვლილებები არ მომხდარა. მხოლოდ ნასკარის ჩემპიონატის ახალმა ლიდერმა **კარლ ედვარდსმა** მორიგ „ოვალურ" რბოლაში მესამე ადგილზე გასვლით მე-11 პოზიციიდან მეცხრეზე გადაინაცვლა და შეავიწროვა თავისი კოლეგები - **ჯიმი ჯონსონი** და **კევინ ჰარვიკი**.

გასულ კვირას ყველაზე დიდ პროგრესს მიაღწია ნიკ ჰაიდფელდმა. 2009 წელს გერმანელი მსოფლიოს 50 საუკეთესო პილოტს შორის იყო, მაგრამ კარიერაში პაუზამ ის მეხუთე ასეულში გადააგდო. მაგრამ „სეპანგზე" პოდიუმმა „ლოტუს-რენოს" პილოტი 127 საფეხურით მაღლა აიყვანა და ახლა ნიკი 206-ე ადგილს იკავებს.

შემდეგ უქმეებზე უფრო მეტი ეტაპი ჩატარდება და რეიტინგში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ახალი რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ს. ფეტელი (ფორმულა 1) | 25 647 |
| 2. მ. უებერი (ფორმულა 1) | 22 342 |
| 3. ს. ლოები (რალი) | 20 354 |
| 4. ფ. ალონსო (ფორმულა 1) | 19 652 |
| 5. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1) | 19 638 |
| 6. უ. პაუერი (IndyCar) | 18 102 |
| 7. ჯ. ბატონი (ფორმულა 1) | 16 806 |
| 8. დ. ფრანკიტი (IndyCar) | 16 506 |
| 9. კ. ედვარდსი (NASCAR) | 15 684 |
| 10. ჯ. ჯონსონი (NASCAR) | 15 607 |



ნიკს დიდი პროგრესი ჰქონდა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| გრიმსბი-რაშდენი | 1:1 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| აბერდინი-რეინჯერსი | 0:1 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ქუინი-მორტონი | 1:4 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არბროა-კლაიდი | 2:0 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰიორინგი-ბრონსჰოი | 1:1 |
| აკადემისკი-ფრედერისია | 0:4 |
| აგფ ორჰუსი-როსკილდე | 2:0 |
| ფინი-ვესტსილანდი | 3:0 |
| კიოგე-ჰვიდოვრე | 3:1 |
| ნაესტვედი-კიოლდინგი | 3:1 |
| სკივე-ვიბორგი | 2:0 |
| ვეილე-ჰობრო | 1:1 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ლოკარნო-არაუ | 1:1 |

**ფინეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| მიუპა-ოულუ | 2:0 |
| ლაჰტი-ესპოო | 2:1 |

**ჩეხეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| სიგმა-იაბლონეცი | 2:0 |
| ბრნო-კრომერიჟი | 1:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ასტრა-სპორტული | 1:0 |
| გაზ მეთანი-ბრაშოვი | 0:0 |
| ტიმიშოარა-პანდური | 2:2 |
| სტიაუა-ოცელული | 1:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| იურმალა-დაუგავა | 0:2 |
| ოლიმპსი-სკონტო | 0:4 |
| ვენტსპილსი-გულბენე | 4:0 |
| იეგლავა-მეტალურგსი | 1:3 |

**ლიტვის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ეკრანასი-შიაულიაი 0:2 დ.დ. | 2:2 (2:0) |
| ბანგა-კაუნასი | 1:1 (5:0) |

**[illegible]**

**1/2 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| მოგრენი-პეტროვაცი | 2:0 |

**ამხანაგური მატჩები**

**Under 21**

| | |
|---|---|
| იტალია-რუსეთი | 2:0 |

**Under 19**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-სერბეთი | 1:3 |
| ჩრ. ირლანდია-ჰოლანდია | 1:3 |

**Under 17**

| | |
|---|---|
| სერბეთი-გერმანია | 1:0 |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| აიაქსი-შიმიცუ | 4:0 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**აზია**

| | |
|---|---|
| სიდნეი-კაშიმა | 0:3 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| არისი-აეკ | 78:74 |
| ილისიაკოსი-მარუსი | 73:62 |
| ირაკლისი-პანიონიოსი | 52:59 |
| კავალა-ოლიმპიაკოსი | 63:92 |
| კოლოსოსი-პანელინიოსი | 66:52 |
| პანათინაიკოსი-იკაროსი | 92:70 |
| პერისტერი-პაოკ | 77:72 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| გეტინგენი-ალბა | 80:65 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ნ. ნოვგოროდი-ცსკა | 94:89 (ო) |

**ჰოკეი**

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-ლუკო | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-სლოვანი | 1:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მონაკო**

| | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-**გასკე** | 2:6, 1:6 |
| ფ. მაიერი-**ჟილი** | 5:7, 1:6 |
| მონტანიესი-**სიმონი** | 3:6, 4:6 |
| ხიმენო ტრავერო-**მონფილსი** | 5:7, 2:6 |
| **ფერერი**-ფ. ლოპესი | 6:2, 6:0 |
| **ტროიცკი**-ფონინი | 6:3, 4:6, 6:4 |
| **ჩილიჩი**-რიბა | 5:2 უარი |
| **ალმაგრო**-მ. გონსალესი | 6:7, 7:5, 7:6 |
| ვერდასკო-**რობრედო** | 4:6, 3:6 |
| **ნადალი**-ნიემინენი | 6:2, 6:2 |
| **მელცერი**-ჰაასე | 3:6, 6:1, 6:2 |
| **მიურეი**-შტეპანეკი | 6:1, 6:4 |

## TV პროგრამა

**14 აპრილი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კიევო.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ხეტაფე.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ჯენოა.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონაალმერია.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექპული-არსენალი.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ნიუ ორლეანი.
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. მასტერსი. მონაკო (LIVE).
20:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ოკლაჰომა.
22:15 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-შოტლანდია.
23:55 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ნიუ ორლეანი.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

20:00 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სპარტაკი-პორტუ (LIVE).
22:55 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ეინდჰოვენი-ბენფიკა (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

03:30 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. ფილადელფია-ბაფალო. I მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 77 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
22:50 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტვენტე-ვილიარეალი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონაკო (LIVE).

**SPORT+**

22:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბრაგა-დინამო (კ) (LIVE).

**EUROSPORT**

17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 77 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. 1/4 ფინალი. III მატჩი (LIVE).

## ამბები

**მოტოსპორტი**

### მოტოგრანპრი ამერიკაში მიდის

ქალაქ ოსტინში ახალი სარბოლო ტრასა 2013 წელს მოტოგრანპრის ეტაპს უმასპინძლებს. მოტოგრანპრის პრომოუტერმა - კომპანია Dorna-მ ათწლიანი კონტრაქტი გააფორმა ავტოდრომის ხელმძღვანელობასთან. გარდა ამისა, ტეხასის შტატში მდებარე ტრასა 2012 წელს ფორმულა 1-ის ეტაპს გაუწევს ორგანიზებას.

„ტეხასში ბევრი მაღალი დონის მოტომრბოლი აღიზარდა და აქ ჩემპიონატის ეტაპის ორგანიზება ჩვენთვის დიდი პატივია, - ამბობს Dorna-ის აღმასრულებელი დირექტორი **კარმელო ესპელეტა**. - კარგი ურთიერთობა გვაქვს წარსულში ცნობილ ამერიკელ მრბოლელ კევინ შვანტცთან და ერთად ხშირად გვიოცნებია ამერიკაში მოტოგრანპრის ეტაპის ჩატარებაზე. ახლა ეს ოცნება რეალობად იქცა".

**ფორმულა 1**

### ბაჰრეინი იმედს არ კარგავს

ბაჰრეინის გრანპრის ორგანიზატორებს ჯერ კიდევ აქვთ ამ სეზონში მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპის ჩატარების იმედი. როგორც იცით, რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო გაუქმდა 13 მარტისთვის დანიშნული ეტაპი და აქამდე გარკვეული არ არის, შედგება თუ არა წელს რბოლა „საჰირზე".

ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობამ ეტაპის ორგანიზატორებს პირველ მაისამდე მისცა დრო, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ რბოლის ჩატარების ახალ თარიღთან დაკავშირებით. ეტაპის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ახლა ბაჰრეინში ნორმალური სიტუაციაა და კიდევ არსებობს რბოლის ორგანიზების შანსი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვარდისფერი სერენა

# სერენა კორტზეა ...

როგორც ჩანს, გაიხარეს ამერიკელი **სერენა უილიამსის** თაყვანისმცემლებმა - მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტზე გავიდა და სავარჯიშო პროცესი განაახლა. ამის შესახებ სოციალურ ქსელ „ტვიტერში" თავად სპორტსმენმა დაწერა. ამერიკელმა ვებგვერდზე ახალი ფოტო დადო, სადაც ის ვარდისფერ კომბინეზონშია გამოწყობილი. მოგვიანებით ეს ახალი ამბავი ჩოგბურთელის აგენტმა **ჯილ სმოლერმა** დაადასტურა.

29 წლის უილიამსს 2010 წლის ივლისის შემდეგ არ უთამაშია. მაშინ უიმბლდონზე გამარჯვების აღნიშვნისას სერენამ რესტორანში ფეხი გაიჭრა და ოპერაცია დასჭირდა. გარდა ამისა, წელს უმცროსი უილიამსი ფილტვის ემბოლიით იყო დაავადებული.

2011 წლის მარტში სერენამ განაცხადა, რომ ზაფხულის დასაწყისიდან აპირებს კარიერის განახლებას.

ასევე მოაგვარა ტრავმასთან დაკავშირებული პრობლემები მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა **რობინ სიოდერლინგმა**. შვედმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ დაიწყო მზადება ბარსელონას ტურნირისთვის, რომელიც კატალონიის დედაქალაქში 18-24 აპრილს გაიმართება. როგორც ცნობილია, სიოდერლინგი მონტე კარლოს მასტერსს მუხლის ტრავმის გამო ტოვებს.

*„ბარსელონაში ჩავედი და საკუთარ გუნდთან ერთად ვარჯიში დავიწყე. იმედი მაქვს, სათანადოდ მოვემზადები გრუნტის სეზონისთვის"*, - თავის ვებგვერდზე დაწერა სიოდერლინგმა, რომელიც ბოლო ორი როლან გაროსის ფინალისტი გახლავთ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# როჯერმა ვარჯიშით დაიწყო

მონტე კარლოს მასტერსზე **ნოვაკ ჯოკოვიჩის** არყოფნაში რეიტინგში მეორე ადგილზე დაბრუნების შანსი მიიღო **როჯერ ფედერერმა**. შვეიცარიელმა შარშან გამოტოვა ეს მასტერსი, წელს კი დაბრუნდა ტურნირზე, სადაც სამჯერ ითამაშა ფინალში, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოიგო. კლასიფიკაციის მეორე საფეხურზე ასასვლელად როჯერს მონაკოში გამარჯვება ესაჭიროება, რაც ჯანმრთელი **რაფაელ ნადალის** პირობებში ძალიან რთული იქნება. შეგახსენებთ, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ნადალი აქ მთავარ პრიზს იღებდა.

ფავორიტთაგან სწორედ ფედერერი ჩაება პირველი ბრძოლაში. როჯერის პირველი მეტოქე **ფილიპ კოლშრაიბერი** იყო. ამ გერმანელის წინააღმდეგ შვეიცარიელს არასოდეს უჭირდა - წინა ხუთ მატჩში ხუთი ჰქონდა მოგებული. ამჯერადაც ბრძოლა არ ყოფილა. მთელი მატჩის განმავლობაში გერმანელმა მხოლოდ ერთი ბრეიკპოინტი მოიპოვა და ის ვერ გამოიყენა, როჯერის ანგარიშზე კი ოთხი ბრეიკი იყო. 50 წუთში ასეთი ანგარიში დაფიქსირდა - 6:2, 6:1. შვეიცარიელმა კარგი ფორმა აჩვენა, ბევრს მოძრაობდა და მისი საფირმო დარტყმებიც აღწევდა მიზანს.

დღის დანარჩენი მატჩებიდან საინტერესო იყო **ივან ლუბიჩიჩისა** და **ჟო-ვილფრიდ ცონგას** დაპირისპირება. მთელი მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ფრანგი ინიციატივას ფლობდა, მაგრამ ივანი ზუსტად თამაშობდა. მართალია, პერიოდულად ფეხი სტკიოდა, მაგრამ კორტზე გადაადგილებაში ეს მას ხელს არ უშლიდა. ფრანგს პირველ პარტიაში სეტზე ჩაწოდება შეეძლო, მაგრამ წააგო თავისი მოწოდება, შემდეგ კი ტაი-ბრეიკიც დათმო. მეორე სეტში ცონგამ ურთულესი 15-წუთიანი გეიმი მოიგო მიღებაზე, თუმცა აქედან მოყოლებული მის მოქმედებაში ჩავარდნა დაიწყო. იმ მომენტისთვის თამაშის დაწყებიდან ორი საათი იყო გასული, წინა დღეს კი ჟო-ვილფრიდმა სამსეტიანი მატჩი ჩაატარა **ხუან მონაკოს** წინააღმდეგ და დაღლილი ჩანდა. მან რამდენიმე მარტივი ბურთი გააფუჭა ბადესთან, ხოლო შეტევაზე გადასვლისას ბევრ ბურთს უშვებდა აუტში. ლუბიჩიჩმა კარგად გამოიყენა მეტოქის შეცდომები და მეორე სეტი 6:4 მოიგო. ხორვატის მეტოქე იმ დღესვე გაირკვა - უიმბლდონის ფინალისტმა, ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა** დამაჯერებლად დაამარცხა ბელგიელი ვეტერანი **ოლივიე როხუსი**.

ამ სეზონის აღმოჩენის - **მილოშ რაონიჩის** გრუნტზე შესაძლებლობების შესახებ ბევრი არაფერი იყო ცნობილი, რადგან მანამდე ამ საფარზე არც ATP-ისა და არც „ჩელენჯის" ტურნირზე არ უთამაშია. მაგრამ, როგორც ჩანს, კანადელს ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს. პირველ წრეში მან ფრანგი **მიკაელ ლოდრა** დაამარცხა, მეორეში კი ლატვიელ **ერნესტ გულბისს** აჯობა. შარშან ბალტიისპირელმა როლან გაროსზე მეოთხედფინალში გასვლა მოახერხა და გრუნტზე თვით ფედერერი დაამარცხა, მაგრამ გაუთავებელი ტრავმების გამო გულბისს დღეს სერიოზული პრობლემები აქვს, რაც რაონიჩთან შეხვედრამაც დაადასტურა. ცოტა ხნის წინ ერნესტმა ახალი მწვრთნელი აიყვანა - ყოფილი სომეხი ჩოგბურთელი **სარგის სარგსიანი**. პირველ წრეში უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** დამარცხების შემდეგ ბევრს ეგონა, რომ ლატვიელის პრობლემები უკან დარჩა, მაგრამ რაონიჩის წინააღმდეგ ბევრი უნებლიე შეცდომა დაუშვა. უშეცდომო არც კანადელი ყოფილა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მას მეტოქე ეხმარებოდა. მეორე პარტიაში ლატვიელმა ორი მატჩბოლი მოიგერია და ბრეიკი გაუკეთა, მაგრამ მატჩის გადარჩენის შანსი მალე გაქრა. მილოშმა მეორე ცდაზე მაინც შეძლო მატჩზე ჩაწოდება - 6:4, 7:5.

**ATP**

**Monte-Carlo Rolex Masters**

მონტე კარლო. გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 2 227 500 ევრო

**I წრე**

**ჟილ სიმონი (საფ, 16)**-ტომას ბელუჩი (ბრა) 6:3, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 4:6, 6:3, 7:6(4); **მაქსიმო გონსალესი (არგ)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 3:6, 7:5, 6:1; **ფაბიო ფონინი (იტა)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 3:6, 6:2, 6:2; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-ვენსან მილიო (საფ) 6:2, 6:4; **პეპე რიბა (ესპ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 4:6, 6:3, 6:3; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:4, 6:2;

**II წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:2, 6:1; ივან ლუბიჩიჩი (ხორ)-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 12) 7:6(4), 6:4; **მილოშ რაონიჩი (კან)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:4, 7:5; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:2, 6:3.


როჯერ ფედერერი




# ჩეხების დანაკლისი

მოახლოვდა ფედერაციის თასის ნახევარფინალური ეტაპი. ერთ-ერთ მატჩში ბელგიის ნაკრები 16-17 აპრილს ჩეხეთს უმასპინძლებს. უკვე ვწერდით ბელგიელთა სერიოზული დანაკლისის შესახებ - ტრავმის გამო მასპინძლებს ვერ დაეხმარება მსოფლიოს მეორე ჩოგანი **კიმ კლაისტერსი**. გუშინ კი ჩეხების ერთი დანაკლისის შესახებ გახდა ცნობილი. კერძოდ, სტუმართა გუნდში ვერ ითამაშებს ნაკრების მეორე ნომერი **ლუსი საფაროვა**. უკვე გამოცხადდა მისი შემცვლელი - 25 წლის **ლუსი ჰრადეცკა**, რომელიც 56-ე ადგილს იკავებს WTA-ის კლასიფიკაციაში.

საფაროვამ ბოლო ვარჯიშზე მიიღო ბარძაყის კუნთის ტრავმა და ჰრადეცკა სასწრაფოდ გამოიძახეს შარლერუაში. მის გარდა ჩეხების რიგებში **პეტრა კვიტოვა, ივეტა ბენეშოვა** და **ბარბორა ზახვალოვა** ითამაშებენ. ბელგიის ღირსებას დაიცავენ - **იანინა ვიკმაიერი, კირსტენ ფლიპკენსი, ან-სოფი მესტახი** და **ალისონ ვან უიტვანკი**.


ლუსი საფაროვა